

როცა თემიდაც კი უძლურია...

A2



მოსამართლეთა საერთაშორისო კონფერენცია ბათუმში

A4



დატოვეთ თანამდებობები და იცხოვრეთ ლაღად

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ხუთშაბათი, 12 ოქტომბერი, 2006 წელი. №226 (1378) — ფასი 50 თეთრი

ბოლო წუთს

## თვითმფრინავის კიდევ ერთი შეჯახება ნიუ-იორკის ცათამბჯენთან



გუშინ, დაახლოებით 22 საათსა და 40 წუთზე (თბილისის დროით), მანჰეტენზე მდებარე 50-სართულიან საცხოვრებელ ცათამბჯენს, სახეწოდებით Belaire, თვითმფრინავი დაეჯახა.

CNN-ის ცნობით, ეს იყო ერთმოტორიანი მსუბუქი თვითმფრინავი Cirrus SR-20, რომელსაც მართავდა 44 წლის კორი ლიდლი, ნიუ-იორკის ბეისბოლისტთა გუნდის მწვრთნელი. მისი პასპორტი იპოვეს თვითმფრინავის კატასტროფის ადგილას, რაც სავარაუდოს ხდის, რომ შტურვალთან სწორედ მფლობელი იჯდა.

ხანძარმა მოიცვა შენობის 21-ე სართული. 150 მეხანძრემ და ამდენივე მაშველმა შეძლეს მოსახლეთა დიდი ნაწილის ევაკუირება. წინასწარი მონაცემებით, დაღუპულია მინიმუმ ორი ადამიანი.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საჰაერო ძალების ხელმძღვანელობამ და თეთრი სახლის ადმინისტრაციამ მომხდარი შეაფასა, როგორც უბედური შემთხვევა და ტერაქტი გამორიცხა. მიუხედავად ამისა, პატრულირებისთვის ნიუ-იორკის თავზე მაინც გამოჩნდნენ გამანადგურებლები.

თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.

### ამინდი

| | 12/10 | 13/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 20 | 18 |
| ბათუმი | 25 | 20 |
| სოხუმი | 22 | 21 |
| ქუთაისი | 23 | 20 |
| გორი | 17 | 13 |
| თელავი | 19 | 17 |
| ონი | 12 | 11 |
| ზუგდიდი | 25 | 21 |
| ახმეტა | 20 | 18 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7405 |
| ევრო | 2.1833 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2297 |
| რუბლი | 0.0646 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| სპორტი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| რევიუ | A 8 |


# თავისუფალი განვითარება

## ერთადერთი პასუხი რუსეთის ბლოკადას

მამუკა წერეთელი
ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი, ჯორჯ ვაშინგტონის და ამერიკის უნივერსიტეტების პროფესორი

არავისთვის არ არის საეჭვო, რომ რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ რუსეთში ქართული საქმიანი ინტერესების დევნას გაცილებით მეტი ნეგატიური შედეგი ექნება საქართველოს ეკონომიკისთვის, ვიდრე ქართული ღვინის და მინერალური წყლის იმპორტის აკრძალვას. სხვადასხვა შეფასებებით, რუსეთიდან საქართველოში წელიწადში ხუთასი მილიონიდან მილიარდამდე დოლარი შემოდიოდა საბანკო და სხვა ელექტრონული გადარიცხვებისა და ნაღდი ფულის სახით. ქართველების დიდი ნაწილისთვის რუსეთში შემოსავლის წყაროების გადაკეტვა ბუნებრივად გამოიწვევს ქვეყნის საგადამხდელო ბალანსზე, გასაცვლელ კურსზე და ზოგად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე დაწოლას. ამას გარდა, რეალისტები უნდა ვიყოთ და ვაღიაროთ, რომ თუ მოხდა რუსეთიდან ქართველების მასობრივი გასახლება, მათი საქართველოში დასაქმების პერსპექტივა მინიმალურია. მიუხედავად ამ ადამიანების სამეწარმეო გამოცდილებისა, მათ მიერ დაგროვილი კაპიტალის და მუშაობის სურვილისა, ქართული ეკონომიკის მასშტაბიდან გამომდინარე, რამდენიმე ასეული ათასი ადამიანის დასაქმება მოკლე ვადაში ვერ მოხდება და ეს კიდევ უფრო დაძაბავს უმუშევრობის პრობლემას.

ამ პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების მშვიდი ანალიზი და მათი განეიტრალების სწორი სტრატეგიის შემუშავება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჯერ ერთი ტაიმის გუნდი ვართ

ვასილ უდუმაშვილი

რთულია ასეთი მატჩის შემდეგ ემოციების გარეშე საუბარი, თითქმის ტაიმნახევარი ვეთამაშეთ თანაბრად მსოფლიოს ჩემპიონებს და მაინც დავმარცხდით. გუშინ საქართველოს ნაკრები იმ უსუსურ გუნდს არ ჰგავდა, რომელმაც ფრანგებთან პირწმინდად დათმო მატჩი, ბრძოლაც ბლომად იყო და მონდომებაც, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ორ ტაიმზე ძალა არ გვეყო.

ახლა, ალბათ აზრიც არ აქვს მატჩის პერიპეტიებზე საუბარს. უბრალოდ, გვსურს, თქვენი ყურადღება მარცხის მიზეზებზე შევაჩეროთ. რა თქმა უნდა, თავისთავად მსოფლიოს ჩემპიონებთან თამაშის წაგება დიდად სამარცხვინო არ უნდა იყოს, მაგრამ როცა არსებობს შანსი,

გაგრძელება A5 გვერდზე



ბესო გულაშვილის ფოტო

იტალიის კარში გატანილმა გოლმა მომავლის იმედი ჩაგვისახა.

# "ეთნიკური ბიზნესის" რუსული პრეცედენტი

B

*თუ ამქვეყნად "ეთნიკური ბიზნესის" ცნება არსებობს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ რუსული ეკონომიკა რამდენიმე "ნაციონალურ დაჯგუფებას" მოიცავს. მათ შორის, ბუნებრივია, ქართულსაც.*

**"რუსეთში ეთნიკური დიასპორა ბუნებრივი მოვლენაა, თუმცა ის კულტურის სფეროში უფროა წარმოდგენილი, ვიდრე ეკონომიკაში. ასეთი პრაქტიკა ყველა ქვეყანაში არსებობს, რადგან ამ ხალხებს საკუთარი ტრადიციები, ენა და კულტურა აქვთ. ამიტომაც ისინი თავისიანებს ეხმარებიან და ასაქმებენ. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა,"** - ასე აფასებს ამ მოვლენას "ოპორა რასიას" ერთ-ერთი ხელმძღვანელი დინა კრილოვა რუსულ მედიასთან საუბარში. თუმცა იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ "ეთნიკურ ბიზნესზე საუბარი სწორი არ არის."

რუსი ჟურნალისტების შეფასებით, რუსეთში ჯერჯერობით კიდევ არსებობს ლეგალური ბიზნესები, რომელთაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩამოსული საქმოსნები აკონტროლებენ. მაგალითად, რუსულ პრესაში ხშირად შეხვდებით შემდეგ სიტყვათაშეხამებებს: "ჩეჩნური ბიზნესი", ან კიდევ - "უზბეკური ბიზნესი". **"თუმცა ლეგალურ "ქართულ ბიზნესზე" საუბარი რთულია,"** - ასკვნიან ისინი.

ბოლო პერიოდში რუსი ძალოვანების აქციები, რუსულ მედიას თუ ვენდობით, ძირითადად სათამაშო ბიზნესით დაკავებული ქართველი კანონიერი ქურდებისკენ იყო მიმართული. თუმცა რუსი ბიზნესმენები შიშობენ, რომ საფრთხე, შესაძლოა, იმ ლეგალურ ბიზნესებსაც დაემუქროთ, რომლებსაც ქართული ფესვები გააჩნიათ.




# "აღიარებით" მუქარა

## კოსოვოს პრეცედენტი - უნიკალური თუ უნივერსალური?

*მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები აამოქმედა და საქართველოს მოქალაქეების დევნა დაიწყო, მოსკოვის მიერ კოსოვოს პრეცედენტის გამოყენება და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება სულ უფრო მოსალოდნელი ხდება.*

დიმიტრი ავალიანი

სერბეთის ავტონომიური მხარის კოსოვოს სტატუსზე მოლაპარაკებები წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს და მისი შედეგი, სერბეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, დამოუკიდებლობის აღიარება იქნება - ამ აზრს სულ უფრო მეტად იზიარებენ, როგორც დასავლეთის ქვეყნების ოფიციალური პირები, ასევე საერთაშორისო ექსპერტები.

კოსოვოს პრეცედენტის თემას რუსეთის ხელისუფლება დღემდე ორმაგი თამაშისთვის იყენებს - როგორც დასავლეთის, ასევე საქართველოს დასაშინებლად. თუმცა, მას შემდეგ, რაც საერთაშორისო თანამეგობრობა კოსოვოს თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს, მოსკოვი დილემის წინაშე აღმოჩნდება - განახორციელოს თუ არა თავისი მუქარა. რუსეთ-საქართველოს უკიდურესად დაძაბული ურთიერთობების ფონზე, არაღიარებული რეჟიმების მოსალოდნელ ცნობაზე საუბრობენ რუსული მედია და ქართველი ექსპერტები.

**"რუსეთი აღარავის გაწირავს,"** - ასეთი სათაურით გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში გაზეთ "იზვესტიას" მიმომხილველი ევგენი ურემენკოვი ამტკიცებს, რომ კოსოვოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს აღიარებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსეთი რეალობის წინაშე

*საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებული ბოლოდროინდელი ზეწოლის გათვალისწინებით, საინტერესოა გავიხსენოთ, თუ რას წარმოადგენდა კავკასიასთან მიმართებაში არსებული რუსული გეოპოლიტიკური დოქტრინების არსი წარსულში და, რამდენად შესაბამისობაშია ეს დოქტრინები დღევანდელ რეალობასთან. მეორე მხრივ, იბადება შეკითხვა, რამდენად ძალუძს რუსეთს ამ სიტუაციაში სამხედრო ბერკეტების ამოქმედება დასავლეთთან შესაძლო პოლიტიკურ-ეკონომიკური კონფრონტაციის გათვალისწინებით.*

გოგი თუშმალიშვილი

### პანსლავიზმის იდეის ფიასკო

რუსეთის მიერ მე-18 საუკუნეში წამოწყებული კავკასიის კოლონიზაციის პოლიტიკა, სავარაუდოდ, გარდა წმინდად სამხედრო ამოცანებისა, მესიანისტურ მიზნებსაც ისახავდა. ერთი მხრივ, კავკასიის რეგიონი უნდა ყოფილიყო რუსეთის იმპერიის პლაცდარმი აღმოსავლური ექსპანსიისთვის, რის პროლოგადაც შეიძლება მივიჩნიოთ 1722 წელს პეტრე I-ის მიერ განხორციელებული ე.წ. "სპარსული ლაშქრობა", მეორე მხრივ კი ამ პერიოდს ემთხვევა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებული თეორიის, "მოსკოვი - მესამე რომის" პრაქტიკული განხორციელების მცდელობა. ამ იდეამ კონტურების შეძენა მე-15 საუკუნის მოსკოვში დაიწყო, ბიზანტიის დასუსტებისა და მართლმადიდებლურ სამყაროზე სულიერი და პოლიტიკური გავლენის დაკარგვის ფონზე. ზემოხსენებული თეორიის მიხედვით, მოსკოვი უნდა ჩამოყალიბებულიყო მძლავრ პოლიტიკურ ცენტრად და შემდგომ განევრცო კონტროლი ყველა ერთმორწმუნე და მონათესავე ერებსა და ტერიტორიებზე. შესაბამისად, ამ პერიოდიდან მოყოლებული იწყება რუსეთის ექსპანსია სამხრეთისკენ, რისი საბოლოო მიზანიც უნდა ყოფილიყო კონსტანტინოპოლის აღება (რომლის კარიბჭეზე, რუსული მითოლოგიის მიხედვით, მთავარმა ოლეგმა თავისი ფარი მიაჭედა), თურქეთის განდევნა ბალკანეთიდან და პროტექტორატის დამყარება მონათესავე სლავ ერებზე.

გაგრძელება A3 გვერდზე

# შეკვეთილი მკვლელობების სერია რუსეთში

ბოლო ერთი თვის მანძილზე მოსკოვში მესამე შეკვეთილი მკვლელობა მოხდა - რუსეთის ცენტრალური ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილის ანდრეი კოზლოვისა და ცნობილი ჟურნალისტის ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობების შემდეგ, მოსკოვში "Внешторгбанк"-ის გენერალური დირექტორი ალექსანდრ პლოხინი მოკლეს.

მკვლელობა გუშინწინ, გვიან ღამით მოხდა. ბანკირის ცხედარი სახლის შესასვლელში, ლიფტთან იპოვეს. სამართალდამცველთა განცხადებით, პლოხინი თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობით ადგილზე გარდაიცვალა. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, მკვლელობის ადგილზე ნაპოვნია ერთი ტყვია. მკვლელობის იარაღი კი აღმოჩენილი არ არის.

მომხდართან დაკავშირებით მოსკოვის პროკურატურაში განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. გამომძიებელთა ვარაუდით, მკვლელობა შეკვეთილია.

პროკურატურა განიხილავს მკვლელობის ყველა ვერსიას, მათ შორის პროფესიული საქმიანობის მოტივით მკვლელობას.

**"Внешторгбанк"-ის გენერალური დირექტორის მკვლელობა საზოგადოების კრიმინალიზაციის შედეგია და არა საბანკო სისტემაში მიმდინარე პროცესებისა.**

**შესაძლებელია ბევრს გაუჩნდეს მოსაზრება იმის შესახებ, რომ პლოხინის მკვლელობა კოზლოვის მკვლელობის გაგრძელებაა, მაგრამ ასე არ არის"**, - განაცხადა რუსეთის საბანკო ასოციაციის პრეზიდენტმა გარეგინ ტოსუნიანმა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## რუსეთის ჯაშუშს ნიგერიაში ეძებენ

ნიგერიაში რუსეთის მოქალაქეს ჯაშუშობაში სდებენ ბრალს. როგორც სააგენტო "ფრანს-პრესზე" დაყრდნობით რუსული სააგენტოები იუწყებიან, სულ ჯაშუშობაში ბრალი ნიგერიაში ხუთ უცხოელსა და სამ ადგილობრივს ედება. საუბარია ჯაშუშობაზე რუსეთის სასარგებლოდ. ბრალდებულებს შორის არიან რუმინეთის, ისრაელისა და ირლანდიის მოქალაქეები. რუსი ბრალდებული ალექსანდრე სალნიკოვი ჯერჯერობით არ დაუკავებიათ. ამასთან, როგორც "ეხო მოსკვი" იუწყება, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ რუსეთის მოქალაქისთვის ბრალდების წაყენების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია უწყებას ჯერ არ მიუღია. **ინტერპრესნიუსი**

## პან გი მუნი კოფი ანანის ნაცვლად

გაეროს უშიშროების საბჭომ ორგანიზაციის ახალი გენერალური მდივნის ვინაობა დაასახელა. 31 დეკემბერს კოფი ანანს სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრი პან გი მუნი შეცვლის.

კოფი ანანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას სათავეში 10 წელიწადს ედგა. "უფრო ორგანიზებული სამყაროს შექმნისა და მთელს მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისთვის" 1999 წელს კოფი ანანსა და გაეროს ნობელის პრემია გადაეცათ. კოფი ანანი გაეროს მეშვიდე გენერალური და პირველი შავკანიანი მდივანია. ის არის ასევე გაეროს პირველი გენმდივანი, რომელიც ვადაზე ადრე ხელმორედ აირჩიეს. ეს 2001 წლის 29 ივნისს მოხდა.

აფრიკული ტომის ფანტეს ბელადის შვილმა კოფი ანანმა გაეროში მუშაობა 1962 წელს დაიწყო. ის ჟენევაში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საბიუჯეტო და ადმინისტრაციულ საკითხთა თანამშრომლის პოსტს იკავებდა.

გაეროს ეგიდით კოფი ანანი მუშაობდა ეგვიპტეში, ეთიოპიაში, სომალისა და მსოფლიოს სხვა რეგიონებში. **ინტერპრესნიუსი**

## თავისუფალი სიტყვა

*მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13.00 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ დავით პაიჭაძეს. გადაცემის თემაა ფეხბურთი, ხოლო გადაცემის სტუმარია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე.*

**დავით პაიჭაძე:** დღეს საქართველოს ნაკრები ეთამაშება მსოფლიო ჩემპიონს იტალიის ნაკრებს. რა იყო ფედერაციის წილი ამ მატჩის მზადებაში და როგორ გაართვა ამას თავი ფედერაციამ?

**გოგი ქავთარაძე:** ერთი თვის განმავლობაში უკვე მეორედ ვატარებთ უმნიშვნელოვანეს მატჩს განახლებულ სტადიონზე. წინა მატჩზე იყო კრიტიკა და ხარვეზები. პირველ რიგში, ეს ეხებოდა ბილეთების გაყიდვის სისტემას, რომელიც, პრინციპში, არ იყო ისეთი მოუწესრიგებელი, როგორც გამოჩნდა. პირველ დღეს იქნა შეცდომა დაშვებული, როდესაც დაგვიანდა ბილეთების მიტანა სალაროებში და სალაროების გახსნა. ამან გამოიწვია აჟიოტაჟი და სამართლიანი კრიტიკაც, რომელიც მოქალაქეების მხიდან იყო, რადგან ისინი საათობით ელოდებოდნენ სალაროების გახსნას. ამ ყველაფერმა კი, უარყოფითი ფონი შექმნა და ჩაითვალა, რომ ფეხბურთის ფედერაციამ საფრანგეთის მატჩისას ბილეთების გაყიდვაში შეცდომა დაუშვა. თვითონ მატჩი საკმაოდ მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. ჩვენ ძალიან ბევრი ვიმუშავეთ ფანკლუბზე, ახალ სიმღერაზე და კლიპზე, რომელიც საკმაოდ კარგად აიტაცა გუშემატკივარმა. ფაქტობრივად, მთელი მატჩის განმავლობაში მღეროდნენ და ჩვენს "სლოგანს" - "ჩვენ ერთი გუნდი ვართ" - საკმაოდ ხშირად სკანდირებდნენ.

**დ.პ.** ე.ი. ფანკლუბზე მუშაობა დამთავრებულია?

**გ.ქ.** რა თქმა უნდა, არ არის დამთავრებული. ჩვენ გავაგრძელეთ მუშაობა და იტალიასთან მატჩზე იმედი მაქვს, რომ კიდევ ერთხელ გამოჩნდება ჩვენი ნამუშევარი. გულშემატკივრობა მიიღებს იმ სახეს, რომელიც მთელ ევროპაშია. ამის ტრადიცია საქართველოში, სამწუხაროდ, არ არსებობდა. მაგალითად, ოთხი დღის წინ საქართველოსა და გერმანიის ნაკრებების თამაშს დავესწარი და მართლაც განსაცვიფრებელი იყო, 30 ათასი ადამიანი როგორ მღეროდა ჰიმნს, სკანდირებდა და ა.შ

**დ.პ.** კი, მაგრამ ეს არ არის გერმანიის ფედერაციის ნამუშევარი...

**გ.ქ.** არა, ეს გერმანიიის ფედერაციის ნამუშევარია. განსხვავება იმაშია, რომ მათ ამაზე მუშაობა ოცი წლის წინ დაიწყეს. სხვათა შორის, თვითონ გერმანელები ამბობდნენ, რომ 15 წუთში 0:0 რომ ყოფილიყო, საქართველოს ნაკრებთან თამაშისას, ატყდებოდა სერიოზული სტვენა. ათი წლის წინაც კი არ იყო ასეთი გულშემატკივრობა, როგორიც დღეს არის. ანუ, ამ თვალსაზრისით ისინი ძალიან გაიზარდნენ. მიუხედავად იმისა, რომ თამაშის დასაწყისში ანგარიში არ იყო გახსნილი და მატჩს თავიდან საქართველოს ნაკრები აკონტროლებდა, გერმანელები უფრო და უფრო ქომაგობდნენ თავის ნაკრებს.

**დ.პ.** მართალია, აქამდე ჩვენთან გულშემატკივრობის კულტურა არ იყო. კარგად გვახსოვს, გულშემატკივრები როგორ ჩუმად ისხდნენ სტადიონზე და გუნდს მაშინ ამხნევებდნენ, როდესაც ეს საერთოდ არ იყო საჭირო - ანუ თუ იგებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში - აგინებდნენ. გულშემატკივრის შეცვლა, მენტალობის გარდატეხის პრეტენზიას მოასწავებს. მოდით, აღწერეთ რამდენიმე ნაბიჯი, რომელიც სტადიონზე მისულ გულშემატკივარს წაახალისებს..

**გ.ქ.** ის, რაც თქვენ აღწერეთ, ალბათ იმიტომ ხდებოდა, რომ სტადიონზე მისულ გულშემატკივარს, პრინციპში, არ ხვდებოდა არაფერი. ის, უბრალოდ, მოდიოდა სტადიონზე შლიდა გაზეთს, რათა ჭუჭყიან სკამზე დაეფარებინა. არ იყო იგივე ნაკრების ატრიბუტიკის შეთავაზება, მუსიკალური გაფორმება, შოუპროგრამის ელემენტები და ა.შ, რომელიც მაყურებელს შეუქმნიდა განწყობას. წინა მატჩზე ჩავატარეთ ექსპერიმენტი და გულშემატკივარს ვთხოვეთ, მოსულიყვნენ წითელ და თეთრ ფერებში გამოწყობილი. მინდა გითხრათ, რომ ძალიან გამიკვირდა, როდესაც სტადიონის 50 პროცენტზე მეტი გამოწყობილი იყო წითელ და თეთრ ფერებში. ესეც გარკვეული ტრადიციის შექმნაა და ეს არ არის უმიზნო და უმიზეზო ნაბიჯები. ფეხბურთელებთან მქონდა გასაუბრება და ნაკრების ყველა წევრმა, ფედერაციის თანამშრომლებს გვთხოვეს საგანგებოდ, რომ მაყურებლისთვის ისევ გვეთხოვა, ორ ფერში გამოწყობილი მოსულიყვნენ. ფეხბურთელებისათვის ეს ყველაფერი დადებით მუხტს ქმნის და ეხმარება თამაშში. რა თქმა უნდა, ეს არ მოაგებინებს საქართველოს ნაკრებს იტალიასთან მატჩს. უბრალოდ, ეს არის ერთ-ერთი ელემენტი. როდესაც საქართველოს ნაკრები საფრანგეთთან აგებდა ორით ნულს, სტადიონის უმრავლესობა, სამწუხაროდ, გაჩუმდა. ამ დროს აქტიურობდნენ მხოლოდ ჩვენს მიერ აღჭურვილი და მომზადებული გულშემატკივრები, რომლებსაც სპეციალური სექტორი ჰქონდათ გამოყოფილი.

**დ.პ**. მოდით, ვისაუბროთ მედიისა და საზოგადოების გამოხმაურებაზე, იმ პროცესებთან დაკავშირებით, რომელიც დაიწყო ნაკრებში ტოპმიოლერის მოსვლით.

**გ.ქ.** აშკარად დადებითია გამოხმაურება მედიისა და საზოგადოების მხრიდან. რადიკალურად არის შეცვლილი საზოგადოება.

## როცა თემიდაც კი უძლურია...

გიორგი ასანიშვილი

*საარჩევნო ბლოკი "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილი" თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართავს სარჩელით, რომლითაც ის 5 ოქტომბრის არჩევნების შედეგებს აპროტესტებს და დედაქალაქის საკრებულოში მეორე მანდატს ითხოვს. კერძოდ, საჩივრდება ცესკო-ს 9 ოქტომბრის განკარგულება "თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების თაობაზე".*



*ოპოზიციის განცხადებით, პრეზიდენტმა სასამართლო სისტემის "გაფარჩაკება" მოახდინა.*

როგორც ცნობილია, ამ ოქმის მიხედვით, ბლოკს "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" დედაქალაქის საკრებულოში მხოლოდ ერთი მანდატი ერგო, ბლოკის ლიდერები კი მიიჩნევენ, რომ ორი მანდატი ეკუთვნით.

**"ხელისუფლებამ ჩაიფიქრა და განახორციელა მეტად მზაკვრული გეგმა. მან ჩვენთვის წართმეული მანდატი თვითონ კი არ მიითვისა, არამედ ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიას გადასცა. ამ ნაბიჯის მიზანი ოპოზიციურ ძალებს შორის არევდარევის შეტანაა, მაგრამ პროვოკაციას არ ავყვებით. ჩვენ არც ერთ ოპოზიციურ პარტიასთან არანაირი პრეტენზია არა გვაქვს. პრეტენზია გვაქვს მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციასთან და იმ პოლიტიკურ ელიტასთან, რომელიც ცესკო-ს თავისი მიზნების ხორცშესხმისთვის იყენებს,"** - აცხადებს ბლოკ "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" ერთ-ერთი ლიდერი, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი.

თუმცა, ოპოზიციური საარჩევნო ბლოკის სარჩელი, პრაქტიკულად, არაფრისმომცემია: პრეზიდენტ სააკაშვილის განკარგულებით, ახლადარჩეული თბილისის საკრებულოს პირველი სხდომა დღეისთვის არის დანიშნული, რაც რესპუბლიკელებისა და კონსერვატორების გაერთიანებული გუნდის ბრძოლას აზრს უკარგავს - როდესაც დედაქალაქის საკრებულო შეიკრიბება და დეპუტატების უფლებამოსილებას ცნობს, მათთვის მანდატის ჩამორთმევა შეუძლებელი იქნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო დეპუტატობის სხვა კანდიდატს გამოაცხადებს გამარჯვებულად.

ასეთი ვითარება ოპოზიციის ლიდერებს ძალიან აღიზიანებთ.

**"პრეზიდენტი, პრაქტიკულად, გვეუბნება: სასამართლომ რაც არ უნდა გადაწყვიტოს, მეორე მანდატს მაინც ვერ მიიღებთ, რადგან მე ასე მინდა,"** - უკმაყოფილებას ვერ ფარავს უსუფაშვილი.

პრეზიდენტს ასევე ღიად საყვედურობს ზვიად ძიძიგური: **"12 ოქტომბერს საკრებულოს მუშაობის დაწყების შესახებ განკარგულების გამოცემით, პრეზიდენტმა სასამართლო სისტემის "გაფარჩაკება" მოახდინა. არადა, ჩვენ კიდევ რვა დღე გვქონდა იმის გასარკვევად, თუ რამდენად სამართლიანად არიან შესულები დეპუტატობის კანდიდატები თბილისის საკრებულოში. როდესაც სასამართლო ხელისუფლების ასეთი იგნორირება ხდება, შეგვიძლია მივულოცოთ პრეზიდენტს, რომ მან ამ სისტემისთვის ძირის გამოთხრა წარმატებით დაასრულა."**

კანონის თანახმად, პრეზიდენტს უფლება აქვს, მუნიციპალური არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 30 დღის განმავლობაში ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა დანიშნოს. დავით უსუფაშვილის განმარტებით, ეს ის ოპტიმალური ვადაა, რომლის განმავლობაში უნდა დასრულდეს ყველა სადავო საკითხის განხილვა, ჩატარდეს განმეორებითი კენჭისყრები, დამთავრდეს ცესკო-ში ფინანსური ანგარიშების წარდგენა და ა.შ.

რესპუბლიკელების ლიდერს თავისი მოსაზრება აქვს იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ დააჩქარა მიხეილ სააკაშვილმა ახლადარჩეული საკრებულოების მუშაობის დაწყება.

**"პრეზიდენტმა პირველი სხდომა ცესკო-ს მიერ შედეგების შეჯამებიდან მესამე დღეს იმიტომ დანიშნა, რომ სასამართლოში შესაძლო გამარჯვება არ შეგვარჩინოს,"** - აცხადებს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე.

გუშინ გამართულ ბრიფინგზე დავით უსუფაშვილმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს კობა დავითაშვილი აპირებს, საკრებულოში თავისი ადგილი თინათინ ხიდაშელს დაუთმოს. თუმცა, რესპუბლიკელთა თავკაცი არ გამორიცხავს, რომ ასეთი ნაბიჯი მომავალში გადაიდგას.

**"რესპუბლიკელები და კონსერვატორები სამომავლოდ როგორ ვიმოქმედებთ, ეს შემდგომი მსჯელობის საგანია,"** - აღნიშნავს უსუფაშვილი.

## ახალი საკრებულოს მოსალოდნელი სიახლეები

თამარ დვალი

*დღეს თბილისის საკრებულოს ახალი შემადგენლობა შეიკრიბება. 37 დეპუტატისგან შემდგარი თვითმმართველობის ორგანო პირველივე სხდომაზე აირჩევს მერს. კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, ქალაქის მმართველობის სტრუქტურაში სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი.*

მას შემდეგ, რაც ახლადარჩეული საკრებულო თბილისის მერსა და საკრებულოს თავმჯდომარეს აირჩევს, მას მსჯელობა ერთ მნიშვნელოვან საკითხზეც მოუწევს. უახლოეს მომავალში თბილისის საკრებულომ თავად უნდა განსაზღვროს, თუ რა ტიპის მმართველობა სურს. საუბარია თბილისის გამგეობების გაერთიანებასა და მათ ორ ნაწილად გაყოფის შესახებ. სავარაუდოდ, თბილისში არსებული ხუთი გამგეობის ნაცვლად, ორი განყოფილება უნდა ჩამოყალიბდეს, რომელიც მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს მოიცავს.

**"დაკვირვებამ აჩვენა, რომ მოსახლეობა გამგეობის ნაცვლად, მერიაში მიდიოდა პრობლემის მოსაგვარებლად. დღეს გამგეობებს, ფაქტობრივად, დაკარგული აქვთ ფუნქციები. თუკი მოხდება თბილისის ორ ნაწილად გაყოფა, მაშინ გამგეობებს მეტი ბერკეტები ექნებათ,"** - განაცხადა პარლამენტის პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ალეკო შალამბერიძემ. მისი აზრით, დროთა განმავლობაში კიდევ უფრო დაიხვეწება ეს სტრუქტურა.

ამავე ინფორმაციით, თბილისს აღარ ეყოლება პრემიერი და ვიცე-პრემიერები. პრემიერის ფუნქციებს თბილისის მერი შეითავსებს. რადგან მერი იქნება საკრებულოს მიერ არჩეული, და არა პრეზიდენტის მიერ დანიშნული, მას მეტი უფლება-მოვალეობები ექნება.

თავიდანვე ცნობილი იყო, რომ თბილისის მერობის ყველაზე რეალური კანდიდატი "ნაციონალების" სიით გასული გიგი უგულავაა. რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარეს, იგი საკრებულოს წევრებმა შეკრებიდან არაუმეტეს 20 დღეში უნდა აირჩიონ. თავმჯდომარე არჩეულად ჩაითვლება, თუკი მის კანდიდატურას მხარს დაუჭერს საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კულუარული ინფორმაციით, საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე მთაწმინდა-კრწანისის ყოფილი გამგებლის დავით მესხიშვილის კანდიდატურა სახელდება.

რაც შეეხება დეპუტატების ფულად ანაზღაურებას, კანონის მიხედვით, გასამრჯელოს ღებულობენ მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს მდივანი, ფრაქციისა და მუდმივმოქმედი კომისიების ხელმძღვანელები.

საკრებულოს სხვა თანამდებობის პირები და წევრები თავის უფლებამოსილებას ახორციელებენ სამეწარმოო ან სამსახურებრივი საქმიანობისგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. თუმცა, წინა მოწვევის საკრებულოს გადაწყვეტილებით, რიგით დეპუტატებს დანამატის სახით 1050 ლარი დაენიშნათ. ახლაც დეპუტატებმა თავად უნდა განსაზღვრონ, თუ რამდენი ლარი დასჭირდებათ "ამომრჩევლებთან შესახვედრად". კანონის თანახმად, დეპუტატებს უფლება ჰქონდათ ადმინისტრაციული ხარჯებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტის 10 პროცენტი თავიანთი დანამატისთვის გამოეყენებინათ. ახალი პროექტის მიხედვით, ეს ზღვარი აღარ იქნება. ასე რომ, შესაძლოა ახალმა დეპუტატებმა გაცილებით მეტი დანამატი დაინიშნონ.

## "ძებნილი" დირექტორი "ფეროს" ახალ მფლობელთან ერთად გამოჩნდა

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

10 ოქტომბერს, სს "გ. ნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის" თანამშრომლებს ბრიტანული კომპანია "სტემკორის" წარმომადგენელმა ალეკო ანთაძემ ახალი გენერალური დირექტორი - ბერნდ გრაბოვი წარუდგინა.

ახალ დირექტორთან ერთად, ცხრათვიანი პაუზის შემდეგ, ქარხანაში მისი წინამორბედი ნიკა ჩიქოვანიც გამოჩნდა. ჩიქოვანმა "ფეროს" გენერალური დირექტორის მრჩევლის სავარძელი ჩაიბარა. **"როცა ახალი კომპანია და მმართველობა მოდის ქარხანაში, ბუნებრივია, მათ სურთ, რომ თავისი გენერალური დირექტორი დააყენონ ასეთი მნიშვნელოვანი საწარმოს ხელმძღვანელად. ეს გახდა ნიკა ჩიქოვანის გათავისუფლების მიზეზი, თუმცა, გარდამავალ პერიოდში ის იქნება ბატონი ბერნდის მრჩეველი,"** - აცხადებს ალეკო ანთაძე.

ცხრა თვის მანძილზე ჩიქოვანი თავს უცხოეთში აფარებდა. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 2005 წლის 30 დეკემბერს აღძრა ფინანსურმა პოლიციამ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდებისა და საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევის ფაქტებზე. ჩიქოვანთან ერთად, სისხლის სამართლის საქმე "ფეროს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ილია კოკაიას წინააღმდეგაც აღიძრა იგივე ბრალდებით და მანაც, გენერალური დირექტორის მსგავსად, გამოძიებასთან თანამშრომლობას, საზღვარგარეთ გაქცევა არჩია.

ამის შემდეგ კოკაიამ და ჩიქოვანმა ქარხნის თანამშრომლებს აუწყეს, რომ ზესტაფონის "ფეროს" აქციების საკონტროლო პაკეტი ბრიტანულ კომპანია "სტემკორს" მიჰყიდეს, რასაც ქარხანაში აღნიშნული ფირმის წარმომადგენლის ალეკო ანთაძის გამოჩენა მოჰყვა. უფრო ადრე კი, "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში" "სელრომექსის" აქციების 27 პროცენტის მფლობელი ავსტრიული ფირმა "DCM დეკომეტალის" წარმომადგენელი, პრეზიდენტ სააკაშვილის ყოფილი მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში გიგა ბედინეიშვილი გამოჩნდა, როგორც ქარხნის ახალი მმართველი.

თუმცა, საქართველოს მთავრობამ მემორანდუმის გაფორმება ბრიტანულ კომპანიასთან არჩია. იმაზე, თუ რა ბედი ეწია ფინანსური პოლიციის მიერ "ფეროში" წარმოებულ მოკვლევას, რომლითაც გაირკვა, რომ ქარხნის ყოფილი ხელმძღვანელების მხრიდან გადასახადების დამალვის შედეგად სახელმწიფოსთვის მიყენებულმა ზარალმა 106,3 მილიონ ლარი შეადგინა და დაეკისრება თუ არა ამ თანხის გადახდა ქარხნის ახალ მეპატრონეს, ალეკო ანთაძე აცხადებს: **"როგორც იცით, საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს "სტემკორთან", რომელიც განსაზღვრავს ყველა საჭირო ზომას, რათა ყველა პრობლემა იქნეს მოგვარებული. ფინანსური მდგომარეობა დღეს ქარხანაში არ არის ფერადი, მაგრამ ჩვენ ამ ყველაფერზე უკვე ვმუშაობთ".**

**"ჩვენ ახლა, ძირითადად, ორი კუთხით ვმუშაობთ: პირველ რიგში, ვატარებთ კვლევას ქარხანაში არსებული სიტუაციის დეტალური შესწავლის მიზნით. ასევე, ვმუშაობთ იმაზე, თუ რა სახის ინვესტიციები არის განსახორციელებლი, რათა ახლო მომავალში გაიზარდოს ქარხნის წარმოება. რა თქმა უნა, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია "ფეროს", "ვარციხ-ჰესისა" და "ჭიათურმანგანუმის" გაერთიანება ერთი ჰოლდინგის ქვეშ. ამჟამად ეს საკითხი იხილება საქართველოს მთავრობასთან,"** - აცხადებს "24 საათთან" საუბარში ბერნდ გრაბოვი.

უკვე ცნობილია, რომ უახლოეს მომავალში "სტემკორი", "ფეროს" გარდა, იმერეთში კიდევ ორი გიგანტი საწარმოს - სს "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხე ჰესების კასკადის" მფლობელადაც მოგვევლინება.

### მოკლედ

#### პოლონეთი საქართველოსთან იარაღით ვაჭრობას უარყოფს

პოლონეთის თავდაცვის მინისტრის რადოსლავ შიკორსკის განცხადებით, მისთვის უცნობია პოლონეთის მიერ საქართველოსთან იარაღით ვაჭრობის ფაქტები. აღნიშნული განცხადება შიკორსკიმ რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის ბრალდებებთან დაკავშირებით გააკეთა, რომლის მიხედვითაც, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები საქართველოსთან იარაღით ინტენსიურად ვაჭრობენ. შიკორსკის განცხადებით, პოლონეთი არ არის იარაღის ექსპორტიორი ქვეყანა და "ეს ყველამ კარგად უნდა იცოდეს". **მედიანიუსი**

#### ოსებმა ქართული სამშვიდობო ბატალიონის ქვედანაყოფს ცეცხლი გაუხსნეს

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული ქართული სამშვიდობო ბატალიონის ხელმძღვანელის პაატა ბედიანაშვილის ინფორმაციით, გუშინ ოსურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ცეცხლი გაუხსნეს სოფელ აჩაბეთთან დისლოცირებულ ქართულ სამშვიდობო ბატალიონის ქვედანაყოფს. ბედიანაშვილის თქმით, ცეცხლი ინტენსიური იყო. ქართული მხრიდან არავინ დაზარალებულა, "თუმცა მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა სოფელ აჩაბეთის სკოლას, რომელიც ოსურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა დაცხრილეს." პაატა ბედიანაშვილის თქმით, ქართული სამშვიდობო ბატალიონი ყველა ზომას მიიღებს ქართველი მოსახლეობის უსაფრთხოების დასაცავად. **მედიანიუსი**

#### დეპორტირებული ქართველებისთვის განსაკუთრებული პროგრამა არ იარსებებს

რუსეთიდან საქართველოში დეპორტირებულ ქართველებზე განსაკუთრებული სოციალური შეღავათები არ დაწესდება. როგორც გუშინ გამართულ მთავრობის სხდომაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა განაცხადა, რომ სახელმწიფოსთვის ყველა ქართველი თანაბარია. "საქართველოს სახელმწიფო არ ჰყოფს მოქალაქეებს საქართველოში მცხოვრებლებად და რუსეთში მცხოვრებლებად. ჩვენთვის ყველა ქართველი არის თანამემამულე. ყველა ქართველზე, მათ შორის, რუსეთიდან ჩამოსულზეც, ყველა სოციალური პროგრამა გავრცელდება. ეს დასაქმების პროგრამასაც ეხება", - აღნიშნა ლადო ჭიპაშვილმა. ის, რომ დეპორტირებული ქართველებისთვის განსაკუთრებული პროგრამა არ იარსებებს, სახელმწიფო მინისტრმა ეკონომიკური რეფორმების საკითხებში კახა ბენდუქიძემაც დაადასტურა. "დეპორტირებული ქართველები ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან და იმ უფლებებით ისარგებლებენ, რითაც საქართველოს დანარჩენი მოქალაქეები სარგებლობენ", - განაცხადა მან. **მედიანიუსი**

#### ქართველების დეპორტაციისას ერთი ავიარეისი რუსეთს 700 ათასი რუბლი უჯდება

მოსკოვიდან თბილისში საქართველოს მოქალაქეების დეპორტაცია რუსეთს საკმაოდ ძვირი უჯდება. თბილსის მიმართულებით ერთი რეისის ღირებულება 700 ათას რუბლს აღწევს. ამ ღირებულებას ემატება ეკიპაჟისა და მომსახურე პერსონალის ანაზღაურების ხარჯებიც.

რუსეთის ფედერაციის საიმიგრაციო კანონმდებლობის დარღვევის ბრალდებით მოსკოვის სასამართლოებმა დეპორტაციის შესახებ 400 გადაწყვეტილება გამოიტანეს. მოქალაქეთა ნაწილი თბილისში უკვე დეპორტირებულია, რიგში 70 მგზავრი დგას. **ჯი-ეიჩ-ენი**

#### საქართველოს საპატრიარქო უარყოფს

საქართველოს საპატრიარქო უარყოფს რუსეთის საპატრირქოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას საქართველოს პატრიარქს, ილია II-სა და რუსეთის პატრიარქს, ალექსი II-ს შორის წერილობითი მიმართვების ურთიერთგაცვლის თაობაზე.

როგორც საქართველოს საპარტიარქოს პრესმდივანმა, მამა მიქაელმა "ჯი-ეიჩ-ენთან" საუბრისას აღნიშნა, არავითარი წერილი რუსეთის საპატრიარქოს მისამართით პატრიარქს არ გაუგზავნია, შესაბამისად, არც საპასუხო გზავნილი მიუღია.

"ჯერჯერობით რაიმე მიმართვის გაგზავნა რუსეთის პატრიარქის, ალექსი II-ის მისამართით საპატრიარქოში არ იგეგმება. არც რუსეთის საპატრიარქოსგან მიგვიღია წერილი", - განაცხადა მამა მიქაელმა. რუსეთის საპატრიარქოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ რუსეთის პატრიარქს ღირსი მამა სერგეი რადიჟენსკის ხსენების დღე მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის მშვიდობა დაისადგურებს. ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ალექსი II-ის პასუხიც. "ვილოცოთ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ნდობა და მეგობრული დამოკიდებულება აღდგეს", - ნათქვამია საპასუხო წერილში. **ჯი-ეიჩ-ენი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# რუსეთი რეალობის წინაშე

პირველი გვერდიდან

ეს თეორია რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იზიდავდა რუსეთის პოლიტიკურ თუ ინტელექტუალურ ელიტას. მე-19 საუკუნის რუსეთის ერთ-ერთი თვალსაჩინო იდეოლოგის, მიხაილ კატკოვის თქმით, "რუსეთის ხელმწიფე მეტია, ვიდრე თავისი წინაპრების უბრალო მემკვიდრე; ის მემკვიდრეა აღმოსავლური რომის კეისრებისა, ეკლესიის დამფუძნებლებისა და იმ საეკლესიო კრებებისა, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ქრისტიანული სარწმუნოების არსი. ბიზანტიის დაცემასთან ერთად, მოსკოვი აღიმართა და რუსეთის სიდიადეს მიეცა დასაბამი". ("Русские ведомости" , 1882 წლის სექტემბერი). სამხედრო თვალსაზრისით, ამ თეორიის განხორციელება მოითხოვდა კავკასიის ოკუპაციას და, აქედან გამომდინარე, პლაცდარმის მომზადებას თურქეთთან განუწყვეტელი ომების წარმოების მიზნით. თურქეთში შეჭრის პერსპექტივამ, განსაკუთრებით კი, რუსეთის მიერ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების გაკონტროლების ხიფათმა, აქტიური ქმედებისკენ უბიძგა ევროპის მსხვილ სახელმწიფოებს. 1854-56 წლების ყირიმის ომმა, სადაც ბრიტანეთის, საფრანგეთისა და თურქეთის გაერთიანებული ძალები დაუპირისპირდნენ რუსეთის საზღვაო და სახმელეთო ძალებს, მნიშვნელოვნად შეზღუდა მეფის რუსეთის სტრატეგიული მიზნის, კონსტანტინოპოლის აღების განხორციელების შესაძლებლობა. ამისდა მიუხედავად, პანსლავისტური იდეა აქტუალურად ითვლებოდა რუსეთის იმპერიაში მის ფაქტობრივ აღსასრულამდე 1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციის შედეგად.

სსრკ-ს არსებობის პერიოდში, კავკასია ერთი შეხედვით კვლავ რჩებოდა ახლა უკვე კომუნისტური რუსეთისთვის შემდგომი ექსპანსიის პლაცდარმად, მაგრამ ბალკანეთში ტიტოსეული იუგოსლავიის დამოუკიდებელმა პოლიტიკამ, თურქეთისა და საბერძნეთის გაწევრიანებამ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, სულ ახლახან კი ცენტრალური ევროპის ქვეყნების ცალსახად პროდასავლურმა ორიენტაციამ, პრაქტიკულად, ბოლო მოუღო ყველანაირი პანსლავისტური თუ "ველიკორუსული" თეორიების განხორციელების პერსპექტივას და შესაბამისად, სამხრეთ კავკასიაში სამხედრო შენაერთების ყოლის აუცილებლობას.

### პრეზიდენტ პუტინის სტრატეგია

1999 წლის დეკემბერში, რუსეთის ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრმა ვლადიმირ პუტინმა გამოაქვეყნა თავისი პირველი საპროგრამო სტატია, "რუსეთი საუკუნეთა მიჯნაზე". ამ სტატიაში პუტინი ამბობს, რომ უკანასკნელი ორი-სამი საუკუნის მანძილზე რუსეთი პირველად დადგა მსოფლიო სახელმწიფოთა მეორე ან მესამე ეშელონში აღმოჩენის საფრთხის წინაშე. შესაბამისად, რუსეთის მომავალმა ლიდერმა დასახა სამოქმედო სტრატეგია, რომლის მიხედვით, მთავარი მიზანი იყო რუსეთის გარდასახვა თანამედროვე, ეკონომიკურად ძლიერ, ტექნოლოგიურად განვითარებულ და პოლიტიკურად გავლენიან სახელმწიფოდ. ამ მიზნის მისაღწევად, სახელმწიფოებრივი სტრუქტურების განმტკიცებასთან ერთად, საჭირო იყო ხელსაყრელი საერთაშორისო პირობების ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობდა რუსეთის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ინვესტიციების შემოდინებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პუტინისეული სტრატეგია სრულიად გამორიცხავდა დასავლეთთან კონფრონტაციას ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში. ეს იყო საგარეო პოლიტიკისადმი გარკვეულწილად პრაგმატული მიდგომა, რომელიც ითვალისწინებდა მხოლოდ იმ საგარეოპოლიტიკური ამოცანების დასახვას, რომლებიც რუსეთს რეალურად შეეძლო ეტვირთა. წარსულს უნდა ჩაბარებოდა პოსტსაბჭოური საგარეო პრიორიტეტები, როდესაც ევგენი პრიმაკოვის მსგავსი ჩინოვნიკები ცდილობდნენ მრავალპოლუსიანი სამყაროს შექმნას აშშ-ს შეკავების მიზნით. სამაგიეროდ, პუტინისეული სტრატეგია აშკარად ითვალისწინებდა დსთ-ს სივრცეს რუსეთის სასიცოცხლო ინტერესების ზონად და როგორც გამოჩნდა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, არ ერიდება უხეშ ზეწოლას ისეთ ქვეყნებზე, როგორც უკრაინა, მოლდოვა და საქართველოა.



### დასავლეთთან კონფრონტაციის უპერსპექტივობა ეკონომიკური კონიუნქტურის თვალსაზრისით

ხსენებულ ქვეყნებზე რუსეთის ზეწოლა ჯერჯერობით მხოლოდ ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ ხასიათს ატარებს და ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს ზეწოლა სამხედრო კონფრონტაციაშიც გადაიზარდოს. საქმე ის არის, რომ პოსტსაბჭოური სივრცე, სულ უფრო მზარდი ინტენსივობით დასავლეთის, პირველ რიგში კი, აშშ-ს ინტერესების სფეროშიც შედის და სამხედრო ინტერვენციის პირობებში რუსეთი აუცილებლად მოხვდება საერთაშორისო იზოლაციაში. ამ მხრივ საკმარისია გავიხსენოთ, რომ 2000 წლის იანვარში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ დააყენა საკითხი რუსეთის ამ ორგანიზაციიდან გარიცხვის თაობაზე ჩეჩნეთში ბარბაროსული სამხედრო ქმედებების გამო. და ეს მაშინ, როდესაც ჩეჩნეთი არ არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ხოლო სუვერენული სახელმწიფოების წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია აუცილებლად გამოიწვევს უმკაცრეს რეაქციას დასავლეთის მხრივ და, ფაქტობრივად, ჩაშლის რუსეთის ეკონომიკურად და ტექნოლოგიურად განვითარების პუტინისეულ სტრატეგიას.

მსგავსი არგუმენტების საპირწონედ შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის ქვეყნები არ წავლენ რუსეთთან კონფრონტაციაზე, რადგან რუსეთი მათთვის ენერგორესურსების უმსხვილესი მიმწოდებელია. მაგრამ ცნობილია ისიც, რომ ევროპის დედაქალაქებში სულ უფრო აქტიურად განიხილება ენერგორესურსების წყაროების დივერსიფიცირების პერსპექტივა. კერძოდ, ლაპარაკია ახალი საბადოების ათვისებაზე ლიბიასა და ალჟირში, რომ არაფერი ვთქვათ კასპიისზღვისპირეთის საბადოებზე, ხოლო მომავალში სიტუაციაზე გავლენა შესაძლოა იქონიოს ერაყსა და ირანში მოვლენების განვითარებამაც. ამიტომ, რუსეთს, თავისი პოზიციების შესანარჩუნებლად, აუცილებლად ესაჭიროება ახალი საინვესტიციო პროექტების განხორციელება (ექსპერტების ვარაუდით, 2015 წლამდე ამ ინვესტიციებმა 40-50 მილიარდი დოლარი უნდა შეადგინოს), რაც გულისხმობს პარტნიორულ და არავითარ შემთხვევაში კონფრონტაციულ ურთიერთობებს დასავლეთთან. ამ მხრივ, რუსეთისთვის მეტად სასურველია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO) გაწევრიანება, რადგან ამ შემთხვევაში მას ექნება საშუალება, მოითხოვოს მისთვის უფრო ხელსაყრელი სავაჭრო-სისტემური პირობები. არადა, WTO-ში გაწევრიანება ითვალისწინებს ქვეყანაში გარკვეული დემოკრატიული კრიტერიუმების არსებობას, ეს კი მნიშვნელოვანი ბერკეტია დემოკრატიული თანამეგობრობის ხელში რუსეთის წინააღმდეგ (ცნობილია მაგალითად, რომ საქართველოსთან სოლიდარობის მანიშნებლად, ლიტვის სეიმში უკვე გაისმა ხმები რუსეთის WTO-ში გაწევრიანებაზე თანხმობის უკან გამოწვევის შესახებ).

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ რუსეთის ეკონომიკა სრულიად არ არის დივერსიფიცირებული და უმთავრესად დამოკიდებულია ნავთობისა და გაზის ექსპორტის შედეგად მიღებულ შემოსავლებზე. ამიტომაც, კრემლს არანაირად არ უღირს დასავლეთთან პოლიტიკური კონფრონტაცია სუვერენული სახელმწიფოების წინააღმდეგ რაიმე სახის სამხედრო ავანტიურის შედეგად.

### იმპერიალისტური აზროვნება და წინასაარჩევნო ფსევდოპრაგმატიზმი

საქართველო-რუსეთს შორის არსებული საინფორმაციო ომის ფონზე, რომელმაც დასავლეთის მედია სივრცეც მოიცვა და რუსეთისთვის აშკარად არასასურველი სახე მიიღო, ეს უკანასკნელი უთუოდ შეეცდება სიტუაციის შემობრუნებას კონფლიქტურ რეგიონებში საქართველოს პროვოცირების მცდელობით. აქამდე ამ ტაქტიკამ რუსეთს არანაირი შედეგი არ მოუტანა და არაფერი გვაძლევს ეჭვის საბაბს, რომ საქართველომ გადაუხვიოს კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიან გზას საერთაშორისო თანამეგობრობის პოლიტიკური და მორალური მხარდაჭერის თანხლებით.

რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ დისკრიმინაციული ქმედება, რა თქმა უნდა, შეიძლება აიხსნას, როგორც იმპერიალისტური აზროვნების გადმონაშთი, მაგრამ არა მარტო: ორ წელიწადში ამ ქვეყანაში ხომ საპრეზიდენტო არჩევნებია და რუსული მოსახლეობის საერთო შოვინიზმის ფონზე, პუტინის ხელისუფლებას არ უნდა ამომრჩევლის თვალში გამოჩნდეს "სუსტად" (გავიხსენოთ მისი ცნობილი "Слабых бьют"), ანუ კავკასიიდან გამოძევებულად. ამით აიხსნება კიდეც რუსული პოლიტიკური "ისტებლიშმენტის" სამარცხვინო ერთსულოვნება საქართველოსთან მიმართებაში. ამ მხრივ მით უფრო მისასალმებელია ყოფილი პრემიერის, მიხაილ კასიანოვის პოზიცია, როდესაც მან საჯაროდ დაგმო კრემლისეული სანქციების პოლიტიკა. შეიძლება ბატონი კასიანოვი განასახიერებდეს კიდეც იმ "მეორე რუსეთს", რომელთანაც ჩვენ შეიძლება მოგვიწიოს მომავალში მჭიდრო ურთიერთობა.

# "აღიარებით" მუქარა

პირველი გვერდიდან

**"მათ, ვინც დღეს ამტკიცებს, რომ კოსოვოს შემთხვევა "უნიკალურია" და აფხაზეთისთვის და სამხრეთ ოსეთისთვის პრეცედენტად ვერ გამოდგება, იმედი აქვთ, რომ რუსეთს შეუძლია ისინი გაწიროს. ალბათ, დრო დადგა ეს ილუზიები გავფანტოთ და განვაცხადოთ: დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარების შემდეგ მოსკოვი "არაღიარებული სახელმწიფოების" დამოუკიდებლობას ცნობს,"** - წერს მიმომხილველი.

ავტორი აცხადებს, რომ **"საქართველოს მიერ ტერიტორიების შესაძლო დაკარგვა მისი ლიდერების პოლიტიკური შეცდომების საზღაური იქნება."** მიმომხილველი უარყოფს იმ არგუმენტს, რომ კოსოვოს პრეცედენტი დაშლის საფრთხეს თავად რუსეთს შეუქმნის. **"ელცინისეული ნახევრადდაშლის პერიოდი დასრულდა. ცენტრიდანული ტენდენციები ცენტრისკენულით შეიცვალა,"** - ეს არგუმენტი ურემენკოვს ამომწურავად მიაჩნია.

რუსეთის მიერ არაღიარებული რესპუბლიკების ცნობის საფრთხეზე ერთი თვის წინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც ისაუბრა. მისი თქმით, **"პირდაპირი მუქარა გაისმა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მხრიდან, რომ ისინი მზად იქნებიან, კოსოვოს ცნობის პარალელურად ცნონ საქართველოს სეპარატისტული ტერიტორიების დამოუკიდებლობა."**

**"საფრთხე არის უკვე უახლოეს პერიოდში, მაგრამ ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ის, რაც დავიწყეთ. ჩვენ ნამდვილად არ ვართ უმწეო ქვეყნის მდგომარეობაში და ვინც არ უნდა გადაწყვიტოს რაიმე ჩვენს ხარჯზე, აქ ვერავინ ვერ გამოისეირნებს და ვერ ჩამოგვაჭრის ჩვენი ტერიტორიის ბუნებრივ სისხლხორცეულ ნაწილს,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

**"კოსოვოს პრეცედენტზე დაყრდნობით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცნობის საკითხი რუსეთისთვისაც ძალიან რთულია. რუსეთში ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები და ინტერესები არსებობს. ალბათ, საბოლოო გადაწყვეტილება იმაზეც იქნება დამოკიდებული, ვინ აღმოჩნდება პუტინის კაბინეტში გადაწყვეტილების მიღების მომენტში, ვინ მისცემს რეკომენდაციებს,"** - აცხადებს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის პრეზიდენტი ალექსანდრე რონდელი.

მისი თქმით, **"თუ რუსეთის ხელისუფლებას ტვინი გადაუტრიალდა, ყველაფერია შესაძლებელი. თუმცა, ისინი კარგად უნდა დაფიქრდნენ, სანამ ასეთ ნაბიჯს გადადგამენ"**.

ექსპერტი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში გიორგი ხელაშვილი მიიჩნევს, რომ კოსოვოს საკითხი წლის ბოლომდე დამოუკიდებლობის სასარგებლოდ გადაწყდება, **"რის შემდეგაც მოსალოდნელია, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალმხრივი აღიარება რუსეთის მიერ"**.

**"შესაძლოა, რუსეთს მიბაძონ ასევე მისმა სატელიტმა ქვეყნებმა და იმ სახელმწიფოებმა, რომლებსაც რევოლუციების ეშინიათ ან უარყოფითად არიან განწყობილნი აშშ-ს პოლიტიკის მიმართ,"** - აცხადებს ხელაშვილი.

მისი აზრით, ამ შემთხვევაში საქართველომ ან ომი უნდა წამოიწყოს მისი ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაძევების მიზნით, ან ისარგებლოს იმით, რომ გაერო თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებს არ ცნობს და ამ რეგიონებიდან რუსეთის უკვე ყოფილი სამშვიდობო ძალების გაყვანისათვის დიპლომატიური მეთოდებით იბრძოლოს.

**"აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება რუსეთის მიერ მათ პრინცპულად ახალს არაფერს მოუტანს. სტატუს-კვო კონფლიქტების ზონებში არ შეიცვლება,"** - მიიჩნევს გიორგი ხელაშვილი.

რუსი სამხედრო და პოლიტიკური ექსპერტის პაველ ფელგენგაუერის აზრით, **"ჯერ საქართველოში კონფლიქტი უნდა გაჩაღდეს, ხოლო შემდეგ, შესაძლოა, რუსეთი აღიარების საკითხს დააყენებს"**. ექსპერტის აზრით, იმ შემთხვევაში, თუ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რაიმე პროვოკაცია მოხდება, **"ეს გამოყენებული იქნება საბაბად რუსეთის მიერ ძალების დამატებითი კონტინგენტის შეყვანისათვის "რუსეთის მოქალაქეების დაცვის მიზნით"**.

# ალექსანდროვი: ან სააკაშვილის ხელისუფლება დაემხობა, ან საქართველო რუსეთთან ცივი ომის ეტაპზე გადავა

რუსეთის დსთ-ის ქვეყნების ინსტიტუტის კავკასიის განყოფილების გამგე მიხეილ ალექსანდროვი ამბობს, რომ საქართველოს ნატოში უახლოეს მომავალში გაწევრიანების პერსპექტივა არარეალურია. საქართველო ნატოში მანამ ვერ გაწევრიანდება, ვიდრე ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები არ მოგვარდება.

"საქართველო რომ ნატოში ამჟამად არსებული სახით მიიღონ და მან რომ მეორე დღეს ნატოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მოსთხოვოს, ნატოს ჯარებმა ომი რუს სამშვიდობოებს უნდა გამოუცხადონ ან არა და უარის შემთხვევაში ნატო საკუთარ წევრს დახმარების გარეშე ტოვებს", - ამბობს ალექსანდროვი და საქართველო რუსეთის მომავალ ურთიერთობაზე პროგნოზს აკეთებს.

"მივიჩნევ, რომ უახლოეს მომავალში სააკაშვილის ხელისუფლება თანდათან შესუსტდება. ამავე დროს რუსეთში მომწიფდება აზრი რომ რუსეთმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი უნდა ცნოს. იმ დრომდე საქართველო-რუსეთის ურთიერთობები მინიმუმამდე დავა", - ამბობს ალექსანდროვი. მისივე აზრით, ან სააკაშვილის ხელისუფლება დაემხობა ან საქართველო რუსეთთან ცივი ომის ეტაპზე გადავა.

"სამხრეთ ოსეთი რუსეთს აუცილებლად შეუერთდება, აფხაზეთისთვის კი, ალბათ, რუსეთი პროტექტორატის ფორმას შეარჩევს", - დასძენს მიხეილ ალექსანდროვი. **ჯი-ეიჩ-ენი**

# განცხადება - "ქართულ-რუსული ურთიერთობების გადაუდებელ საკითხებზე"

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა კონსტანტინე ზატულინმა განცხადების - "ქართულ-რუსული ურთიერთობების გადაუდებელ საკითხებზე" - პროექტი მოამზადა.

როგორც გუშინ ზატულინმა კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის იოსიფ კობზონის მიერ ორგანიზებულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, დღეს ამ პროექტზე იმსჯელებს დსთ-ის საკითხთა კომიტეტი, ხვალ მას დუმის საბჭოზე გაიტანენ. ზატულინი იმედოვნებს, რომ პარასკევს დადგენილებას რუსეთის დუმა მიიღებს კიდეც.

განცხადების ტექსტში იმედია გამოთქმული, რომ "ქართველი ხალხი გაგებით მოეკიდება მას". იქვე აღნიშნულია, რომ რუსეთს "არასდროს ჰქონია და არც ახლა აქვს პრეტენზია საქართველოზე, ან მის რომელიმე ნაწილზე".

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, საქართველოს პრეზიდენტი "მისთვის ჩვეული უტაქტობით", თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევს ყველა ფაქტს, "მაგალითად, ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობას".

რუსეთი ქართველ ხალხთან არ ომობს და არ აპირებს მისთვის პირობების ძალიან გართულებას, აღნიშნულია განცხადებაში. იქვე მითითებულია, რომ 2006 წლის 1 ოქტომბრამდე რუსეთის ტერიტორიაზე მყოფ საქართველოს მოქალაქეებზე უნდა გავრცელდეს დოკუმენტების მიღების გამარტივებული წესები.

განცხადებაში ასევე ხაზგასმულია, რომ ქართულ-რუსული გართულებულ ურთიერთობებში დამნაშავე მიხეილ სააკაშვილია. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში დღეს პრესკონფერენცია კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის იოსიფ კობზონის ინიციატივით გაიმართა. პრესკონფერენციაზე, რომლის თემაც "ქართულ-რუსული ურთიერთობები" იყო, კობზონმა განაცხადა, რომ დღეს "გაცილებით მარტივია იყო ებრაელი, ვიდრე ქართველი". **ინტერპრესნიუსი**

# თავისუფალი განვითარება

პირველი გვერდიდან

რუსეთის ბლოკადაზე და რუსეთში ქართული ინტერესების შევიწროებაზე მთავარი პასუხი უნდა იყოს ქვეყანაში მეწარმეობის სრული თავისუფლება. მართალია, საქართველომ შეამცირა საგადასახადო განაკვეთები და გააუქმა ზოგიერთი რეგულაცია, მაგრამ საგადასახადო სისტემა მაინც რთულია და მეწარმის საქმიანობას ხელს არ უწყობს. ამას გარდა, საგადასახო კოდექსი იდეალურიც რომ იყოს, მთავარი აღსრულების მექანიზმებია. დღეს მეწარმის დაცვის მექნიზმები არ მუშაობს და ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ მიუხედავად დაბალი საგადასახადო განაკვეთების და ზოგიერთი რეგულაციის გაუქმებისა, ახალი საწარმოების და კერძო სექტორში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა შესაბამისი ტემპით არ ხდება.

ამას გარდა, დროა დავიწყოთ სამეწარმეო საქმიანობასთან და საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის დამოუკიდებელი ინსტიტუტების შექმნა. ეს საკითხი ახალი არ არის და ცნობილია, რომ მასიური დასავლური ინვესტიციების მოზიდვა საქართველოში ვერ მოხდება, სანამ ასეთი ინსტიტუტი არ იარსებებს. დასავლური ინვესტიციების გარეშე კი არ გვექნება ხარისხიანი სამუშაო ადგილები, მართვის კულტურა და გრძელვადიანი ეკონომიკური უსაფრთხოება.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობებს, თუ რუსეთის მთავრობა გააგრძელებს ქართული ბიზნეს-ინტერესების შევიწროებას, მაშინ საქართველომ ადეკვატური ზომებით უნდა უპასუხოს და **დაიწყოს რუსული ბიზნეს-ინტერესების შევიწროება საქართველოში**, რომელიც საქართველოში ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს. მაგალითისთვის, რუსეთის მხრიდან ქართული პროდუქტების აკრძალვის შემდეგ მოულოდნელად ქართულ მობილურ სატელეკომუნიკაციო ბაზარზე გამოჩნდა რუსული "ვიმპელკომი", მაშინ, როცა ბაზარზე არსებობს ორი ძლიერი კომპანია, რომელთაგან ერთი ამერიკულ ინტერესს წარმოადგენს ("მაგთიკომი"), და მეორე შვედურს ("ჯეოსელში" თურქული "თურქსელის" ინტერესია, რომელიც თავის მხრივ შვედური "ტელესონერას" შვილობილია). "ვიმპელკომის" მიერ ლიცენზიაში გადახდილი თანხა, მე მგონი, იმად არ ღირს, რომ მთელმა რუსეთმა ქართველების სატელეფონო საუბრებს უსმინოს.

ამასთან დაკავშირებით, გადასახედია საპრივატიზაციო სტრატეგიაც. ერთი მხრივ, თითქოს სამართლიანია ის, რომ სახელმწიფო ქონება გადაეცეს იმ კერძო ჯგუფებს, რომლებიც ამ ქონებაში უფრო მეტს გადაიხდიან. ეს გადახდილი თანხა იმის სტიმული უნდა გახდეს, რომ ამ ჯგუფებმა ეს ქონება ჭკვიანურად ამუშაონ: მიიღონ მოგება, შექმნან სამუშაო ადგილები და სახელმწიფოს გარკვეული გადასახადი გადაუხადონ. ამიტომ ინვესტიციებს, რაოდენობასთან ერთად, ხარისხიც უნდა ახლდეს და - იმის სურვილი და შესაძლებლობა, რომ ეს მიზნები ასრულდეს. ჩვენი ზოგიერთი მეზობლის ნავთობდოლარებით განებივრებულ სახელმწიფო კომპანიებს ბიზნესის ეფექტურობა და მართვის კულტურა ნაკლებად ესმით და აინტერესებთ; ქართულ კომპანიებზე კონტროლის შეძენით ხშირად სახელმწიფო შეკვეთას ასრულებენ. ამგვარი "ინვესტიციები" საქართველოს ვერაფერს შესძენს. საპრივატიზაციო ობიექტების სერიოზული დასავლური კომპანიებისთვის გადაცემა უფრო მეტ გრძელვადიან სარგებელს მოუტანს ქვეყანას, ვიდრე ბიუჯეტში ერთჯერადად რამდენიმე მილიონი დოლარით მეტის მიღება. ეს მიდგომა გამართლებულია როგორც თავისუფალი მეწარმეობის პრინციპიდან, ისე სტაბილურობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისითაც, ვინაიდან ჩვენ კარგი მეწარმის შემოყვანა გვინდა ქვეყანაში და არა უცხო სახელმწიფო ინტერესის.

*საერთაშორისო მიმართულებით* აქტიური ლობირებაა საჭირო *აშშ-სთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის* შესახებ ხელშეკრულების დასადებად. ამერიკას ასეთი ხელშეკრულებები ბევრ მოკავშირე ქვეყანასთან აქვს და მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პატარაა და ამერიკას ბაზრის თავალსაზრისით ბევრს ვერაფერს შესთავაზებს, საქართველოს სტაბილურობისთვის - რაც ამერიკის გრძელვადიან ინტერესებშია - ამ ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა ექნება. ეს ხელს შეუწყობდა ქართულ კომპანიებს, დაეწყოთ ამერიკული ბაზრის უზარმაზარი პოტენციალის ათვისება.

საქართველომ ასევე უნდა სთხოვოს მეგობარ ქვეყნებს, და პირველ რიგში ამერიკის შეერთებულ შტატებს, გამოყონ *სპეციალური კვოტა დროებითი სამუშაო ვიზების გასაცემად* საქართველოს მოქალაქეებზე, რაც საშუალებას მისცემს ქართველების გარკვეულ ნაწილს, სამუშაოდ აშშ-ში გაემგზავროს. საქართველო ამერიკის მეგობარი ქვეყანაა და ქართველი ჯარისკაცების სერიოზული შენართია დღესაც ერაყში, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩვენს ურთიერთობებში. ამასთან, ამერიკის ეკონომიკას ისეთი მასშტაბი აქვს, რომ დამატებით სამუშაო ძალას უფრო ადვილად დაასაქმებს, ვიდრე სხვა ქვეყნები. ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, სამწუხაროდ, ევროპელების დიდი იმედი ვერ გვექნება.

დაბოლოს, თუ ჩვენ სერიოზულად ვფიქრობთ რუსეთის ალტერნატიულ ბაზრებზე, მაშინ ამისათვის საჭირო იქნება ახალი ბაზრების ათვისების სერიოზული სტრატეგიის შექმნა. კერძო კომპანიები დღეს ამას დამოუკიდებლად ვერ მოახერხებენ. მაგალითად, აშშ არის პოტენციური ბაზარი ქართული ღვინოებისთვის, წყლისთვის, სუნელებისა და სხვა პროდუქტებისთვის. თუ იქნება შესაბამისი ძალისხმევა, 5-10 წელიწადში შესაძლებელია აშშ-დან საქართველომ იმაზე ბევრად მეტი შემოსავალი მიიღოს ღვინის და წყლის რეალიზაციით, ვიდრე რუსეთიდან იღებდა. მაგრამ საქართველოს ჯერ კიდევ ძალიან დაბალი ცნობადობა აქვს ამერიკაში და მნიშვნელოვანია ქვეყნის აქტიური მარკეტინგი, რათა ეს ცნობადობა გაიზარდოს. სწორედ ეს უნდა იყოს ახალი ბაზრების ათვისების სტრატეგიის მთავარი ელემენტი.

არც ერთი ცნობილი ღვინის მწარმოებელი ქვეყნის კომპანიას არ დაუმკვიდრებია სახელი აშშ-ში თავისი სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე. ავსტრალია, ჩილე, ავსტრია, სამხრეთ-აფრიკა და თვით საფრანგეთიც კი, ყოველწლიურად მილიონობით დოლარს ხარჯავენ აშშ-ს ბაზარზე თავიანთი ქვეყნების ღვინოების მარკეტინგისთვის. და ეს ხორციელდება სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში. ამას დაამატეთ ისიც, რომ ამერიკაში საკმაოდ დიდი მოცულობის რუსული ეთნიკური ბაზარი (ქალაქებში, სადაც ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებული ადამიანების დიდი ჯგუფები ცხოვრობენ) სავსეა ფალსიფიცირებული ქართული ღვინოებით, რომელთაც ზოგს "კინკმარაული" ჰქვია, ზოგსაც ასობით მედალი ჰკიდია, რომელიც არასოდეს მიუღია. თეთრი ფერის "ქინძმარაულსაც" მრავლად ნახავთ. სავაჭრო სახელების (ბრენდების) დამახინჯების და დაზიანების წინააღმდეგ სახელმწიფომ უნდა დაიწყოს სასამართლო საქმეები, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფოა ამ ღვინოებზე სავაჭრო სახელების მფლობელი და მხოლოდ ბრენდის მფლობელს შეუძლია სარჩელების აღძვრა. ქართული კომპანიები ამის გაკეთებას ვერ შეძლებენ.

მეწარმეობის სრული თავისუფლება, ქვეყანაში დასავლური ინვესტიციების მოზიდვისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა და ქართული პროდუქტებისთვის ახალი ბაზრების გახსნა იქნება რუსეთის ანტიქართულ პოლიტიკაზე ერთადერთი ადეკვატური პასუხი.

# სეპარატისტები აფხაზური არმიის დაბადების დღეს ზეიმობენ

გუშინ, აფხაზეთის სეპარატისტული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები დაარსების 14 წლისთავს ზეიმობდნენ. ეს დღე აფხაზეთის ე.წ. სამხდროებს ე.წ. თავდაცვის მინისტრმა სულტან სოსნალიევმა და ე.წ. პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა მიულოცეს. გუშინვე აფხაზეთში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს დაღუპულ აფხაზ მებრძოლთა საძმო სასაფლაო გვირგვინებით შეამკეს. შეგახსენებთ, რომ 1992 წლის 11 ოქტომბერს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვლადისლავ არძინბამ ხელი მოაწერა აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის შექმნის განკარგულებას. ამიტომაც ამ დღეს სეპარატისტი აფხაზები აფხაზთა შეიარაღებული ძალების დაბადების დღედ მიიჩნევენ. **ჯი-ეიჩ-ენი**


## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ასოციაცია "ატუ" აცხადებს ტენდერს მდინარე ნატანებზე "შეკვეთილ ტერიტორიაზე" ნაპირსამაგრი ნაგებობის შესასრულებლად. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა შესაბამისი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ 20 ოქტომბრამდე. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად უნდა მიმართოთ ასოციაცია "ატუს" შემდეგ მისამართზე: თბილისი ჭავჭავაძის 39 ა, მე-14 სართული, ოთახი 4.

**საკონტაქტო პირი ზურაბ თევზაძე.**
**ტელ.: 899 22 46 30**

მოკლედ

## 11 ოქტომბერი - იუსტიციის სამინისტროს მუშაკთა დღე

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მრავალწლიანი ისტორიის აღსანიშნავად და საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა პროფესიული სტიმულირების მიზნით, 11 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მუშაკთა დღე დაწესდა და ამიერიდან ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნება.

იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლის დღე უკავშირდება 1918 წლის 11 ოქტომბერს. ამ დღეს მიღებული კანონით იუსტიციის სამინისტროსთან დაარსდა საკოდიფიკაციო განყოფილება, რომელიც ახორციელებდა კანონმდებლობის კოდიფიკაციასა და "კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულის" ოფიციალურ გამოცემას. საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების რეგისტრაცია და გამოცემა იუსტიციის სამინისტროს უმნიშვნელოვანეს ფუნქციად დღესაც რჩება.

იუსტიციის სამინისტროს მუშაკთა დღის აღსანიშნავად, გუშინ იუსტიციის სამინისტროში სხვადასხვა ღონისძიება გაიმართება, სადაც მიწვეულნი იყვნენ იუსტიციის ყოფილი მინისტრები, პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი და სხვები. ღონისძიება საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ გახსნა. **მედიანიუსი**

## თევდორაძემ კომიტეტის მუშაობა შეაჯამა

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ კომიტეტის მუშაობის ანგარიში წარადგინა. მან კომიტეტის მუშაობა, საერთო ჯამში, დადებითად შეაფასა.

"კომიტეტმა 2006 წლის პირველ ნახევარში გამართა 22 სხდომა, განიხილა 72 კანონპროექტი, განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და რეკეტის შესახებ კანონპროექტზე მუშაობის პროცესში, ასევე ოჯახური ძალადობის აღკვეთის და მსხვერპლთა დაცვის შესახებ კანონპროექტში, გენდერულ კონცეფციაში, ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციაში, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონში და ასე შემდეგ" , - განაცხადა თევდორაძემ. მისივე თქმით, კომიტეტმა მიმდინარე წლის მანძილზე 1700-ზე მეტი მოქალაქე მიიღო და შეძლებისდაგვარად გაუწია მათ დახმარება. ელენე თევდორაძის განცხადებითვე, კომიტეტში შესულია 1860-ზე მეტი განცხადება. მათგან 1218-ს წერილობით გაეცა პასუხი, დანარჩენს კი ზეპირი კონსულტაცია გაეწია.

"ეს წელი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ პარლამენტმა ძალიან ბევრი კანონი მიიღო და შეიტანა კანონში ცვლილებები. თუმცა, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მიღებული კანონების ამოქმედება ვერ ხერხდება", - განაცხადა თევდორაძემ. კომიტეტის თავმჯდომარე უკმაყოფილოა იმ კანონების შესრულების ხარისხით, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვას შეეხება და რომელიც პარლამენტმა უკვე მიიღო. თევდორაძე უკმაყოფილოა იმითაც, რომ ციხეში პირობები ჯერ კიდევ არ გაუმჯობესებულა და საპყრობილეებში პატიმრების უფლებების დარღვევის ფაქტები ისევ ბევრია.

"დღემდე ვერ მოხერხდა პატიმრებისთვის გახსნილიყო მაღაზიები, დაედგათ საქალაქო ტელეფონები, დღემდე შეზღუდულია ამანათების შეტანა. ამ ყველაფერს კანონი ითვალისწინებს", - განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ. თევდორაძის ინფორმაციით, ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტი მოსახლეობისგან უკმაყოფილო წერილებს დიდი რაოდენობით იღებს, უკმაყოფილო ადამიანები შეხვედრაზეც ხშირად მიდიან. "კანონი, რომელიც პარლამენტმა იმისთვის მიიღო, რომ ადამიანების ყოფა გაუმჯობესებულიყო და ბიუროკრატიული ბარიერებისგან გათავისუფლებულიყვნენ, არ სრულდება", - განაცხადა ელენე თევდორაძემ. **24 საათი**

## ქართველი პოლიციელები აფხაზურ მილიციაში

ზუგდიდის რაიონის ზედა ოტეის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსი კახა ბობოხია და პოლიციის თანამშრომელი ბადრი პატარაძე გუშინწინ, გვიან ღამით, მას შემდეგ დააკავეს, რაც ისინი გატაცებული "06"-ის მარკის ავტომანქანას დაედევნენ და დევნის ოპერაციის დროს გადავიდნენ გალის რაიონის ტერიტორიაზე. წინასწარი ინფორმაციით, პოლიციელები აფხაზური მილიციის წარმომადგენლებმა დააკავეს და ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ისინი გალის რაიონის სოფელ საზერიოში აღმოჩნდნენ. წინასწარი ინფორმაციითვე, ამჟამად ისინი გალის რაიონის მილიციის იზოლატორში იმყოფებიან. მათ წინააღმდეგ საზღვრის უკანონო გადალახვის ბრალდებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ქართული მხარე ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ პოლიციელები ქარველ სამართალდამცველებს გადასცენ. ქართულმა მხარემ რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებსა და გაერო-ს მისიის სამხედრო დამკვირვებლებს უკვე მიმართა. **ინტერპრესნიუსი**

## ყაჩაღებმა 80 წლის მოხუცი მოკლეს

ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში ხუთი ნიღბიანი შეიარაღებული პირი თავს დაესხა გედევან თორდიას ოჯახს. თავდასხმისას სახლში იმყოფებოდნენ 80 წლის გედევან თორდია, მისი შვილიშვილი და რძალი. შეიარაღებული პირები ოჯახის წევრებისგან დიდი რაოდენობით ფულსა და ოქროს ითხოვდნენ და აცხადებდნენ, რომ ჰქონდათ დაზუსტებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თორდიების ოჯახში დიდი რაოდენობით ფული და ოქრო ინახებოდა. ოჯახის წევრები კი ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფდნენ. ყაჩაღებმა გედევან თორდია გაკოჭეს, აუკრეს პირი, რის შედეგადაც ორჯერ ინფარქტგადატანილი მოხუცი ასფიქსიით გარდაიცვლა. ამის შედეგად თავდამსხმელებმა თორდიების ოჯახი დაატოვეს და მიიმალნენ. "აღძრული სისხლის სამართლის საქმე პირად კონტროლზე აიყვანოს ზუგდიდის საოლქო პროკურორმა როლანდ ახალაიამ და დამნაშავეები უმკაცრესად დაისაჯონ", - ასეთია გარდაცვლილის ოჯახის წევრებისა და სოფელ კორცხელის მოსახლეობის მოთხოვნა. **ინტერპრესნიუსი**

## კომპანია "ევრას" გადასახადების დამალვაში ედავებიან

ფინანსური პოლიცია ვალერი გელაშვილის კუთვნილ სამშენებლო კომპანია "ევრას" გადასახადების დამალვაში ედავება. არ არის გამორიცხული, რომ კომპანიის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას. გუშინ, ფინანსური პოლიციის თანამშრომლები გლდანის რაიონში მდებარე "ევრას" ცენტრალურ ოფისში შევიდნენ და რევიზიის ჩასატარებლად საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტები ამოიღეს. როგორც ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი ლევან მხეიძე განმარტავს, პოლიციას გააჩნია კონკრეტული ინფორმაცია, რომ კომპანია მალავს დიდი ოდენობით გადასახადებს. მხეიძის თქმითვე, შემოწმდება დოკუმენტაცია, ჩატარდება რევიზია, რომლის საფუძველზეც გამოძიება იმსჯელებს. "ევრას" წარმომადგენლების განცხადებით, კომპანიას არანაირი დავალიანება არ გააჩნია და ყველა გადასახადი გადახდილი აქვს. ისინი ფინანსური პოლიციის ოპერაციას რამდენიმე თვის წინ კომპანიის დირექტორის პოსტზე "რესპუბლიკური პარტიის" წევრის, ყოფილი პარლამენტარის, ვალერი გელაშვილის დანიშვნას უკავშირებენ. ვალერი გელაშვილი ამჟამად ვილნიუსში ცხოვრობს. თბილისში ის, ცოტა ხნის წინ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, რამდენიმე დღით იმყოფებოდა. **პრაიმ-ნიუსი**


**ხარაგაულის რაიონული სასამართლოს განჩინებით 2006 წლის 3 ნოემბერს დღის 12 საათზე სასამართლოს სხდომათა დარბაზში დანიშნულია შპს "წყალკანალი"-ს კრედიტორთა კრება.**

**მისამართი: დ. ხარაგაული**
**დეკანოსიძის ქ. N5**
**ხარაგაულის რაიონული სასამართლო**



ცესკო

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება**

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის შესარჩევ ხელახალ კონკურსს**
**შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე**

**საოლქო საარჩევნო კომისია:**

| № | საოლქო საარჩევნო კომისიის № და დასახელება | საოლქო საარჩევნო კომისიებში არსებული ვაკანსია | თანამდებობრივი განაკვეთი |
|---|---|---|---|
| 1. | №63 აბაშა | 5 წევრი | 250 ლარი |

საბუთები მიიღება საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 2006 წლის 12 სა და 13 ოქტომბერს, 10-დან 18 საათამდე, შესვენება 13-დან 14-საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N32 (შესასვლელი არსენა ოძელაშვილის ქუჩის N21-დან), I სართული, საერთო სამსახური.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
ტელ: **98-70-12, 98-70-13.**


# მოსამართლეთა საერთაშორისო კონფერენცია ბათუმში

5-7 ოქტომბერს, ბათუმში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ინიციატივით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია - "დამოუკიდებელი და ეფექტური სასამართლო სისტემისათვის".

კონფერენცია მიზნად მიმდინარე სასამართლო რეფორმის ეფექტურად განხორციელებისა და მიზანმიმართულად წარმართვის მიზნით საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობას და უცხოური გამოცდილების გაზიარებას ისახავდა. მასში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებიდან, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან, რუმინეთიდან, ესტონეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან მოწვეული ექსპერტები და მოსამართლეები იღებდნენ მონაწილეობას.

კონფერენციაზე მოწვეულმა ექსპერტებმა და მოსამართლეებმა ისაუბრეს თავიანთ გამოცდილებაზე, მუშაობის ტაქტიკაზე, ვრცლად მიმოიხილეს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, სამოსამართლეო ეთიკის და დისციპლინის, სასამართლოების მართვისა და მენეჯმენტის საკითხები, ასევე სასამართლოების და საზოგადოების ურთიერთობები.



სემინარი მოსამართლეებისთვის.

**"დამოუკიდებელი და ობიექტური სასამართლო სისტემა - ეს არის ის მიზანი, რომლის მიღწევაც ყველაზე ძნელია პოსტსოციალისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ძირითადად, ეს პრობლემა ამ ქვეყნების წარსულიდან გამომდინარეობს, რომლის შესახებაც, ჩვენ ყველამ კარგად ვიცით. მიუხედავად ამისა, ამ რთული გზის გავლა წარმატებით შეძლო აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე სახელმწიფომ, მაგრამ უმრავლესობისთვის ეს მაინც პრობლემად რჩება, თუ გავითვალისწინებთ რა მნიშვნელობა აქვს სასამართლოს დამოუკიდებლობას სახელმწიფოთა დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარებისთვის, დავრწმუნდებით, რომ ყველა სახელმწიფოსთვის ასეთი სასამართლო სასიცოცხლოდ აუცილებელია. ამ მიზნით საქართველოს სასამართლო სისტემაში მართლაც მასშტაბური და ყოვლისმომცველი რეფორმა მიმდინარეობს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან, მხოლოდ ფრაგმენტული ცვლილებებით წარმატებას ნამდვილად ვერ მივაღწევთ. სწორედ ამიტომ, რეფორმა, ფაქტობრივად, ყველა მიმართულებით ძალიან ინტენსიურად მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, საბოლოო შედეგის მიღწევას დრო სჭირდება, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ ეს ცვლილებები მაქსიმალურად სწრაფად და იმავდროულად, მწყობრად და თანმიმდევრულად განვახორციელოთ,"** - განაცხადა კონფერენციაზე ბატონმა კონსტანტინე კუბლაშვილმა და მონაწილეებს რეფორმის ძირითად მიმართულებებზე ესაუბრა.

კონფერენციის მუშაობას დადებითი შეფასება მისცეს მასში მონაწილე უცხოელმა მოსამართლეებმა.

**"კონფერენცია ძალიან საინტერესო და ძალიან სასარგებლო იყო. მოსამართლეებმა ერთმანეთს ჩვენი ქვეყნების გამოცდილება გავუზიარეთ, მოსამართლეებს მუდმივად სჭირდებათ პროფესიული განვითარება და მსგავსი კონფერენციები მათ ამის საშუალებას აძლევს",** - განაცხადა გერმანიის მიწის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლემ კატრინ შენბერგმა.

**"გასული ორი წლის მანძილზე საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა სამართლებრივი სისტემის რეფორმირების მხრივ და ეს ნამდვილად აღსანიშნავია. თუმცა, სასამართლო რეფორმის დამთავრებას ძალიან ბევრი დრო სჭირდება და ეს არ ხდება ძალიან სწრაფად. ჯერ კიდევ დასაძლევია ბევრი პრობლემა, სწორედ ამიტომაც, საჭიროა და საინტერესო ასეთი კონფერენციების მოწყობა და იმ პრობლემებზე მსჯელობა, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს სასამართლოში",** - განაცხადა ამერიკის იურისტთა ასოციაციის იურიდიულ-სამართლებრივი პროგრამის დირექტორმა მერილინ ზელინმა.

კონფერენცია USAD-ის, ABA/CEELI-ის და GTZ-ის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა. კონფერენციის მონაწილეებმა დაათვალიერეს ბათუმის ღირსშესანიშნაობები და გამოთქვეს სურვილი მომავალი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

*24 საათი*

# შეკვეთილი მკვლელობების სერია რუსეთში

პირველი გვერდიდან

ერთი თვის წინათ, 13 სექტემბერს, მოსკოვში მოკლეს რუსეთის ცენტრალური ბანკის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე ანდრეი კოზლოვი, გუშინ, მასმედიით გავრცელებული ინფორმაციებით ცნობილი გახდა, რომ სამართალდამცველებმა დააკავეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი ორი პირი. დაკავებული არიან უკრაინის მოქალაქეები. ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ დაკავებულები რუსეთის სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლები, ოფიცრები არიან. თუმცა, სამართალდამცველი სტრუქტურების წარმომადგენლები ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ.

დ-ს ინფორმაციით, გასულ კვირას სამართალდამცველებმა დააკავეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი ორი პირი, უკრაინის მოქალაქეები. გაზეთის ინფორმაციით, ქილერებმა სამართალდამცველებს განუცხადეს, რომ არ იცნობენ მკვლელობის შემკვეთებს, შეკვეთა და სხვა საჭირო ინფორმაცია მათ ტელეფონით მიიღეს. მეტიც, როგორც გაზეთი სანდო წყაროზე დაყრდნობით იუწყება, ქილერთა ჩვენებით, შეკვეთის შესრულების შემდეგ მათთვის დაპირებული თანხა არ გადაუხდიათ.

**"დაკავებულთა ჩვენების საფუძველზე ჩავატარეთ საგამოძიებო ექსპერიმენტი, მაგრამ ჩვენი მცდელობა, შემკვეთებზე გავსულიყავით, უშედეგოდ დასრულდა, ეჭვმიტანილები ირწმუნებიან, რომ შემკვეთებს პირადად არ შეხვედრიან და აქედან გამომდინარე, მათი ვინაობა უცნობია,"** - განუცხადეს საგამოძიებო ჯგუფის წევრებმა გაზეთს, რომლის ინფორმაციითაც, კოზლოვის მკვლელობაში ეჭვმიტანილები ამჟამად პეტროვკაზე, საგამოძიებო იზოლატორში იმყოფებიან.

თუმცა, გაზეთის ინფორმაციას არ ადასტურებს მოსკოვის მილიციის მთავარი სამმართველოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ვიქტორ ბირუკოვი.

**"ჩვენ ასეთი ინფორმაცია არ გაგვაჩნია და მასმედიით გავრცელებულ ამ ინფორმაციაზე კომენტარს არ ვაკეთებთ",** - განუცხადა Интерфакс-ს ბირუკოვმა.

რუსეთის შსს-ს პრესსამსახურის უფროსის ალექსეი კუტილინის განცხადებით, **"მასმედიით გავრცელებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ დაკავებული არიან კოზლოვის მკვლელობაში ეჭვმიტანილები, სიმართლეს არ შეეფერება. თუმცა, ორი უკრაინელი ეჭვმიტანილი მართლაც დაკავებულია, ოღონდაც სხვა საქმეზე,"** - განაცხადა კუტილინმა.

კიდევ ერთი ხმაურიანი შეკვეთილი მკვლელობა, რომლის შესახებაც გუშინ კომენტარი მკვლელობის ორგანიზებაში ეჭვმიტანილმა ჩეჩნეთის პრემიერმა რამზან კადიროვმა გააკეთა, ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობაა.

**"ჩეჩნები არასდროს ურჩევენ საქმეს ქალებს. ჩვენთვის ქალი წმინდანია და არასდროს, არავის აღუმართავს მის წინააღმდეგ ხელი. მე ქალი არასდროს მომიკლავს და არც მოვკლავ,"** - განაცხადა კადიროვმა.

გარდა ამისა, მან კომენტარი გაუკეთა პოლიტკოვსკაიას პუბლიკაციებს, რომლითაც ჟურნალისტი ჩეჩნეთის პრემიერს უმკაცრესად აკრიტიკებდა.

**"პოლიტკოვსკაიას პუბლიკაციები ჩემს პოლიტიკურ რეპუტაციას კი არ ლახავდა, პირიქით - ჩემს იმიჯს ზრდიდა. სამართალდამცველმა სტრუქტურებმა მკვლელობის შემკვეთები მკაცრად უნდა დასაჯონ. გარდა იმისა, რომ პოლიტკოვსკაია იყო ჟურნალისტი, იყო დედა და ქალი და ამიტომაც, მისი მკვლელები აუცილებლად უნდა დაისაჯონ",** - განაცხადა კადიროვმა.

ცნობილი გახდა, რომ ანა პოლიტკოვსკაიას ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდა - რუსეთისა და ამერიკის. გუშინ ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა რუსეთში ამერიკის საელჩომ, რომლის ინფორმაციითაც, ჟურნალისტი დაიბადა ნიუ-იორკში, რადგან იმ დროს მისი მამა დიპლომატის რანგში საქმიანობდა ამერიკაში. აშშ-ს კანონმდებლობის თანახმად კი, ამერიკაში დაბადებულ ახალშობილს უფლება გააჩნია მისი სურვილით მიიღოს ამერიკის მოქალაქეობა. 90-იანი წლების დასაწყისში ანა პოლიტკოვსკაიამ ამერიკის მოქალაქეობა მიიღო.




**A ჯგუფი**

ყაზახეთი - ფინეთი ......... 0:2
სერბეთი - სომხეთი ......... 3:0
პოლონეთი - პორტუგალია .. 2:1
ბელგია - აზერბაიჯანი ...... 3:0

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სერბეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 6-1 | 10 |
| 2 | ფინეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-2 | 8 |
| 3 | ბელგია | 4 | 2 | 1 | 1 | 4-1 | 7 |
| 4 | პოლონეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 7 |
| 5 | პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 4 |
| 6 | ყაზახეთი | 4 | 0 | 2 | 2 | 1-4 | 2 |
| 7 | სომხეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |
| 8 | აზერბაიჯანი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-8 | 1 |

**B ჯგუფი**

საქართველო - იტალია ...... 1:3
უკრაინა - შოტლანდია ...... 2:0
საფრანგეთი - ფარერები .... 5:0

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საფრანგეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 11-2 | 9 |
| 2 | შოტლანდია | 4 | 3 | 0 | 1 | 9-3 | 9 |
| 3 | იტალია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| 4 | უკრაინა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 5 | ლიტვა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 6 | **საქართველო** | 4 | 1 | 0 | 3 | 9-9 | 3 |
| 7 | ფარერები | 4 | 0 | 0 | 4 | 0-18 | 0 |

**C ჯგუფი**

მალტა - უნგრეთი ........... 2:1
თურქეთი მოლდოვა ......... 5:0
ბოსნია - საბერძნეთი ........ 0:4

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | თურქეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-0 | 9 |
| 2 | საბერძნეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-0 | 9 |
| 3 | ნორვეგია | 3 | 2 | 0 | 1 | 6-2 | 6 |
| 4 | ბოსნია | 4 | 1 | 1 | 2 | 8-11 | 4 |
| 5 | უნგრეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-8 | 3 |
| 6 | მალტა | 3 | 1 | 0 | 2 | 4-8 | 3 |
| 7 | მოლდოვა | 4 | 0 | 1 | 3 | 2-10 | 1 |

**D ჯგუფი**

ირლანდია - ჩეხეთი ......... 1:1
სლოვაკეთი - გერმანია ...... 1:4
უელსი - კვიპროსი .......... 3:1

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩეხეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 13-2 | 10 |
| 2 | გერმანია | 3 | 3 | 0 | 0 | 18-1 | 9 |
| 3 | სლოვაკეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 12-9 | 6 |
| 4 | უელსი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-8 | 3 |
| 5 | კვიპროსი | 3 | 1 | 0 | 2 | 7-11 | 3 |
| 6 | ირლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |
| 7 | სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0-20 | 0 |

**E ჯგუფი**

ანდორა - მაკედონია ........ 0:3
რუსეთი - ესტონეთი ........ 2:0
ხორვატია - ინგლისი ........ 2:0

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხორვატია | 3 | 2 | 1 | 0 | 9-0 | 7 |
| 2 | ისრაელი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 3 | ინგლისი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 7 |
| 4 | მაკედონია | 4 | 2 | 1 | 1 | 4-1 | 7 |
| 5 | რუსეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 5 |
| 6 | ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-4 | 0 |
| 7 | ანდორა | 4 | 0 | 0 | 4 | 1-19 | 0 |

**F ჯგუფი**

ისლანდია - შვედეთი ........ 1:2
ლიხტენშტეინი - დანია ...... 0:4
ჩრდ. ირლანდია - ლატვია .... 1:0

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შვედეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 8-2 | 12 |
| 2 | დანია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-0 | 7 |
| 3 | ჩრდ. ირლ. | 4 | 2 | 1 | 1 | 4-5 | 7 |
| 4 | ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-2 | 3 |
| 5 | ესპანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-5 | 3 |
| 6 | ისლანდია | 4 | 1 | 0 | 3 | 4-8 | 3 |
| 7 | ლიხტენშტ. | 3 | 0 | 0 | 3 | 1-11 | 0 |

**G ჯგუფი**

ბელარუსი - სლოვენია ...... 4:2
ლუქსემბურგი - ბულგარეთი . 0:1
ჰოლანდია - ალბანეთი ...... 2:1

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჰოლანდია | 4 | 3 | 1 | 0 | 7-2 | 10 |
| 2 | ბულგარეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 3 | რუმინეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 4 | ბელარუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-10 | 4 |
| 5 | სლოვენია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 3 |
| 6 | ალბანეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |
| 7 | ლუქსემბ. | 3 | 0 | 0 | 3 | 0-4 | 0 |

*ინფოთეკა*

## გაუგებრობის მსხვერპლი

საკმაოდ დიდი ხმაური მოყვა იმ ფაქტს, რომ ქართველ სამბისტებს რუსეთის ვიზები არ მისცეს, რის გამოც საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა სამბოში მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა გამოტოვოს.

ანალოგიური ბედი გაიზიარეს ძიუდოისტებმაც, ოღონდ ამჯერად რუსეთ-საქართველოს დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობა არაფერ შუაშია. დომინიკის რესპუბლიკაში უნდა გაიმართოს მსოფლიოს ჩემპიონატი 20 წლამდე ძიუდოისტთა შორის. რა თქმა უნდა საქართველოს ნაკრები გუნდი ამ ტურნირში მონაწილეობას გეგმავდა, მაგრამ ვიზებთან დაკავშირებული გაუგებრობის გამო ჩვენი ნაკრები ფრანკფურტიდან თბილისში დაბრუნდა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილ , დომინიკის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ქართველებს შეუთვალეს ჩამოდით და ქვეყანაში შესასვლელ ვიზებს აეროპორტში მოგცემთო, ჩვენი ნაკრები კი დომინიკის რესპუბლიკაში მაიამის გავლით აპირებდა ჩასვლას. მარშრუტი ასეთი იბო, თბილისი - ფრანკფურტი - მაიამი და დომინიკის რესპუბლიკა. ფრანკფურტში ჩასულ საქართველოს ნააკრებს აშშ-ში შესასვლელი ვიზები არ ჰქონდა, რის გამოც ქართველ ძიუდოისტებს მაიამიში გამგზავრების უფლება არ მისცეს და სამშობლოში დააბრუნეს.

## რუსული "შალკე"

რუსული ბიზნესი სულ უფრო სწრაფად იკიდებს ფესვებს ევროპულ ფეხბურთში. ამჯერად რუსი ბიზნესმენების ინტერესის სფეროში გერმანული "შალკე" აღმოჩნდა. იყო საუბარი, რომ გელზენკირხენული გუნდის ყიდვა კომპანია "გაზპრომს" სრუდა, მაგრამ რუსებმა სრულად გერმანული კლუბის ყიდვა ვერ შეძლეს, სამაგიეროდ "ხუმარებსა" და ენერგეტიკულ მაგნატს შორის სპონსორული ხელშეკრულება გაფორმდა. "გაზპრომი" "შალკეს" მთავარ სპონსორად იქცა და ამიერიდან გერმანული კლუბის მაისრუაზა რუსული ლოგო იქნება.

# ჯერ ერთი ტაიმის გუნდი ვართ

პირველი გვერდიდან

რომ იტალიის ნაკრებს სულ ცოტა ორი ქულა მაინც წაართვა და ამას ვერ იყენებ, საოცრად საწყენია.

ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ახლა განტევების ვაცად, შესაძლოა, ჯაბა კანკავა იქცეს. გააძევეს ჯაბა მინდვრიდან და გოლიც გავუშვით... მაგრამ, მოდით, უფრო სიღრმისეულად შევხედოთ ყველაფერს: იყო თუ არა კანკავას გაძევება ერთი გამონაკლისი შემთხვევა, თუ ეს ჩვენი გუნდის სენად იქცა?! თავად განსაჯეთ - იტალიელებთან დაპირისპირება დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვეს გოგუამ, კობიაშვილმა და დემეტრაძემ. ახლა კი გაიხსენეთ განვლილი სამი შეხვედრა და ის, თუ პრინციპში, რა უწყინარ ვითარებაში მიიღო თითოეულმა მათგანმა ყვითელი ბარათები. თუნდაც გუშინდელი მატჩი და ლევან ცქიტიშვილის ბარათი გავიხსენოთ. ისევ გვიწევს იმის აღნიშვნა, რომ ვითარებიდან გამომდინარე, ცქიტიშვილს ეს ბარათი არ უნდა მიეღო. მოკლედ, ბოლო ხანს საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა აშკარად უმატეს წესების უაზროდ დარღვევას და ეს, ალბათ, პირველ რიგში მწვრთნელის მისახედია.

კიდევ ერთი მიზეზი - მეკარე. ლომაიამ გერმანიასთან შეხვედრაში ბრწყინვალედ ითამაშა, მაგრამ აი, დადგა უმნიშვნელოვანესი მატჩი და სრულიად უაზრო გოლი. შესაძლოა, საქართველოს ნაკრების მეკარე იმით გავამართლოთ, რომ მან სველი ბურთის მოგერიება ვერ შეძლო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება - ასეთი გოლები არ უნდა გადიოდეს!

მიზეზებზე ბევრის თქმა შეიძლება. ცხადია, როცა ფაქტობრივად განახევრებული გუნდით ეთამაშები მსოფლიოს ჩემპიონს, წარმატებაზე ფიქრი ზედმეტია, მაგრამ თუ 60 წუთი შეგიძლია ასეთი დონის მეტოქესთან თანაბრად თამაში, ბარემ საქმე ბოლომდე მიიყვანე და 90 წუთი ითამაშე ფეხბურთი. იმედია, ეს დროც დადგება.

რა თქმა უნდა, მხოლოდ უარყოფითის დანახვა უმადურობა იქნებოდა. ტოპმიოლერმა აშკარად დაატყო თავისი ხელი საქართველოს ნაკრებს და პროგრესიც სახეზეა. მაგალითად, გუშინდელ შეხვედრაში მშვენივრად ითამაშა "ჯვაროსანთა" დაცვამ. შეიძლება ითქვას, რომ კალაძე-ხიზანეიშვილის დუეტი დაცვის ცენტრში ამ დროისთვის იდეალურია, თანაც ყბადაღებული მარჯვენა მცველის პრობლემაც იხსნება, თუ ამ პოზიციაზე ზურა ხიზანიშვილი ითამაშებს. ამ ვითარებაში კი, როცა საქართველოს ნაკრები ბოლოს და ბოლოს ოპტიმალური შემადგენლობით შეიკრიბება, უკვე ასათიანის წინ წაწევაც იქნება შესაძლებელი. მოკლედ, პერსპექტივა არის, მაგრამ ასეთი მარცხი მაინც დასანანია.

ბოლოს კი ერთ დეტალზე გვსურს გავამახვილოთ თქვენი ყურადღება. მარცხის მიზეზებზე ვსაუბრობდით და შესაძლოა, უმთავრესი არ გვითქვამს. თუ კარგი ფეხბურთი გვინდა, ქვეყანა უნდა გვქონდეს უპირველეს ყოვლისა ძლიერი. ამას რატომ ვამბობთ? - რატომ და იმის გამო, რაც მატჩის ბოლოს მოხდა. ისევე, როგორც ფრანგებთან მატჩის შემდეგ, მსაჯის საფინალო სასტვენი და მინდორზე ორი ფანის გავარდნა ერთი იყო. ეს, რა თქმა უნდა, არც ისე სასიამოვნოა, მაგრამ გაცილებით უარესი იყო ის, რაც ამას მოყვა. ყველა ნორმალურ ქვეყანაში ასეთ დამრღვევებს როგორღაც აკავებენ, გაჰყავთ სტადიონიდან და შემდეგ ან აჯარიმებენ, ან კიდევ ხულიგნობისთვის სასჯელს უწესებენ. ჩვენთან კი ყველაფერი არანორმალურად ხდება - კი ბატონო, გაგექცა ერთი დამრღვევი და გაიჭრა მინდორზე, ეს არაა პრობლემა. მაგრამ როცა ამ ფანს მინდვრის ცენტრში დაიჭერ და წიხლებით შესდგები, შემდეგ კი ამ ნაცემ ფანს მიწაზე მიათრევ და ისე გაგყავს, ეს უკვე ყოველგვარ საზღვარს სცდება. ვფიქრობ, არც ამაზე დაფიქრება გვაწყენდა.

**კახა კალაძე:** "საკმაოდ დაძაბული შეხვედრა გამოდგა, სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ იტალიელებს თავიდანვე ასეთ წინააღმდეგობას გავუწევდით. მაგრამ ჩვენ ეს შევძელით და ვფიქრობ, გულშემატკივრებმა უნდა იამაყონ იმით, რა თამაშიც დღეს ჩვენ ვაჩვენეთ. პირველ რიგში, ჩვენი ბიჭების თამაშს ვგულისხმობ, თორემ, რა თქმა უნდა, საამაყო შედეგი ნამდვილად არ გვიჩვენებია. ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ესეც კარგია. იმის თქმაც შემიძლია, რომ იყო მომენტები, როცა მსოფლიოს ჩემპიონები აშკარად დავჯაბნეთ. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეორე ტაიმში კაცნაკლულებს გვიწევდა მეტოქის შეტევების მოგერიება. სამწუხაროდ, კლასმა მაინც თავისი ქნა. კიდევ და კიდევ ვამბობ, რომ მოთმინება უნდა ვიქონიოთ. დარწმუნებული ვარ, შედეგი მალე გვექნება".







*მატჩის შემდეგ სამარცხვინო ინციდენტი მოხდა.*

**ჯაბა კანკავა:** "ახლაც კი ვერ მიმხვდარვარ, რის გამო მომცა შეხვედრის არბიტრმა მეორე ყვითელი ბარათი, რომელსაც ნამდვილად არ ვიმსახურებდი. ძალიან მიჭირს ახლა ამაზე საუბარი. გულდასაწყვეტია, რომ მეორე გოლი ჩემს გაძევებას მოჰყვა. რაც შეეხება მთლიანად თამაშს, მგონი, ურიგოდ არ გვითამაშია. თან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეტოქედ მსოფლიოს ჩემპიონი გვყავდა, რომელსაც პირველი 45 წუთის განმავლობაში ტოლსწორად ვეთამაშეთ. სამწუხაროდ, დღეს იღბალმა საქართველოს ისევ ზურგი აქცია".

**ფაბიო კანავარო:** "გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ არ მეგონა, თუ საქართველოსთან თამაში თავიდან ასე გაგვიჭირდებოდა. სწორედ ამის გამო იყო, ალბათ, რომ პირველ ტაიმში მცირე მოდუნება დაგვეტყო და საკუთარ კარში გოლი მივიღეთ. საბედნიეროდ, შესვენების შემდეგ თამაში ჩვენ სასარგებლოდ შემოვაბრუნეთ და მადლობა ღმერთს, საქართველოდან გამარჯვებულები ვბრუნდებით შინ. ეს სამი ქულა ჩვენი ნაკრებისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო".

**საქართველო - იტალია 1:3**
**გოლები:** 0:1 დე როსი (17), 1:1 შაშიაშვილი (25), 1:2 კამორანეზი (60), 1:3 პეროტა (70)
**გაფრთხილება:** კანკავა, ცქიტიშვილი, შაშიაშვილი - ძამბროტა
**გაძევება:** კანკავა (60)
**საქართველო:** ლომაია, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, კალაძე, შაშიაშვილი, კანკავა, ცქიტიშვილი (კანდელაკი 74), მენთეშაშვილი, მარცვალაძე (გიგიაძე 84), კვირკველია, აშვეთია (იაშვილი 69)
**იტალია:** ბუფონი, ოდო, კანავარო (მატერაცი 73), ნესტა, პირლო (მაური 61), პეროტა, ძამბროტა, კამორანეზი (იაკინტა 86), დე როსი, ტონი, დი ნატალე

## მატჩის შემდეგ

კლაუს ტოპმიოლერი (საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "საქართველოს ნაკრებმა ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა შეხვედრა. თამაშს კარგად ვაკონტროლებდით და ძალზე ალოგიკური, უადგილო და დასანანი გოლი გავუშვით. ამის მიუხედავად, ბიჭებს ეყოთ იმის ძალა, ხასიათის სიმტკიცე და მონდომება, რომ თამაში შემოეტრიალებინათ და საპასუხო გოლი გაეტანათ. გატანილი გოლის შემდეგაც თამაში ისეთ კალაპოტში წარიმართა, რომელიც ჩვენ ხელს გვაძლევდა. როდესაც ისეთი უმაღლესი კლასის გუნდს ხვდები, როგორიც იტალიაა და რომელიც ამავე დროს მოქმედი მსოფლიო ჩემპიონია, ცოტათი მაინც უნდა გაგიმართლოს და ფორტუნა წაგეშველოს. სამწუხაროდ, მოხდა პირიქით - ფორტუნა აშკარად იტალიელთა მხარეზე იყო, როდესაც ხიზანიშვილის დარტყმული ძელმა მოიგერია. ფორტუნას გარდა იტალიელებს, ვფიქრობ, მსაჯიც აშკარად წაეხმარა. ის არ გვაკმარა, რომ ნებისმიერ სადავო სიტუაციაში იტალიელთა სასარგებლოდ იღებდა გადაწყვეტილებებს. აბსოლუტურად სათამაშო სიტუაციაში, როცა განზრახ უხეშობას ადგილი არ ჰქონდა, მსაჯმა კანკავას მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და მოედანი დაატოვებინა. ჯარიმას მაშინვე გოლი მოყვა და ბურთი ზუსტად იმ ზონიდან გაგვიტანეს, სადაც წესით კანკავა უნდა ყოფილიყო. მსოფლიო ჩემპიონატმა დაგვანახა, რომ იტალიის ნაკრები როდესაც ანგარიშში წინაურდება, როგორც წესი, ასეთ თამაშს იგებს. ჩვენ ერთხელ შევძელით ანგარიშის გათანაბრება. მეორედ, მითუმეტეს, ათკაცდარჩენილებმა, ეს ველარ მოვახერხეთ, რაშიც მე ალოგიკურს ვერაფერს ვხედავ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ძირითადი შემადგენლობის შვიდი ფეხბურთელის გარეშე ვითამაშეთ. შედეგი, რა თქმა უნდა, უარყოფითია, მაგრამ ჩემი გუნდის თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ."

რობერტო დონადონი (იტალიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "მე წინდაწინ ვაფრთხილებდი ჩემს ფეხბურთელებს, რომ საქართველოს ნაკრების ძალის შეუფასებლობა დამღუპველი იქნებოდა. ჩვენს დღევანდელ მასპინძელს მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავს, რომელსაც ამავე დროს, უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა და იძულებული იყო, სამ ქულაზე ეთამაშა. შესაბამისად, საქართველოს ნაკრები არც მოტივაციის ნაკლებობას განიცდიდა. მონდომებით, გამარჯვების ჟინით და აქტიურობით რომ ჩვენს დაწნეხვას შეეცდებოდნენ, ესეც ნათელი იყო. საქართველოს ნაკრებმა საპასუხო გოლიც გაგვიტანა, რითაც ფსიქოლოგიური უპირატესობაც მოიპოვა. თუმცა, ჩემმა გუნდმა სიმშვიდე შეინარჩუნა, ზუსტად განახორციელა მოედანზე ის მითითებები და ჩანაფიქრი, რაც მატჩამდე გვქონდა დაგეგმილი და დამსახურებულ გამარჯვებას მივაღწიეთ. რაც შეეხება მსაჯობას, მსაჯები, ისევე როგორც ფეხბურთელები და მწვრთნელები, ჩვეულებრივი ადამიანები არიან და შეცდომებისგან არ არიან დაზღვეულები. თუმცა, ამ კონკრეტულ შეხვედრას ინგლისელმა არბიტრმა, ვფიქრობ, კარგად გაართვა თავი. ყოველ შემთხვევაში, მას ისეთი შეცდომა ნამდვილად არ დაუშვია, რაც მატჩის შედეგზე მოახდენდა ზეგავლენას."

# უსტაბაში გავისტუმრეთ

*იტალიის ნაკრებმა საქართველოში სხვა მრავალთა შორის ჩვენი უსტაბაში - "სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის" პრეზიდენტი ჯანი მერლო ჩამოიყვანა. მერლო გარდა იმისა, რომ სპორტულ ჟურნალისტთა შეფია, პირველყოვლისა იტალიელია. ერთი სიტყვით, საპატიო სტუმარი თბილისში ორი სტატუსით იმყოფებოდა, როგორც "სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის" პრეზიდენტი და როგორც გულშემატკივარი. გუშინ პრესცენტრ "ახალ ამბებში" საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზედინეტის ელგუჯა ბერიშვილისა და "სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის" ხელმძღვანელის ერთობლივი პრესკონფერენცია შედგა.*

გიგა გურასაშვილი

ჯანი მერლო "სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის" პრეზიდენტად შარშან 5 მაისს აირჩიეს. შთაბეჭდილების შესაქმნელად გეტყვით, რომ 32 წლის განმავლობაში მუშაობდა "გაძეტა დელო სპორტში"! გაუშუქებია 17 ოლიმპიური თამაშები (ზაფხულისა და ზამთრის), დაახლოებით 60-მდე უმაღლესი რანგის - ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატები. აი, ასეთ სტუმართან გვქონდა საქმე. ორი დღის განმავლობაში მერლოს არაერთი შეხვედრა ჰქონდა ამა თუ იმ ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, მათ შორის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილთან.

"საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციისგან მოწვევა დიდი ხნის წინათ მივიღე. ახლა აქ ჩამოსვლის საშუალებაც მომეცა, - ვითარებაში გვარკვევს ჯანი მერლო. - ვცდილობ ხელი შევუწყო სპორტული ჟურნალისტიკის განვითარებას მთელს მსოფლიოში. ერთი წელიწადია, რაც პრეზიდენტად ამირჩიეს. ჩვენს ორგანიზაციაში ბევრი რამ შესაცველი იყო. ისევე როგორც თქვენს ქვეყანაში. შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენც და თქვენც ვითარდებით. ახლებურად ცხოვრებას ვიწყებთ.

თქვენ, სპორტულ ჟურნალისტების დიდი როლი გაკისრიათ სპორტის განვითარებში. მცდარია მოსაზრება, როდესაც ზოგიერთ ქვეყანაში სპორტულ ჟურნალისტიკას მეორეხარისხოვნად მიიჩნევენ. იყავით დამოუკიდებლები, გქონდეთ იდეალები და იამაყეთ იმით, რომ სპორტული ჟურნალისტები ხართ".

ის იყო, საპატიო სტუმარმა პაუზა გააკეთა, რომ ელგუჯა ბერიშვილმა შემდეგი გვამცნო. კერძოდ, გამორიცხული არაა 2009 წელს აიპსის კონგრესს ვუმასპინძლოთო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ჩამოვლენ ჩვენი კოლეგები მსოფლიოს 150 ქვეყნიდან.

"ვნახე როგორ ვითარდება თქვენი ქვეყანა და ვიფიქრე რატომაც არ უნდა ჩატარდეს გაისად აიპს-ის აღმასკომის გასვლითი სხდომა. ასე რომ, მნიშვნელოვანი კომპონენტები უკვე არსებობს იმისა, რომ 2009 წელს უფრო დიდ ღონისძიებასაც უმასპინძლოთ. თუმცა იქამდე დიდი სამუშაოა ჩასატარებელი.

ისე როგორ იქნებოდა იტალიელის სტუმრისგან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მომხდარით არ დავიტერესებულიყავით. მიხვდებოდით რაც იგულისხმება.

"სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით პროვოკაციული მოსაზრება მაქვს. მიმაჩნია, რომ წითელ ბარათს დოპინგ კონტროლიც უნდა მოყვებოდეს. აშკარაა, ზიდანის რეაქცია გადაჭარბებული იყო. მართალია, მოედანზე წმინდანი არავინაა, მაგრამ ასეთები არ უნდა ხდებოდეს. რა თქმა უნდა, მატერაცისგან იყო პროვოკაცია, მაგრამ ზიდანის ქმედებას შეიძლება კაციც მოეკლა. აშკარაა, მან ეს გამიზნულად გააკეთა. თუ გახსოვთ, მატჩის განმავლობაში ერთხელაც არ გაუღიმია. თანაგუნდელებსაც კი უბრაზდებოდა. 30 წელს გადაცილებული სპორტსმენისგან ყოველივე შეუფერებელი იყო.

ერთი სიტყვით, ორივე მათგანი იმსახურებდა დოპინგ შემოწმებას, რადგან შესაბამისი ქმედების მიზეზი შეიძლებოდა სწორედ დოპინგი ყოფილიყო. მოგეხსენებათ ტესტოსტერონი ადამიანს აგრესიულს ხდის. ჩემპიონები სამაგალითოები უნდა იყვნენ. ალბათ ამიტომაც ვერ გახდა ზიდანი ჩემპიონი.

ასევე უკმაყოფილო დავრჩი იმით, რომ საუკეთესო მოთამაშედ ზიდანი დაასახელეს. ჩვენი კოლეგები თავს იმით იმართლებენ, რომ ზიდანი ინციდენტამდე დავასახელეთ საუკეთესო ფეხბურთელადო. ასე არ უნდა ხდებოდეს. ამ მხრივ რაღაცეებია შესაცვლელი".

საფეხბურთო თემა საქართველო-რუსეთის დაძაბული ურთიერთობებით გაგრძელდა. კერძოდ, იმით, რომ ქართველ სამბისტებს რუსეთში გამგზავრების უფლება არ მისცეს ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა და კიდევ ის, რომ ძიუდოში საკლუბო ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება ჩამოერთვა თბილისს და გადაეცა ბუდაპეშტს. საქმე ისაა, რომ კლუბი "იავარა ნევა" რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის კლუბადაა ცნობილი.

"ამ ვითარებას არ ვეთანხმები. ყველას უნდა ჰქონდეს უფლება დაუბრკოლებლად გადალახოს ქვეყნის საზღვრები. სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან უნდა იყოს გამიჯნული. ვინც სპორტის განვითარებას უშლის ხელს, ის განწირულია...

ასოციაცის, რომელიც მე ჩავიბარე მოუქნელი გახლდათ. ახლა ჩვენ თქვენი დახმარებით ამ ორგანიზაციას მეტი ძალა უნდა შევძინოთ, მყარი სახლი უნდა ავაშენოთ. ჩვენ უფრო აგრესიულები უნდა გავხდეთ და თვალი არ დავხუჭოთ უმსგავსოებებზე".

*მოკლედ*

## ტრიკსი და ფლიკსი ჩემპიონატის სიმბოლოები

იმ დროს როცა მთელი ევროპა ევროპის ჩემპიოანტის შესარჩევი ციკლის მატებით ცხოვრობდა. ტურნირის ფინალური ეტაპის მასპინძლებს გაცილებით მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდათ გასაკეთებელი. ავსტრიასა და შვეიცარიაში ევრო-2008-ის სიმბოლოებისთვის სახელები უნდა შეერჩიათ. ტყუპების მოსანათლად ორი ქვეყნის არაერთმა გულშემატკივარმა მიიღო მონაწილეობა გამორკითხვაში და საბოლოდ გაიმარჯვა ტრიკსისა და ფლიკსის ვარიანტმა.

## კრიშტიანოს ახალი ნიჭი

"მანჩესტერ იუნაიტედისა" და პორტუგალიის ნაკრებს ნახევარმცველი კრიშტიანუ რონალდუ საკუთარ ძალებს ესტრადაზე გამოცდის. რონალდუ თავის ძმასთან და დასთან ერთად ალბომის ჩაწერას აპირებს.

თუმცა არ იფიქროთ, რომ თავად კრიშტიანუ რონალდუ აპირებს სიმღერას, ალბომი ფეხბურთელის მამის ხსოვნას ეძღვნება, რომელიც ერთი წლის წინ გარდაიცვალა, კრიშტიანუ მისი და ალმა და ძმა ხუგო სიმღერებს წერენ, რომელიც მეოთხე და კეიტიმ უნდა შეასრულოს. აღსანიშნავია, რომ კეიტი პროფესიონალი მომღერალია, მას უკვე აქვს ჩაწერილი ორი ალბომი, მისი სცენიური პსევდონიმი რონალდაა.

## მადლიერებით ანთებული ხალხის გულები!

ისინი, ვინც ვარკეთილის მესამე მასივის ზ/პ (30, 31, 32) კორპუსებში ცხოვრობენ და 35 წლისანი არიან, მაშინ პატარა, ცელქი და გულუბრყვილო ბავშვები იყვნენ, როცა მთავრობამ მათ ოჯახებს ახლად დაგებული გზის საფარი და კეთილმოწყობილი ბინები გადასცა.

35 წელი ერთობ მრავალფეროვანი, ბედნიერი და ტკივილიანი იყო, რადგანაც ცხოვრება მოულოდნელობებით სავსეა. სწორედ ეს შემოდგომა სიხარულის, ფასდაუდებელი მადლიერების გრძნობით აღსავსე და იღბლიანი გამოდგა, რადგანაც ამდენი წლის მერე დედაქალაქის პრემიერის, ბ-ნ თემურ ქურხულის, ბ-ნ ლევან ზანდუკელის, კეთილმოწყობის სამსახურის, ბ-ნ კობა სუბელიანის, მთავარი სპეციალისტის, ბ-ნ ზურა რუხაძის კეთილი, საქმიანი და იმედიანი ღიმილის ფონზე გვაჩუქეს დიდი საჩუქარი, ლამაზად დაგებული გზის საფარი, პატარა მოედნით. ჩვენი ოცნება რეალობად აქციეს "გზამშენი 11"-ის ხელმძღვანელმა, ბ-ნ როსტომ მიქაუტაძემ, შპს "საბა"-ს დირექტორმა, ბ-ნ თამაზ გუგეშაშვილმა და ერთმუშტად შეკრულმა მუშათა ჯგუფმა.

ორმოცდაათამდე მობინადრის სახელით მადლიერებას გამოვთქვამ ყველა სატელეფონო ზარის დადებითი და იმედიანი პასუხისათვის, თითოეული ხელმძღვანელისა თუ მუშის ენთუზიაზმისა და შრომისათვის. მადლიერი ხალხის გულები გლოცავენ და სჯერათ დღევანდელი დღისა, რათა წარმატებული საქმეები საწინდარია განახლებული გზისა, რომელზეც პირნათლად უნდა გავიაროთ ყველამ, თითოეულმა ჩვენგანმა.

მადლობა თქვენ, კეთილო ადამიანებო!

ღმერთი გფარავდეთ. იმედია საქართველო გაბრწყინდება!

**საერთაშორისო საქველმოქმედო კავშირ "კათარზისი"-ს მენეჯერი რიტა გურჩიანი**

# ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2006 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

კვების პროდუქტების შესყიდვა და მიწოდება

| საქონლის დასახელება | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | მიწოდების ადგილი: თბილისი №1 | თბილისი №2 | თბილისი №3 | თბილისი №4 | თბილისი №5 | თბილისი №6 | თბილისი №7 | ოქროყანა | გორი | ბათუმი №1 | ბათუმი №2 | მთლიანი რაოდენობა (ჯამში) | ერთ ფასი (ლარი) | საერთო ღირებულება (ლარი) | მიწოდების ვადები - 2006 წლის ბოლომდე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პური I ხ. ფქვ. | | კგ | 5500 | 14550 | 3010 | 4690 | 1390 | 19000 | 6400 | 3100 | 3010 | 2640 | 1400 | 64690.0 | 0.65 | 42048.50 | ყოველდღე |
| პური რუხი | | კგ | 2750 | 7300 | 1510 | 2350 | 700 | 0 | 0 | 1540 | 1510 | 1320 | 0 | 18980.0 | 0.57 | 10818.60 | ყოველდღე |
| ხორბლის ფქვ. I ხარ. | | კგ | 100 | 245 | 50 | 80 | 25 | 210 | 80 | 55 | 50 | 45 | 20 | 960.0 | 0.54 | 518.40 | თვეში ერთხელ |
| ბურღულეული | | კგ | 920 | 2430 | 500 | 780 | 240 | 2100 | 710 | 520 | 500 | 440 | 150 | 9290.0 | 1.5 | 13935.00 | თვეში ორჯერ |
| ბრინჯი | | კგ | 370 | 975 | 200 | 315 | 95 | 840 | 300 | 205 | 200 | 180 | 60 | 3740.0 | 1.2 | 4488.00 | თვეში ორჯერ |
| მაკარონის ნაწ. | | კგ | 370 | 975 | 200 | 315 | 95 | 840 | 300 | 205 | 200 | 180 | 60 | 3740.0 | 1.35 | 5049.00 | თვეში ორჯერ |
| ხორცი საქონლის | | კგ | 1830 | 4860 | 1000 | 1570 | 470 | 4200 | 1420 | 1030 | 1000 | 880 | 300 | 18560.0 | 7.2 | 133632.00 | ხუთდღეში ერთხელ |
| თევზი | | კგ | 920 | 2430 | 500 | 780 | 235 | 2100 | 710 | 515 | 500 | 440 | 150 | 9280.0 | 4 | 37120.00 | ხუთდღეში ერთხელ |
| მაწონი | | ლიტ. | | | | | | 2100 | 0 | | | | o | 2100.0 | 1.4 | 2940.00 | სამდღეში ერთხელ |
| რძის ფხვნილი | შპს „კვაზარი“ | კგ | 240 | 635 | 130 | 205 | 60 | 280 | 190 | 135 | 130 | 115 | 40 | 2160.0 | 6.4 | 13824.00 | თვეში ორჯერ |
| არაჟანი | | კგ | 190 | 490 | 100 | 160 | 50 | 1100 | 360 | 105 | 100 | 90 | 80 | 2825.0 | 3.5 | 9887.50 | სამდღეში ერთხელ |
| ხაჭო | | კგ | 190 | 490 | 100 | 160 | 50 | 650 | 220 | 105 | 100 | 90 | 50 | 2205.0 | 4.4 | 9702.00 | სამდღეში ერთხელ |
| ყველი | | კგ | 190 | 490 | 100 | 160 | 50 | 650 | 220 | 105 | 100 | 90 | 50 | 2205.0 | 6.5 | 14332.50 | ხუთდღეში ერთხელ |
| შაქარი | | კგ | 650 | 1700 | 350 | 550 | 170 | 1500 | 500 | 360 | 350 | 310 | 110 | 6550.0 | 1.45 | 9497.50 | თვეში ორჯერ |
| კარაქი | | კგ | 370 | 975 | 200 | 315 | 95 | 850 | 290 | 205 | 200 | 180 | 60 | 3740.0 | 4.4 | 16456.00 | ხუთდღეში ერთხელ |
| მარგარინი | | კგ | 95 | 245 | 50 | 80 | 25 | 210 | 75 | 55 | 50 | 45 | 15 | 945.0 | 2.2 | 2079.00 | ხუთდღეში ერთხელ |
| მცენ. ზეთი | | კგ | 185 | 490 | 100 | 160 | 50 | 420 | 150 | 105 | 100 | 90 | 30 | 1880.0 | 2.2 | 4136.00 | თვეში ორჯერ |
| კარტოფილი | | კგ | 4580 | 12140 | 2500 | 3910 | 1160 | 10500 | 3600 | 2570 | 2500 | 2200 | 800 | 46460.0 | 0.8 | 37168.00 | თვეში სამჯერ |
| კომბოსტო | | კგ | 1380 | 3650 | 750 | 1170 | 350 | 2520 | 850 | 770 | 750 | 660 | 200 | 13050.0 | 0.7 | 9135.00 | თვეში სამჯერ |
| ჭარხალი | | კგ | 280 | 730 | 150 | 235 | 70 | 630 | 220 | 160 | 150 | 135 | 50 | 2810.0 | 1.5 | 4215.00 | თვეში სამჯერ |
| სტაფილო | | კგ | 550 | 1460 | 300 | 470 | 140 | 950 | 320 | 310 | 300 | 270 | 70 | 5140.0 | 1.2 | 6168.00 | თვეში სამჯერ |
| ხახვი | | კგ | 550 | 1460 | 300 | 470 | 140 | 1500 | 500 | 310 | 300 | 270 | 110 | 5910.0 | 0.7 | 4137.00 | თვეში სამჯერ |
| კიტ.,პომ.(სეზ.) | | კგ | 150 | 390 | 80 | 125 | 40 | 420 | 140 | 85 | 80 | 70 | 30 | 1610.0 | 1 | 1610.00 | სამდღეში ერთხელ |
| ბადრ.,ისპ.ფხალ.(სეზ.) | | კგ | 80 | 210 | 45 | 70 | 20 | 210 | 70 | 45 | 45 | 40 | 15 | 850.0 | 0.5 | 425.00 | სამდღეში ერთხელ |
| მწვანილი | | კგ | 185 | 490 | 100 | 160 | 50 | 420 | 150 | 105 | 100 | 90 | 30 | 1880.0 | 2.5 | 4700.00 | სამდღეში ერთხელ |
| ნიორი | | კგ | 45 | 125 | 25 | 40 | 15 | 110 | 40 | 25 | 25 | 25 | 8 | 483.0 | 2.5 | 1207.50 | თვეში ორჯერ |
| ხილის წვენი | | ლ | 460 | 1220 | 250 | 390 | 120 | 2100 | 710 | 260 | 250 | 220 | 150 | 6130.0 | 1.7 | 10421.00 | თვეში ორჯერ |
| კისელის კონც. | | კგ | 185 | 490 | 100 | 160 | 50 | 420 | 150 | 105 | 100 | 90 | 30 | 1880.0 | 3.5 | 6580.00 | თვეში ორჯერ |
| ხილი სხვად. | შპს „კვაზარი“ | კგ | 920 | 2430 | 500 | 780 | 240 | 4200 | 1420 | 520 | 500 | 440 | 300 | 12250.0 | 2.5 | 30625.00 | ხუთდღეში ერთხელ |
| ხილფაფა | | კგ | 45 | 125 | 25 | 40 | 15 | 0 | 0 | 25 | 25 | 25 | 0 | 325.0 | 2.5 | 812.50 | თვეში ორჯერ |
| ჩაი | | კგ | 20 | 50 | 10 | 15 | 5 | 42 | 15 | 10 | 10 | 10 | 3 | 190.0 | 5 | 950.00 | თვეში ერთხელ |
| ტომატ–პასტა | | კგ | 140 | 370 | 75 | 120 | 35 | 420 | 150 | 80 | 75 | 65 | 30 | 1560.0 | 2.4 | 3744.00 | თვეში ორჯერ |
| ძმარი | | ლ | 30 | 75 | 15 | 25 | 10 | 65 | 25 | 15 | 15 | 15 | 5 | 295.0 | 1 | 295.00 | თვეში ორჯერ |
| მარილი | | კგ | 185 | 490 | 100 | 160 | 50 | 420 | 145 | 105 | 100 | 90 | 30 | 1875.0 | 0.3 | 562.50 | თვეში ერთხელ |
| წიწაკ, საკმ.–სან.. | | კგ | 5 | 13 | 3 | 4 | 1 | 11 | 4 | 3 | 3 | 2 | 1 | 50.0 | 4 | 200.00 | თვეში ერთხელ |
| თაფლი | | კგ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 630 | 220 | 0 | 0 | 0 | 50 | 900.0 | 8.4 | 7560.00 | თვეში ერთხელ |
| შოკოლადის ნაწარმი | | კგ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2100 | 710 | 0 | 0 | 0 | 150 | 2960.0 | 9 | 26640.00 | თვეში სამჯერ |
| კაკაო | | კგ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 85 | 30 | 0 | 0 | 0 | 6 | 121.0 | 7 | 847.00 | თვეში ერთხელ |
| საკონდიტრო ნაწარმი | | კგ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 4200 | 1420 | 0 | 0 | 0 | 300 | 5920.0 | 2.5 | 14800.00 | სამდღეში ერთხელ |
| მთლიანი ჯამი | | | | | | | | | | | | | | | | 503266.50 | |

# ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2006 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

| ავტოსატრანსპორტო საშუალებები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
| უაზი 31514 - 2006 წლის | | ცალი | 10 | 18585 | 185850.0 |
| უაზი-2206 - 2006 წლის | შპს ,,გეგი“ | ცალი | 1 | 19295 | 19295.0 |
| უაზი-3741 - 2006 წლის | | ცალი | 1 | 17435 | 17435.0 |
| | | | | | |

| სხვადასხვა სახის ავტოსათადარიგო ნაწილები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შესყიდვის ობიექტი | მიმწოდებელი (ტენდერში გამარჯვებული) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
| უაზი | | | | | |
| კამერა | | ცალი | 35 | 15.0 | 525.0 |
| შარნირი მარჯვენა | | ცალი | 3 | 130.0 | 390.0 |
| შარნირი მარცხენა | | ცალი | 3 | 160.0 | 480.0 |
| წევის დაბოლოება | | ცალი | 50 | 18.0 | 900.0 |
| გრძელი გამწევი | | ცალი | 3 | 70.0 | 210.0 |
| დგარის საკისარი | | ცალი | 84 | 18.0 | 1512.0 |
| ნახევარღერძის საკისარი | | ცალი | 70 | 18.0 | 1260.0 |
| დგარი | | ცალი | 13 | 110.0 | 1430.0 |
| დგარის ჩობალი | | ცალი | 40 | 3.0 | 120.0 |
| ნახევრაღერძის ჩობალი | | ცალი | 40 | 5.0 | 200.0 |
| დგარის ჭანჭიკი | | ცალი | 10 | 3.0 | 30.0 |
| სამუხრუჭე მილი | | ცალი | 75 | 5.0 | 375.0 |
| წინა მუშა ავზი | | ცალი | 50 | 18.0 | 900.0 |
| მუხრუჭის უკანა ავზი | | ცალი | 36 | 18.0 | 648.0 |
| წინა კარდანი | | ცალი | 5 | 140.0 | 700.0 |
| უკანა კარდანი | | ცალი | 6 | 130.0 | 780.0 |
| მუხრუჭის მთავარი ავზი | | ცალი | 8 | 80.0 | 640.0 |
| გადაბმულობის ქვედა ავზი | | ცალი | 10 | 18.0 | 180.0 |
| გადაბმულობის ზედა ავზი | | ცალი | 10 | 25.0 | 250.0 |
| ვაკუუმი | | ცალი | 2 | 200.0 | 400.0 |
| უკანა სამუხრუჭე ხუნდი | | კომპ | 63 | 35.0 | 2205.0 |
| წინა სამუხრუჭე ხუნდი | | კომპ | 10 | 35.0 | 350.0 |
| გადაბმულობის დისკი | შპს ,,ენ ჯი ემ კომპანი“ | ცალი | 15 | 45.0 | 675.0 |
| გადაბმულობის ქურო | | ცალი | 12 | 65.0 | 780.0 |
| დამწოლი საკისარი | | ცალი | 12 | 22.0 | 264.0 |
| გადაბმულობის ჩანგალი | | ცალი | 10 | 15.0 | 150.0 |
| ჯვართავა | | ცალი | 28 | 15.0 | 420.0 |
| რესორის რეზინები | | ცალი | 360 | 15.0 | 5400.0 |
| წინა რესორი | | ცალი | 34 | 90.0 | 3060.0 |
| უკანა რესორი | | ცალი | 3 | 90.0 | 270.0 |
| წყლის პომპა | | ცალი | 32 | 45.0 | 1440.0 |
| კარბურატორი | | ცალი | 12 | 180.0 | 2160.0 |
| წყვეტილ გამანაწილებელი | | ცალი | 10 | 60.0 | 600.0 |
| კომუტატორი | | ცალი | 18 | 30.0 | 540.0 |
| ბაბინა | | ცალი | 18 | 25.0 | 450.0 |
| სანთელი | | ცალი | 72 | 4.0 | 288.0 |
| რადიატორი | | ცალი | 4 | 280.0 | 1120.0 |
| ღვედი | | ცალი | 60 | 5.0 | 300.0 |
| ხიდები უკანა | | ცალი | 3 | 800.0 | 2400.0 |
| უკანა რედუქტორის სარემონტო კომპლექტი 37კ | | კომპ | 7 | 160.0 | 1120.0 |
| სატელიტების ჭიქა | | ცალი | 7 | 110.0 | 770.0 |
| გრძელი ნახევარღერძი | | ცალი | 10 | 170.0 | 1700.0 |
| მოკლე ნახევარღერძი | | ცალი | 10 | 140.0 | 1400.0 |
| რადიატორის მილი | | კომპ | 18 | 25.0 | 450.0 |
| დინამო | შპს ,,ენ ჯი ემ კომპანი“ | ცალი | 10 | 80.0 | 800.0 |
| სტარტერი | | ცალი | 10 | 140.0 | 1400.0 |
| ჰიდრო გამაძლიერებელი | | ცალი | 8 | 180.0 | 1440.0 |
| თერმოსტატი | | ცალი | 18 | 15.0 | 270.0 |
| ელ. სადენები | | კომპ | 18 | 12.0 | 216.0 |
| ფარები | | ცალი | 20 | 45.0 | 900.0 |
| უკანა მაშუქი | | ცალი | 8 | 17.0 | 136.0 |
| ფარის ნათურა | | ცალი | 50 | 3.0 | 150.0 |
| ბენზინის მილი | | ცალი | 28 | 10.0 | 280.0 |
| გადაცემათა კოლოფი | | ცალი | 2 | 1200.0 | 2400.0 |
| გადაცემათა კოლოფის გამაძლიერებელი | | ცალი | 2 | 1000.0 | 2000.0 |
| აკუმულიატორი | | ცალი | 18 | 120.0 | 2160.0 |
| მაზუთი | | კგ | 20 | 12.0 | 240.0 |
| ხიდის ზეთი | | ლიტრი | 200 | 4.5 | 900.0 |
| ძრავის ზეთი | | ლიტრი | 500 | 5.5 | 2750.0 |
| სამუხრუჭე სითხე | | ლიტრი | 50 | 6.5 | 325.0 |
| ჰიდრავლიკის ზეთი | | ლიტრი | 50 | 4.5 | 225.0 |
| საქარე მინის მწმენდავი | | ცალი | 45 | 7.0 | 315.0 |
| საბურავის დისკი | | ცალი | 16 | 80.0 | 1280.0 |
| ვენტილიატორი | | ცალი | 2 | 30.0 | 60.0 |
| წინა საქარე მინა | | ცალი | 4 | 120.0 | 480.0 |
| ამწევი | | ცალი | 10 | 60.0 | 600.0 |
| ანტიფრიზი | | ლიტრი | 600 | 2.6 | 1560.0 |
| ანთების გასაღები | | ცალი | 16 | 15.0 | 240.0 |
| კარდანის ჭანჭიკი | | კომპ | 18 | 2.0 | 36.0 |
| საჭის მექანიზმი | | ცალი | 7 | 300.0 | 2100.0 |
| ზეთის ფილტრი | | ცალი | 54 | 5.0 | 270.0 |
| ზეთის ტუმბო | | ცალი | 6 | 60.0 | 360.0 |
| ტაბიკი | | ცალი | 5 | 10.0 | 50.0 |
| მინების ამწე | | კომპ | 12 | 12.0 | 144.0 |
| რადიატორის თავსახური | | ცალი | 18 | 5.0 | 90.0 |
| საბუქსირე გვარლი | | ცალი | 15 | 15.0 | 225.0 |
| საჭე | | ცალი | 4 | 70.0 | 280.0 |
| ხიდის და ჭიქის საკისარი | | კომპ | 5 | 20.0 | 100.0 |
| წინა ხიდის ჩამრთველი | | კომპ | 18 | 120.0 | 2160.0 |
| გიპოიდი | | ლიტრი | 60 | 3.5 | 210.0 |
| შესაზეთი შპრიცი | | ცალი | 6 | 25.0 | 150.0 |
| ნივა | | | | | |
| კამერა | | ცალი | 8 | 8.0 | 64.0 |
| შარნირი მარჯვენა | | ცალი | 2 | 280.0 | 560.0 |
| შარნირი მარცხენა | | ცალი | 2 | 280.0 | 560.0 |
| ბურთულა თითი | | ცალი | 12 | 14.0 | 168.0 |
| წევის დაბოლოება | | ცალი | 8 | 15.0 | 120.0 |
| გრძელი გამწევი | | ცალი | 2 | 35.0 | 70.0 |
| დგარის საკისარი | | ცალი | 4 | 15.0 | 60.0 |
| ნახევრაღერძის საკისარი | | ცალი | 6 | 15.0 | 90.0 |
| დგარი | | ცალი | 2 | 90.0 | 180.0 |
| დგარის ჩობალი | | ცალი | 4 | 3.0 | 12.0 |
| ნახევარღერძის ჩობალი | შპს ,,ენ ჯი ემ კომპანი“ | ცალი | 4 | 3.0 | 12.0 |
| დგარის ჭანჭიკი | | ცალი | 6 | 2.0 | 12.0 |
| სამუხრუჭე მილი | | ცალი | 10 | 10.0 | 100.0 |
| წინა მუშა ავზი | | ცალი | 2 | 25.0 | 50.0 |
| მუხრუჭის უკანა ავზი | | ცალი | 4 | 14.0 | 56.0 |
| წინა კარდანი | | ცალი | 2 | 220.0 | 440.0 |
| უკანა კარდანი | | ცალი | 2 | 220.0 | 440.0 |
| პრომეჟუტკა | | ცალი | 4 | 140.0 | 560.0 |
| მუხრუჭის მთავარი ავზი | | ცალი | 2 | 55.0 | 110.0 |
| გადაბმოლობის ქვედა ავზი | | ცალი | 2 | 35.0 | 70.0 |
| გადაბმოლობის ზედა ავზი | | ცალი | 2 | 35.0 | 70.0 |
| ვაკუუმი | შპს ,,ენ ჯი ემ კომპანი“ | ცალი | 2 | 90.0 | 180.0 |
| უკანა სამუხრუჭე ხუნდი | | კომპ | 2 | 25.0 | 50.0 |
| წინა სამუხრუჭე ხუნდი | | კომპ | 6 | 20.0 | 120.0 |
| გადაბმულობის დისკი | | ცალი | 4 | 55.0 | 220.0 |
| გადაბმულობის პლიტა | | ცალი | 3 | 65.0 | 195.0 |
| დამწოლი საკისარი | | ცალი | 3 | 15.0 | 45.0 |
| გადაბმულობის ჩანგალი | | ცალი | 2 | 12.0 | 24.0 |
| ჯვართავა | | ცალი | 10 | 35.0 | 350.0 |
| ზედა გიტარა | | ცალი | 4 | 30.0 | 120.0 |
| ქვედა გიტარა | | ცალი | 4 | 32.0 | 128.0 |
| რაზვალნი ვტულკა | | კომპ | 4 | 35.0 | 140.0 |
| ქვ. გიტარის გრძელი ჭანჭიკი | | ცალი | 6 | 8.0 | 48.0 |
| წყლის პომპა | | ცალი | 4 | 65.0 | 260.0 |
| ელასტიური დამწოლი | | ცალი | 4 | 20.0 | 80.0 |
| კარბურატორი | | ცალი | 2 | 170.0 | 340.0 |
| წყვეტილ გამანაწილებელი | | ცალი | 2 | 65.0 | 130.0 |
| კომუტატორი | | ცალი | 2 | 25.0 | 50.0 |
| ბაბინა | | ცალი | 2 | 140.0 | 280.0 |
| სანთელი | | ცალი | 10 | 4.0 | 40.0 |
| ბენზინის ფილტრი | | ცალი | 10 | 25.0 | 250.0 |
| რადიატორი | | ცალი | 2 | 120.0 | 240.0 |
| ღვედი | | ცალი | 10 | 5.0 | 50.0 |
| ხიდები უკანა | | ცალი | 1 | 1200.0 | 1200.0 |
| რედუქტორი წინა | | ცალი | 2 | 500.0 | 1000.0 |
| რედუქტორი უკანა | | ცალი | 2 | 500.0 | 1000.0 |
| ნახევარღერძი | | ცალი | 4 | 160.0 | 640.0 |
| რადიატორის მილი | | კომპ | 4 | 15.0 | 60.0 |
| დინამო | | ცალი | 2 | 180.0 | 360.0 |
| სტარტერი | | ცალი | 3 | 180.0 | 540.0 |
| თერმოსტატი | | ცალი | 4 | 15.0 | 60.0 |
| ელ. სადენები | | კომპ | 4 | 35.0 | 140.0 |
| ფარები | | ცალი | 5 | 45.0 | 225.0 |
| უკანა მაშუქი | | ცალი | 2 | 35.0 | 70.0 |
| ფარის ნათურა | | ცალი | 10 | 5.0 | 50.0 |
| ბენზინის მილი | | ცალი | 10 | 3.0 | 30.0 |
| საყრდენი დისკი | | ცალი | 4 | 50.0 | 200.0 |
| ხელის გვარლი | | ცალი | 8 | 20.0 | 160.0 |
| გადაცემათა კოლოფი | | ცალი | 1 | 1400.0 | 1400.0 |
| გადაცემათა კოლოფის გამაძლიერებელი | | ცალი | 1 | 600.0 | 600.0 |
| აკუმულიატორი | | ცალი | 2 | 90.0 | 180.0 |
| მაზუთი | | კგ | 10 | 12.0 | 120.0 |
| ძრავის ზეთი | | ლიტრი | 50 | 7.5 | 375.0 |
| საქარე მინის მწმენდავი | | ცალი | 10 | 5.0 | 50.0 |
| საბურავის დისკი | | ცალი | 8 | 70.0 | 560.0 |
| ვენტილიატორი | | ცალი | 2 | 110.0 | 220.0 |
| წინა საქარე მინა | | ცალი | 2 | 90.0 | 180.0 |
| ამწევი | | ცალი | 2 | 85.0 | 170.0 |
| გერმეტიკი | | ცალი | 20 | 3.0 | 60.0 |
| ანთების გასაღები | | ცალი | 4 | 15.0 | 60.0 |
| კარდანის ჭანჭიკი | | კომპ | 5 | 5.0 | 25.0 |
| შესტირონკა | | ცალი | 4 | 8.0 | 32.0 |
| კომუტატორნი ბაბინა | | ცალი | 4 | 15.0 | 60.0 |
| იმპულსური დაჩიკი | | ცალი | 4 | 30.0 | 120.0 |
| რულავოი კალონკა | | ცალი | 2 | 170.0 | 340.0 |
| ბურთულა თითი პილნიკი | | ცალი | 20 | 2.0 | 40.0 |
| ყუმბარის პილნიკი | | ცალი | 8 | 5.0 | 40.0 |
| ზეთის ფილტრი | | ცალი | 10 | 8.0 | 80.0 |
| ზეთის ნასოსი | | ცალი | 2 | 35.0 | 70.0 |
| მინების ამწე | | კომპ | 14 | 10.0 | 140.0 |
| რადიატორის თავსახური | | ცალი | 3 | 5.0 | 15.0 |
| საბუქსირე გვარლი | | ცალი | 5 | 15.0 | 75.0 |
| საჭის ღერძი | | ცალი | 2 | 30.0 | 60.0 |
| საჭის დურბინდი | | ცალი | 2 | 25.0 | 50.0 |
| მიკრო ავტობუსი | | | | | |
| კამერა | | ცალი | 4 | 15.0 | 60.0 |
| შარნირი მარჯვენა | | ცალი | 1 | 130.0 | 130.0 |
| შარნირი მარცხენა | | ცალი | 1 | 160.0 | 160.0 |
| წევის დაბოლოება | | ცალი | 2 | 18.0 | 36.0 |
| გრძელი გამწევი | | ცალი | 2 | 70.0 | 140.0 |
| დგარის საკისარი | | ცალი | 4 | 18.0 | 72.0 |
| ნახევარღერძის საკისარი | | ცალი | 4 | 18.0 | 72.0 |
| დგარი | | ცალი | 1 | 110.0 | 110.0 |
| დგარის ჩობალი | | ცალი | 2 | 3.0 | 6.0 |
| ნახევარღერძის ჩობალი | | ცალი | 2 | 5.0 | 10.0 |
| დგარის ჭანჭიკი | | ცალი | 2 | 3.0 | 6.0 |
| სამუხრუჭე მილი | | ცალი | 5 | 5.0 | 25.0 |
| წინა მუშა ავზი | | ცალი | 4 | 18.0 | 72.0 |
| მუხრუჭის უკანა ავზი | | ცალი | 2 | 18.0 | 36.0 |
| წინა კარდანი | | ცალი | 1 | 140.0 | 140.0 |
| უკანა კარდანი | | ცალი | 1 | 130.0 | 130.0 |
| მუხრუჭის მთავარი ავზი | | ცალი | 1 | 80.0 | 80.0 |
| გადაბმულობის ქვედა ავზი | | ცალი | 1 | 18.0 | 18.0 |
| გადაბმულობის ზედა ავზი | | ცალი | 1 | 25.0 | 25.0 |
| ვაკუუმი | | ცალი | 1 | 200.0 | 200.0 |
| უკანა სამუხრუჭე ხუნდი | | კომპ | 1 | 35.0 | 35.0 |
| გადაბმულობის დისკი | | ცალი | 1 | 45.0 | 45.0 |
| გადაბმულობის ქურო | | ცალი | 1 | 65.0 | 65.0 |
| დამწოლი საკისარი | | ცალი | 1 | 22.0 | 22.0 |
| გადაბმულობის ჩანგალი | | ცალი | 1 | 15.0 | 15.0 |
| ჯვართავა | | ცალი | 8 | 15.0 | 120.0 |
| რესორის რეზინები | | ცალი | 16 | 15.0 | 240.0 |
| წინა რესორი | შპს ,,ენ ჯი ემ კომპანი“ | ცალი | 3 | 120.0 | 360.0 |
| უკანა რესორი | | ცალი | 2 | 120.0 | 240.0 |
| წყლის პომპა | | ცალი | 1 | 45.0 | 45.0 |
| კარბურატორი | | ცალი | 1 | 180.0 | 180.0 |
| წყვეტილ გამანაწილებელი | | ცალი | 1 | 60.0 | 60.0 |
| კომუტატორი | | ცალი | 1 | 30.0 | 30.0 |
| ბაბინა | | ცალი | 1 | 25.0 | 25.0 |
| სანთელი | | ცალი | 5 | 4.0 | 20.0 |
| რადიატორი | | ცალი | 1 | 280.0 | 280.0 |
| ღვედი | | ცალი | 2 | 5.0 | 10.0 |
| ხიდები უკანა | | ცალი | 1 | 800.0 | 800.0 |
| უკანა რედუქტორის სარემონტო კომპლექტი 37კ | | ცალი | 1 | 160.0 | 160.0 |
| სატელიტების ჭიქა | | ცალი | 1 | 110.0 | 110.0 |
| გრძელი საკისარი | | ცალი | 1 | 170.0 | 170.0 |
| მოკლე საკისარი | | ცალი | 1 | 140.0 | 140.0 |
| რადიატორის მილი | | კომპ | 1 | 25.0 | 25.0 |
| დინამო | | ცალი | 1 | 80.0 | 80.0 |
| სტარტერი | | ცალი | 1 | 140.0 | 140.0 |
| ჰიდრო გამაძლიერებელი | | ცალი | 1 | 180.0 | 180.0 |
| თერმოსტატი | | ცალი | 1 | 15.0 | 15.0 |
| ელ. სადენები | | კომპ | 1 | 12.0 | 12.0 |
| ფარები | | ცალი | 2 | 45.0 | 90.0 |
| უკანა მაშუქი | | ცალი | 1 | 17.0 | 17.0 |
| ფარის ნათურა | | ცალი | 5 | 3.0 | 15.0 |
| ბენზინის მილი | | ცალი | 3 | 10.0 | 30.0 |
| გადაცემათა კოლოფი | | ცალი | 1 | 1200.0 | 1200.0 |
| გადაცემათა კოლოფის გამაძლიერებელი | | ცალი | 1 | 1200.0 | 1200.0 |
| აკუმულიატორი | შპს ,,ენ ჯი ემ კომპანი“ | ცალი | 2 | 120.0 | 240.0 |
| მაზუთი | | კგ | 10 | 12.0 | 120.0 |
| ძრავის ზეთი | | ლიტრი | 15 | 5.5 | 82.5 |
| ჰიდრავლიკის ზეთი | | ლიტრი | 5 | 4.5 | 22.5 |
| საქარე მინის მწმენდავი | | ცალი | 4 | 7.0 | 28.0 |
| საბურავის დისკი | | ცალი | 4 | 80.0 | 320.0 |
| წინა საქარე მინა | | ცალი | 1 | 120.0 | 120.0 |
| ამწევი | | ცალი | 1 | 60.0 | 60.0 |
| ანთების გასაღები | | ცალი | 1 | 15.0 | 15.0 |
| კარდანის ჭანჭიკი | | კომპ | 2 | 2.0 | 4.0 |
| საჭის მექანიზმი | | ცალი | 1 | 250.0 | 250.0 |
| ზეთის ფილტრი | | ცალი | 5 | 5.0 | 25.0 |
| ზეთის ნასოსი | | ცალი | 1 | 60.0 | 60.0 |
| რადიატორის თავსახური | | ცალი | 2 | 2.0 | 4.0 |
| წინა ხიდის ჩამრთველი | | კომპ | 2 | 120.0 | 240.0 |
| კამაზი | | | | | |
| კამერა | შპს ,,ენ ჯი ემ კომპანი“ | ცალი | 16 | 23.0 | 368.0 |
| შარნირი მარჯვენა | | ცალი | 1 | 300.0 | 300.0 |
| შარნირი მარცხენა | | ცალი | 1 | 320.0 | 320.0 |
| წევის დაბოლოება | | ცალი | 10 | 55.0 | 550.0 |
| გრძელი გამწევი | | ცალი | 2 | 160.0 | 320.0 |
| დგარის საკისარი | | ცალი | 12 | 35.0 | 420.0 |
| ნახევარღერძის საკისარი | | ცალი | 24 | 35.0 | 840.0 |
| დგარი (2წინა და 2 უკანა) | | ცალი | 4 | 300.0 | 1200.0 |
| დგარის ჩობალი | | ცალი | 16 | 7.0 | 112.0 |
| ნახაევარღერძის ჩობალი | | ცალი | 12 | 10.0 | 120.0 |
| დგარის ჭანჭიკი | | ცალი | 16 | 10.0 | 160.0 |
| სამუხრიჭე მილი | | ცალი | 24 | 15.0 | 360.0 |
| წინა მუშა ავზი | | ცალი | 12 | 80.0 | 960.0 |
| მუხრუჭის უკანა ავზი | | ცალი | 12 | 220.0 | 2640.0 |
| წინა კარდანი | | ცალი | 2 | 450.0 | 900.0 |
| უკანა კარდანი | | ცალი | 2 | 350.0 | 700.0 |
| მუხრუჭის მთავარი ავზი | | ცალი | 3 | 180.0 | 540.0 |
| გადაბმულობის ქვედა ავზი | | ცალი | 3 | 250.0 | 750.0 |
| გადაბმულობის ზედა ავზი | | ცალი | 3 | 120.0 | 360.0 |
| უკანა სამუხრუჭე ხუნდი | | კომპ | 3 | 160.0 | 480.0 |
| წინა სამუხრუჭე ხუნდი | | კომპ | 3 | 160.0 | 480.0 |
| გადაბმულობის დისკი | | ცალი | 18 | 70.0 | 1260.0 |
| გადაბმულობის ქურო | | ცალი | 3 | 350.0 | 1050.0 |
| დამწოლი საკისარი | | ცალი | 6 | 45.0 | 270.0 |
| ჯვართავა | | ცალი | 24 | 45.0 | 1080.0 |
| წინა რესორი | | ცალი | 4 | 400.0 | 1600.0 |
| წყლის პომპა | | ცალი | 3 | 120.0 | 360.0 |
| დიზელის ფილტრი | | ცალი | 12 | 3.0 | 36.0 |
| რადიატორი | | ცალი | 2 | 750.0 | 1500.0 |
| ღვედი | | კომპ | 6 | 15.0 | 90.0 |
| რედუქტორი უკანა | | ცალი | 2 | 3500.0 | 7000.0 |
| გრძელი ნახევარღერძი | | ცალი | 3 | 180.0 | 540.0 |
| მოკლე ნახევარღერძი | | ცალი | 3 | 170.0 | 510.0 |
| რადიატორის მილი | | კომპ | 3 | 35.0 | 105.0 |
| დინამო | | კგ | 8 | 280.0 | 2240.0 |
| სტარტერი | | ცალი | 3 | 350.0 | 1050.0 |
| ჰიდრო გამაძლიერებელი | | ცალი | 3 | 250.0 | 750.0 |

გაგრძელება A8 გვერდზე

# დატოვეთ თანამდებობები და იცხოვრეთ ლაღად

## ოთარ იოსელიანის უკანასკნელმა ფილმმა "პრომეთე" გახსნა

ნინია კაკაბაძე



*ოთარ იოსელიანი (ცენტრში) საკუთარ ფილმში.*

კინოფესტივალი "პრომეთე" თბილისში უკვე მეშვიდედ გაიხსნა. გახსნის ცერემონიალი ტრადიცულად მოკრძალებული, წყნარი და მშვიდი იყო: ფესტივალის დირექტორის ნინო ანჯაფარიძის, კულტურის მინისტრის გოკა გაბაშვილის, კინოცენტრის ხელმძღვანელის გაგა ჩხეიძის მისასალმებელი სიტყვა და ჟიურის წევრების წარდგენა. წელს პირველად ქალაქის მერიის კულტურის სამსახურმა მონაწილეობა არ მიიღო კინოფესტივალის დაფინანსებაში. სავარაუდო მიზეზების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ამიტომ შედეგზე მოგახსენებთ. დღეს ნათელია, რომ საქართველოში კინოინდუსტრიის მშენებლობა იწყება, გაჩნდა რამდენიმე კერძო სტუდია, რომელიც სხვადასხვა ქართველი რეჟისორების ფილმებს აფინანსებს, ამოქმედდა ეროვნული კინოცენტრი და ქართულმა ფილმებმა უკვე დაიწყეს საერთაშორისო, პრესტიჟულ კინოფესტივალებში მონაწილეობა. ვფიქრობთ ასეთ დროს, კინო, როგორც ერთ-ერთი ყველაზე კოსმოპოლიტური ხელოვნების დარგი, სრულად უნდა იყოს მხარდაჭერილი სახელწიფოსგან. ქვეყანაში მხოლოდ ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია ჩვენი მომავალი განვითარების გარანტი ვერ იქნება. ისეთი სახის გამოცდილების გაზიარება, რასაც საერთაშორისო კინოს წარმოდგენა ჰქვია, საუკეთესო საშუალებაა ამ შემთხვევაში ხელოვნების ამ კონკრეტული დარგის განვითარებისათვის. ამიტომ იმედი ვიქონიოთ, მომავალ წელს ქალაქის მუნიციპალური სტრუქტურა მონაწილეობას მიიღებს არა მხოლოდ ძველი, ეროვნული, ტრადიციული ხელოვნების დაფინანსებაში, არამედ გაუჩნდება ამბიცია მიიღოს მონაწილეობა თანამედროვე კულტურის ფორმირებაშიც.

"პრომეთე" თავისი პროგრამის ფარგლებში აღნიშნავს ქართველი კინორეჟისორის, რეზო ჩხეიძის 80 წლის იუბილეს. ამ თარიღის გამოცხადებისას დარბაზში ტაშის გრიალი გაისმა, ქართველი მაყურებელი ტაშს ქართველ რეჟისორს უკრავდა. ასეთ დროს კიდევ ერთხელ ნათელი ხდება, რომ ადამიანის მეხსიერებაში ხელოვანის ცხოვრებიდან მის შემოქმედება რჩება და არა თავად შემოქმედი - მისი სოციალურ-პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ბიოგრაფიით. ასეთია კანონზომიერება - კულტურის ისტორია არ იმახსოვრებს "რაიკომის მდივანს", მას "მაგდანას ლურჯა" ახსოვს, რომელსაც წელს ფესტივალი კიდევ ერთხელ შესთავაზებს მაყურებელს.

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი ყველაზე სახელგანთქმული ქართველი კინორეჟისორის, ოთარ იოსელიანის ფილმით "შემოდგომის ბაღებით" გაიხსნა. იოსელიანის უკანასკნელი ნამუშევარი ფილმის ერთ-ერთმა თანადამფინანსებელმა წარმოადგინა. რუსი პროდიუსერი თბილისში გრძელი, შემოვლითი და გაცილებით ძვირადღირებული გზით ჩამოვიდა და ფილმის პრეზენტაციაზე თქვა: "თუკი ვინმე ცდილობს ჩვენ ერთმანეთს დაგვაშოროს, კინო გაგვაერთიანებს!" გაერთიანების რა მოგახსენოთ, მაგრამ თანამშრომლობა, რასაკვირველია, ყველა მეზობელი თუ შორეული ქვეყნისგან მისაღები და სასურველი შემოთავაზებაა.

დღეს ძალიან მოდურია მკაცრად და კრიტიკულად შევაფასოთ ძველი ფავორიტების შემოქმედება, მაგრამ ვინაიდან "ახალი საქართველოს" ახალი ფავორიტები არ გამოკვეთილან, სურვილის რეალიზება ჯერ სრულყოფილად ვერ ხერხდება. მინდა ამ შემთხვევაში მოდას ჩამორჩენილი ვიყო, მაგრამ...

### ოთარ იოსელიანის ახალი ფილმი "შემოდგომის ბაღები"

კრიტიკული ანალიზის მცდელობა; დავსვათ კითხვები და გავცეთ სავარაუდო პასუხები.

**რის შესახებ არის ფილმი?**

ფილმის ანოტაცია ამგვარია: "ვენსანი გავლენიანი მინისტრი იყო, არცთუ ცუდი შესახედავი, კარგი მსმელი და მეპატრონე, რომელსაც ლამაზი საყვარელი ჰყავდა. როგორც კი სამსახური დაკარგა, საყვარელმა მიატოვა. ვენსანი ახალ ცხოვრებას იწყებს. თანდათან ის ახალ ან ნაცნობ, მაგრამ მივიწყებულ შესაძლებლობებს აგნებს და თავიდან იწყებს ყველაფრის და ყველას შეცნობას". ასე რომ, ფილმი ვენსანის, უკვე ყოფილი მინისტრის ცხოვრებას ასახავს.

**როგორი იყო მისი ცხოვრება მინისტრობის ჟამს?**

თითქოს ყველაფერი ისეა, როგორც იოსელიანის, ტიპური ბურჟუას ცხოვრებაში: ცოლი, საყვარელი, სახლი, მანქანა... საყვარელი ქალი ისევ ძვირადღირებულ ბეწვიან ქურქზე ოცნებობს, დარბის ძვირფას მაღაზიებში, ილტვის ანტიკვარიატისკენ და ა.შ. მხოლოდ ერთი სხვაობაა, იოსელიანის ბურჟუაზიული გარემო ისე აღარ პრიალებს, როგორც ადრე. ისეთი დალაგებული, მოწესრიგებული და ბრჭყვიალა არ არის, მაგალითად, როგორც "მთვარის ფავორიტებში".

**რას შეიძლება ეს მივაწეროთ, ფრანგული ბურჟუაზიის იერსახე შეიცვალა?**

არა მგონია. ალბათ ფეშენებლური სახლის კედლებზე დაგროვილი მტვერი იმის მაჩვენებელია, რომ ამ სამყაროს, სწორედ რეჟისორის დამოკიდებულებაში მოეკიდა ხავსი. აქ ან არაფერია ახალი, ან ამ სიახლეებს ავტორი ვეღარ აღიქვამს და ამიტომ მისი ტრადიციული "ბურჟუაზიის კრიტიკა" დაძველდა. მისი ფილმებიდან გასაგები ხდება, რომ ჩინოვნიკების, ბიზნესმენების, ფილისტერების ყოფა მეშჩანური და გათავისუფლებულია სულიერი, ჭეშმარიტი ფასეულობებისგან. ეს ხომ ბევრჯერ ითქვა; მინისტრის კაბინეტში ჩამქრალი, დაძველებული კედლები იმის მანიშნებელია, რომ "ოსელიანის ბურჟუაზიას" მტვერი დაედო.

**როგორია მისი კინოენა? ისევ ტრადიციული?**

რასაკვირველია, ის ისევ კინოს საუკეთესო ქართველ ოსტატად რჩება, თუმცა ცვლილებები აქაც არის. იოსელიანს ხშირად ადარებენ ფრანგ კინორეჟისორს ჟაკ ტატის. ტატისთან მას საერთო ბევრი აქვს, როგორც სტილისტურად, ასევე შინაარსობრივად. იოსელიანთან, ისევე როგორც ჟაკ ტატისთან, ტექსტს პრაქტიკულად ფუნქცია არა აქვს, ამიტომაც ის ხშირად აცხადებს, რომ სუბტიტრები მის ფილმზე სრულიად ზედმეტია. ტექსტით ის არაფერს ამბობს, ყველაფერი გამოსახულებაა. იოსელიანის ფილმებში არც მსახიობს ენიჭება გადამწყვეტი როლი. მსახიობი, გმირი ეკრანზე ერთ-ერთი დეტალია, ინფორმაცია საერთო სურათიდან მოდის. ამიტომ, იოსელიანთან არც ახლო ხედია, სადაც გმირი გამომეტყველებით საუბრობს. გამონაკლისი არც ამ შემთხვევაში გვაქვს. მხოლოდ უკანასკნელ ნამუშევარში რეჟისორი მეტ აქცენტირებას ახდენს გმირების პლასტიკაზე და ამით კიდევ უფრო უახლოვდება მუნჯურ კინოს, სადაც მსახიობის პლასტიკა ტექსტის ფუნქციას ასრულებდა. მაგრამ 21-ე საუკუნის კინემატოგრაფისათვის, გასული საუკუნის კინოხერხები, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, უტრირებულ პლასტიკაში ვლინდება, შეუსაბამობაში მოდის და ფილმს დამაჯერებლობას აკლებს. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ამ შეგრძნებას მსახიობების მიერ ცუდად შესრულებული როლები ამძაფრებდეს. ასე რომ, ოთარ იოსელიანის უკანასკნელ ფილმში მსახიობს მეტი დატვირთვა აქვს და მსახიობები არცთუ ისე დამაკმაყოფილებლად გაუმკლავდნენ დაკისრებულ, საპასუხისმგებლო ვალდებულებას.

ანოტაციაში ნათქვამია, რომ ფილმი იქიდან იწყება, როდესაც გმირი თანამდებობას, მასთან ერთად საყვარელს, ცოლს და მთლიანად ძველ ცხოვრებას კარგავს. როგორია ვენსანის ცხოვრების შემდგომი ეტაპი, როდესაც ის თავიდან იწყებს ყველაფრის შეცნობას?

თავისუფალი, არხეინი, მუდამ ღვინის თანხლებით. მეგობრები, უანგარო საყვარლები, საერთო ლხინი, საერთო მწუხარება და ა.შ. გმირის ახლანდელ ყოფაში თითქოს რეჟისორი მისთვის იდეალურ ყოფას ასახავს - ცოტა მუშაობა და ბევრი თავისუფლება, სმა, სექსი... მინისტრის ახალი ყოფა იმდენად იდეალურია, ერთ-ერთ ეპიზოდში პარალელებს ბიბლიურ სცენებთანაც კი გავავლებთ - არხეინი, "თავისუფალი" მეგობრების სუფრაზე მხოლოდ თევზი, ღვინო და პურია! ვფიქრობ, ამ პატარა დეტალით ყველაფერი ნათელია.

**რატომ არის ეს ყოფა იდეალური?**

გაუგებარია. გასაგებია - იქ სადაც ნაკლები ფულია, ნაკლები კონკურენციაა, იქ ანგარებაც ნაკლებია, სიძულვილიც, მტრობაც... ისიც გააცნობიერა თანამედროვე სამყარომ, რომ "წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო", ერთ მინისტრს მეორე შეცვლის, ჩვენ კი ისევ ისე დავრჩებით. მაგრამ ფილმში ერთი რამ არ არის გათვალისწინებული, რომ დროსთან ერთად კაცობრიობის ყოფაც იცვლება და მასთან ერთად ყოფიერებაც, ყველა ეპოქას ახალი პრობლემები, საკითხები მოაქვს მსჯელობისათვის და ამიტომ 21-ე საუკუნეში უსაქმურობის, ღვინის სმის, "მეგობრობის", უშფოთველობის, არხეინობის ასეთი იდეალიზირება ოდნავ არაადეკვატურად გამოიყურება.

**სად არის საქართველო იოსელიანის უკანასკნელ ფილმში?**

არ არსებობს ფილმი, სადაც რეჟისორი საკუთარ ქვეყანას ან კი დეტალს მისი ქვეყნიდან არ დებდეს კინოში, იქნება ფილმი გადაღებული საფრანგეთში, აფრიკაში, ესპანეთში თუ სხვაგან. ამიტომ არც ეს უკანასკნელია გამონაკლისი. მხოლოდ აქ უკვე, ვფიქრობ, აშკარად ჩანს რეჟისორის ნოსტალგია. ფილმის მეორე ანუ ძირითად ნაწილში, ჰარმონიულ ყოფაში ისმის დები იშხნელების სიმღერა. გადაყენებული მინისტრი ცოტა თუ დიდი ხნით დასახლდება, ფონზე აუცილებლად ფიროსმანის რეპროდუქციები მოჩანს - ეს მის იდეალურ სამყაროს კიდევ უფრო კომფორტულს ხდის. და კიდევ ერთი, ძალიან სასაცილო გზავნილი სამშობლოში. ვენსანს თანამდებობიდან, მასიური საპროტესტო აქციების საფუძველზე ათავისუფლებენ. მაშინ, როდესაც მთავარი გმირი კაბინეტს ტოვებს, ახალი მინისტრი და ახალი ხელმძღვანელობა შემოდის, რომელთაც გულში გვირილები აქვთ გარჭობილი. ფილმში პირობითად გვირილების რევოლუცია მოხდა. მაგრამ თუკი ფილმის ფინალს გავიხსენებთ, დავინახავთ, რომ არც გვირილებით მოსული მთავრობაა მარადიული. ფილმის ერთ-ერთ უკანასკნელ ეპიზოდში ვენსანთან, რომელიც მეგობრებთან ერთად ვისკის "წრუპავს" და თან ბალახს კრეჭს, ახალი მინისტრი მოდის და დახმარებას სთხოვს. ახლა უკვე ისიც გათავისუფლებულია თანამდებობიდან. მართალია, "ახალი საქართველოს" ხელისუფლებას ამის გააზრება არ აწყენდა, მაგრამ ხელოვანის მხრიდან ასეთი მითითებები ოდნავ ბანალურად და სწორხაზოვნად გამოიყურება.

**როგორია იოსელიანის ახალი საფრანგეთი?**

თუკი იოსელიანის "ბურჟუაზიას" ოდნავ მტვერი მოეკიდა, ზოგადად საფრანგეთი ოდნავ განსხვავებულია. ერთ-ერთი ქართული ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში იოსელიანი ამბობს, რომ პარიზი სახეცვლილია: "პარიზი გაივსო არაბებით და ის აღარ არის, რაც წლების წინ იყო". ეს, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტული განცხადება, ჩვენ ამბივალენტურ დამოკიდებულებას გვიჩენს იოსელიანისებური პარიზის მიმართ. მაშინ, როდესაც მინისტრს თანამდებობიდან ათავისუფლებენ, ის თავის ძველ სახლს უბრუნდება - ძველი, როგორც ჩვენთან იტყვიან "ინტელიგენტური" სახლი, სავსე ნახატებითა და წიგნებით. სახლში უსახლკარო შავკანიანები არიან შესახლებულნი, რომელთაც დაანაგვიანეს, სახე შეუცვალეს ძველ, "პარიზულ" ბინას. ისინი ქუჩასაც აჭუჭყიანებენ, ნაგავს ფანჯრიდან ყრიან, საცხოვრებელ სახლში შინაური პირუტყვიც შეყავთ, ტუალეტს ოთახში ითავებენ და ა.შ. მაყურებელი ფიქრობს, რომ ეს რეჟისორის ინტერვიუს გაგრძელებაა, მხატვრულად გადმოცემული აზრი, მაგრამ ამაოდ. შავკანიანებმა, როგორც უსახსროებმა, უტიტულოებმა ადგილი ვენსანის, მთავარი გმირის პირობითად იდეალურ სამყაროში იპოვნეს. მას შემდეგ, რაც შავკანიანებს ვენსანის ბინას დააცლევინებენ და "სამართალი აღდსგება", ერთ მშვენიერ ღამეს ყოფილი მინისტრი მათთან ერთად ღია ცის ქვეშაც კი გაატარებს.

**სად არის თავად იოსელიანი იოსელიანის ფილმში?**

ყველა ახალ ფილმთან ერთად იზრდება ოთარ იოსელიანის სამსახიობო როლი საკუთარ ფილმში. ამ შემთხვევაში ის კარგი მსმელი, არხეინი ბალახის მკრეჭავია, ვისთანაც ვენსანი პირველად მიდის და პირობითად, ბოლომდე მასთან რჩება. ეს მხატვრული დეტალი თითქოს იმის მანიშნებელია, რომ რეჟისორი საკუთარ თავს წარმოაოდგენს, არსებობას, რომელიც მას საკუთარ თავში უყვარს. ეს ფილმი ამის მანიშნებელია მთლიანად - იოსელიანი არ ღალატობს საკუთარ თავს, ის კიდევ ერთხელ გვთავაზობს მეტაფორებით დატვირთულ ფილმს, რომელიც იძლევა საშუალებას უსაზღვროდ ვისაუბროთ მასზე, ოდნავ დაღლილი საუბრობს ბურჟუაზიული სამყაროს ეგზისტენციალურ კრიზისზე, სოლიდარობას უცხადებს მემარცხენე იდეოლოგიას, სასურველ ყოფიერებას სოციალურად დაბალ ფენებში გვისახავს, იქ, სადაც ადამიანი ადამიანისათვის არ არის მგელი...

**და ბოლოს, როგორია ფინალი?**

უკანასკნელი ეპიზოდი სრულიად მოულოდნელია: ვენსანის (თუ ოთარის) ცხოვრების ქალები ბუნების წიაღში გაშლილ სუფრას უსხედან. თავად ოთარ იოსელიანის გმირი კი ზის და მათ ხატავს. გმირის ცხოვრებას თითქოს ეს ქალები, ყოფილი ცოლები თუ საყვარლები კრავენ, რომელნიც ერთად, მთლიანობაში მოყვებიან მას. მიჭირს ამოვიკითხო ამ ეპიზოდის ქვეტექსტი.

იქნებ ოთარ იოსელიანმა უკანასკნელი ნამუშევარი, სადაც ის საკუთარ თავს, საკუთარ არსებობას ყველაზე აშკარად წარმოადგენს, თავისი ცხოვრების ქალებს მიუძღვნა?

## სინთეზური სპექტაკლი

14-15 ოქტომბერს გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე მაყურებელი იხილავს რუსული ხალხური ზღაპრების მიხედვით დადგმულ სპექტაკლს "ემილიას ბედნიერებას". სპექტაკლის რეჟისორია გოგი თოდაძე, კომპოზიტორი - კოტე მალანია, ხოლო ქორეოგრაფია გია მარღანიას ეკუთვნის.

როგორც რეჟისორმა და თეატრალური სკოლა-სტუდიის "ბერიკების" ხელმძღვანელმა გოგი თოდაძემ განაცხადა, სპექტაკლში პროფესიონალი მსახიობების გარდა, სკოლა-სტუდიის აღსაზრდელებიც მონაწილეობენ.

"სინთეზური სპექტაკლის დადგმის მსგავსი შემთხვევა ჩვენს სტუდიას არაერთხელ ჰქონია", - განაცხადა თოდაძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## თოჯინების თეატრი

15 ოქტომბერს თოჯინების თეატრი ახალი სპექტაკლით გახსნის სეზონს. პატარა მაყურებელი ნახავს ჩაიკოვსკის ლიბრეტოს მიხედვით დადგმულ "გედების ტბას". დამდგმელი რეჟისორია შოთა ცუცქირიძე. მხატვრობა ეკუთვნის თინათინ ჰაინეს, ხოლო ქორეოგრაფია - ნინა კერვალიშვილს. მონაწილეობენ ადგილობრივი დასის მსახიობები: ნათია შეშაბერიძე, მანანა წიკლაური, მალხაზ გაბუნია, გიორგი მეძმარიაშვილი, მაია მაზიაშვილი, დავით ძოძუაშვილი, რამაზ რაზმაძე, გივი ქუსიკაშვილი. **ჯი-ეიჩ-ენი**





ცნობილი სახალხო მკურნალი ანდრო სამხთუაშვილი იღებს პაციენტებს "დავით ტატიშვილის აღდგენითი მედიცინის ცენტრში".

სიახლე!

ყველას, ვისაც გაწუხებთ ხერხემლის დაავადებები!

სამკურნალო მასაჟისა და მანუალური თერაპიის გამოცდილი სპეციალისტი, ირაკლი ძიძიგური გთავაზობთ ხერხემლის დაავადებების მკურნალობისა და რეაბილიტაციის უახლეს, მაღალეფექტურ კინეზო-ფიზიოთერაპიულ კომპლექსს.

მის. ი. ჭავჭავაძის 78

დავით ტატიშვილის აღდგენითი

მედიცინის კომპლექსი

ტელ: 293 -292
(899) 222 - 912
(893) 65 38 39


# ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2006 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

A7 გვერდიდან

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თერმოსტატი | | ცალი | 3 | 20.0 | 60.0 |
| ფარები | | ცალი | 12 | 35.0 | 420.0 |
| უკანა მაშუქი | | ცალი | 6 | 45.0 | 270.0 |
| ფარის ნათურა 24V | | ცალი | 10 | 2.5 | 25.0 |
| აკუმულიატორი | | ცალი | 6 | 220.0 | 1320.0 |
| მაზუთი | | | 20 | 12.0 | 240.0 |
| დიზელის ზეთი | | ლიტრი | 300 | 3.0 | 900.0 |
| ჰიდრავლიკის ზეთი | | ლიტრი | 40 | 4.5 | 180.0 |
| საქარე მინის მწენდავი | | ცალი | 10 | 8.0 | 80.0 |
| წინა საქარე მინა | | ცალი | 2 | 155.0 | 310.0 |
| ამწევი 20ტ. | | ცალი | 3 | 140.0 | 420.0 |
| კარდანის ჭანჭიკი | | კომპ | 6 | 3.0 | 18.0 |
| ზეთის ფილტრი | | ცალი | 10 | 6.0 | 60.0 |
| რადიატორის თავსახური | | ცალი | 6 | 5.0 | 30.0 |
| ურალი | | | | | |
| კამერა | | ცალი | 10 | 25.0 | 250.0 |
| შარნირი მარჯვენა | | ცალი | 1 | 300.0 | 300.0 |
| შარნირი მარცხენა | | ცალი | 1 | 320.0 | 320.0 |
| წევის დაბოლოება | | ცალი | 2 | 55.0 | 110.0 |
| გრძელი გამწევი | | ცალი | 2 | 170.0 | 340.0 |
| დგარის საკისარი | | ცალი | 6 | 35.0 | 210.0 |
| ნახევარღერძის საკისარი | | ცალი | 10 | 35.0 | 350.0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დგარი (1წინა და 1 უკანა) | | ცალი | 2 | 300.0 | 600.0 |
| დგარის ჩობალი | | ცალი | 8 | 7.0 | 56.0 |
| ნახევარღერძის ჩობალი | | ცალი | 8 | 10.0 | 80.0 |
| დგარის ჭანჭიკი | | ცალი | 10 | 10.0 | 100.0 |
| სამუხრუჭე მილი | | ცალი | 10 | 15.0 | 150.0 |
| წინა მუშა ავზი | | ცალი | 6 | 120.0 | 720.0 |
| მუხრუჭის უკანა ავზი | | ცალი | 4 | 120.0 | 480.0 |
| წინა კარდანი | | ცალი | 2 | 450.0 | 900.0 |
| უკანა კარდანი | | ცალი | 2 | 350.0 | 700.0 |
| მუხრუჭის მთავარი ავზი | | ცალი | 2 | 500.0 | 1000.0 |
| გადაბმულობის ქვედა ავზი | | ცალი | 2 | 250.0 | 500.0 |
| გადაბმულობის ზედა ავზი | | ცალი | 2 | 120.0 | 240.0 |
| უკანა სამუხრუჭე ხუნდი | | კომპ | 2 | 180.0 | 360.0 |
| წინა სამუხრუჭე ხუნდი | | კომპ | 2 | 180.0 | 360.0 |
| გადაბმულობის დისკი | | ცალი | 4 | 70.0 | 280.0 |
| გადაბმულობის ქურო | | ცალი | 2 | 350.0 | 700.0 |
| დამწოლი საკისარი | | ცალი | 4 | 45.0 | 180.0 |
| ჯვართავა | შპს „ენ ჯი ემ კომპანი“ | ცალი | 10 | 45.0 | 450.0 |
| წინა რესორი | | ცალი | 4 | 400.0 | 1600.0 |
| წყლის პომპა | | ცალი | 2 | 220.0 | 440.0 |
| დიზელის ფილტრი | | ცალი | 8 | 3.0 | 24.0 |
| რადიატორი | | ცალი | 1 | 900.0 | 900.0 |
| ღვედი | | კომპ | 4 | 15.0 | 60.0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გრძელი ნახევარღერძი | | ცალი | 3 | 200.0 | 600.0 |
| მოკლე ნახევარღერძი | | ცალი | 3 | 180.0 | 540.0 |
| რადიატორის მილი | | კომპ | 2 | 35.0 | 70.0 |
| დინამო | | ცალი | 2 | 220.0 | 440.0 |
| სტარტერი | | ცალი | 2 | 350.0 | 700.0 |
| ჰიდრო გამაძლიერებელი | | ცალი | 2 | 250.0 | 500.0 |
| თერმოსტატი | | ცალი | 2 | 20.0 | 40.0 |
| ფარები | | ცალი | 4 | 35.0 | 140.0 |
| უკანა სტოპი | | ცალი | 2 | 45.0 | 90.0 |
| ფარის ნათურა 24V | | ცალი | 80 | 2.5 | 200.0 |
| აკუმულიატორი | | ცალი | 4 | 220.0 | 880.0 |
| მაზუთი | | კგ | 20 | 12.0 | 240.0 |
| დიზელის ზეთი | | ლიტრი | 200 | 3.0 | 600.0 |
| ჰიდრავლიკის ზეთი | | ლიტრი | 20 | 4.5 | 90.0 |
| საქარე მინის მწენდავი | | ცალი | 8 | 8.0 | 64.0 |
| წინა საქარე მინა | | ცალი | 1 | 140.0 | 140.0 |
| ამწევი 20ტ. | | ცალი | 2 | 140.0 | 280.0 |
| კარდანის ჭანჭიკი | | კომპ | 4 | 3.0 | 12.0 |
| ზეთის ფილტრი | | ცალი | 7 | 5.0 | 35.0 |
| რადიატორის თავსახური | | ცალი | 4 | 5.0 | 20.0 |

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### საქმიანი სამყაროს ყველაზე გავლენიანი ქალები

ცნობილმა ჟურნალმა Fortune-მ გამოაქვეყნა მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ბიზნესმენი ქალების რეიტინგი. მასში ძირითადად ბებერი კონტინენტის წარმომადგენლები, კერძოდ კი ფრანგები ლიდერობენ. პირველ ადგილზეა Alcatel Lucent-ის აღმასრულებელი დირექტორი, ფრანგი პატრიცია რუსო, რომელმაც ეს თანამდებობა შარშან, ორი სატელეკომუნიკაციო კომპანიის გაერთიანების შემდეგ დაიკავა და გასული წლის რეიტინგში ახალბედათა შორის ლიდერობდა. მეორე ასევე ფრანგი ქალბატონი, ატომური ელექტროსადგურების სამშენებლო კომპანიის Areva-ს აღმასრულებელი თავმჯდომარე ან ლოვერჟონი გახლავთ, რომელიც შარშან პირველ პოზიციაზე იყო. მესამე ადგილზეც ფრანგი, სარკინიგზო კომპანია SNCF-ის პრეზიდენტი ან-მარი იდრაკი გავიდა.

ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა რეიტინგის პირველ ათეულში შევიდნენ: კომპანია Royal Duch Shell-ის გაზისა და ენერგეტიკის განყოფილების აღმასრულებელი დირექტორი, ბრიტანელი ლინდა კუკი, რომელიც შარშანაც მეოთხე იყო. გასულ წელთან შედარებით მესამედან მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითდა კიდევ ერთი ინგლისელი, მედია-ჰოლდინგ Pearson-ის აღმასრულებელი დირექტორი მარჯორი სკარდინო. მეექვსეზე შარშანდელი მეორეადგილოსანი, მეტალურგიული კომპანია Baosteel Group-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, ჩინელი სე ციხუა გავიდა. მეშვიდე იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონის შვილი, მის მიერ შექმნილი კომპანია Fininvest-ის გამგეობის თავმჯდომარე მარინა ბერლუსკონია, მერვე მედია-ჰოლდინგ Wolters Kluwer-ის თავმჯდომარე, ჰოლანდიელი ნენსი მაკინსტრი გახლავთ, მეცხრე ესპანელი ბანკირი, Banesto-ს თავმჯდომარე ანა პატრისია ბოტინია, მეათეზე კი ჩინური კომპიუტერული გიგანტის Lenovo-ს ფინანსური დირექტორი მერი მა გავიდა.

## "ეთნიკური ბიზნესის" რუსული პრეცედენტი

ანა შარვაშიძე

*თუ ამქვეყნად "ეთნიკური ბიზნესის" ცნება არსებობს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ რუსული ეკონომიკა რამდენიმე "ნაციონალურ დაჯგუფებას" მოიცავს. მათ შორის, ბუნებრივია, ქართულსაც.*

**მოსკოვში ყველაზე ცნობილი ქართული რესტორნების სია ასე გამოიყურება: "გენაცვალე", "ფიროსმანთან", "ბიბიგონი", "მხატვრის გალერეა", "გოგიელი", "ტიფლი", "კნიაზი ბაგრატიონი", "ზალატოი სლონ", "კავკაზკაია პლენიცა", "მადამ გალიფე", "ცარიცა ტამარა", "ხიჟინა".**

**"რუსეთში ეთნიკური დიასპორა ბუნებრივი მოვლენაა, თუმცა ის კულტურის სფეროში უფროა წარმოდგენილი, ვიდრე ეკონომიკაში. ასეთი პრაქტიკა ყველა ქვეყანაში არსებობს, რადგან ამ ხალხებს საკუთარი ტრადიციები, ენა და კულტურა აქვთ. ამიტომაც ისინი თავისიანებს ეხმარებიან და ასაქმებენ. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა,"** - ასე აფასებს ამ მოვლენას "ოპორა რასიას" ერთ-ერთი ხელმძღვანელი დინა კრილოვა რუსულ მედიასთან საუბარში. თუმცა იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ "ეთნიკურ ბიზნესზე საუბარი სწორი არ არის."

რუსი ჟურნალისტების შეფასებით, რუსეთში ჯერჯერობით კიდევ არსებობს ლეგალური ბიზნესები, რომელთაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩამოსული საქმოსნები აკონტროლებენ. მაგალითად, რუსულ პრესაში ხშირად შეხვდებით შემდეგ სიტყვათაშეხამებებს: "ჩეჩნური ბიზნესი", ან კიდევ - "უზბეკური ბიზნესი". **"თუმცა ლეგალურ "ქართულ ბიზნესზე" საუბარი რთულია,"** - ასკვნიან ისინი.

ბოლო პერიოდში რუსი ძალოვანების აქციები, რუსულ მედიას თუ ვენდობით, ძირითადად სათამაშო ბიზნესით დაკავებული ქართველი კანონიერი ქურდებისკენ იყო მიმართული. თუმცა რუსი ბიზნესმენები შიშობენ, რომ საფრთხე, შესაძლოა, იმ ლეგალურ ბიზნესებსაც დაემუქროთ, რომლებსაც ქართული ფესვები გააჩნიათ. ამ საკითხზე რუსი ბიზნესმენები ხმამაღლა არ საუბრობენ, თუმცა მორიგ შესაძლო მსხვერპლად კომპანია "ბიმბილ-დანის" დამფუძნებელს და თანამფლობელს დავით იაკობაშვილს ასახელებენ.

გაგრძელება B2 გვერდზე

B2

## ცრემლები ლონდონური ფეიერვერკის დროს

### ანუ როგორ გახდა მცხეთელი ბიჭი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს მენეჯერი

ეკა ქევანიშვილი

*2000 წელს, მაშინ, როცა მილენიუმის დადგომას დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი გრანდიოზული ფეიერვერკით ხვდებოდა, ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროს რესტორანში მცხეთელი შალვა ალავერდაშვილი ჭურჭელს რეცხავდა. 21 წლის ბიჭი ტიროდა, მაგრამ მას ოთხჯერ მეტ ხელფასს უხდიდნენ და რაც მთავარია, მას ერთი მთავარი მიზანი ჰქონდა - მიეღო კარგი განათლება. ერთი კვირის წინ საქართველოში დაბრუნებული შალვა, დიდი გამოცილებით და დუბლინის უნივერსიტეტის დიპლომით, სასტუმროების მენეჯმენტის სპეციალობით ახლა უკვე სამშობლოში ეძებს სამსახურს. შვიდ წელში მან მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე კოსმოპოლიტურ ქალაქში, ლონდონში, პროფესიასთან ერთად ცხოვრებაც ისწავლა.*



**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომი, მერე რა, რომ წითელი, მაგისტრატურა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრობა, სხვადასხვა კონფერენციებში მონაწილეობა, პრაქტიკა საქართველოს პარლამენტში... თითქოს ყველაფერი წესების დაცვით მიდიოდა, მაგრამ შალვა მალევე მიხვდა, რომ მიზანი ერთი იყო და მის მიღწევას სხვანაირი ბრძოლა სჭირდებოდა. თან აქ კი არა, მშობლიურ გარემოში, უცხო ქვეყანაში, სადაც თუ არ იშრომებ, უბრალოდ, ვერ იცხოვრებ.**
**ცოტა ისიც დაეხმარა, რომ დედა სკოლის დირექტორი ჰყავდა და მამა უნივერსიტეტის პროფესორი, ცოტა ის, რომ აქტიური იყო, რომ კარგი ნიშნები ჰქონდა, ისიც, მისი ორი მეგობარი უკვე ლონდონში რომ იყო წასული... ერთი სიტყვით, ოჯახმა სესხი აიღო, ლონდონში ენის კოლეჯი იპოვა, ვიზა მიიღო და წავიდა.**

B4

### საკრედიტო რესურსები ძვირდება

### საქართველოში საბანკო სისტემის დინამიკური ზრდა გრძელდება

B2

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,2959 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9882 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4736 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7395 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8123 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1203 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2938 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3036 |
| 1 | ევრო | EUR | 2,1904 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4001 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3345 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1612 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1459 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2457 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1902 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2522 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4092 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5468 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1174 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3441 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3168 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2621 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5608 |
| 1 | რუმინული ლეი | RON | 0,6253 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0647 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,0951 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4549 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5139 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4130 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4600 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8087 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0157 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1363 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4442 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2359 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3785 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0778 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2201 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2232 |




## "მერსედესი" "ბეემვე X3-ის" მეტოქეს გამოუშვებს

მერაბ ლორთქიფანიძე

*"მერსედეს-ბენცმა" გამოაცხადა, რომ დაწყებული აქვს მუშაობა მცირე ზომის პრემიუმ კლასის უგზოობის მოდელის შექმნაზე, რომლის გასაღების ძირითად ბაზრადაც აშშ-ს მოიაზრებს და რომელმაც პირველ რიგში, კონკურენცია უნდა გაუწიოს "ბეემვე X3-ს".*
*ახალ ავტომობილს ალბათ GLK-ს დაარქმევენ და მისი მსოფლიო დებიუტი 2008 წელს, ევროპის რომელიმე დიდ ავტოსალონზე (ჟენევაში, ან პარიზში) ჩატარდება. სიახლე "მერსედესის" სამოდელო გამაში უგზოობის M-კლასის დაბლა დაიკავებს ადგილს, მისი გაყიდვების დაწყება კი 2009 წელს უნდა დაიწყოს.*





B3

# საკრედიტო რესურსები ძვირდება

## სებ-ი ინფლაციას სადეპოზიტო სერტიფიკატით ებრძვის

ნინო ნატროშვილი

ინფლაციის შესაჩერებლად ეროვნული ბანკი სხვადასხვა ბერკეტებით იბრძვის. უკვე ერთი თვეა, რაც ეროვნულმა ბანკმა სადეპოზიტო სერტიფიკატების გაყიდვა დაიწყო. ამ ფასიანი ქაღალდის გაყიდვით ბრუნვიდან ფულის მასის ამოღება ხდება, რაც ინფლაციის პროცესს აფერხებს. სადეპოზიტო სერტიფიკატი ახალი ფასიანი ქაღალდია, რომლის ემიტენტი ეროვნული ბანკია. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისგან განსხვავებით, ეს სერტიფიკატები განკუთვნილია მხოლოდ კომერციული ბანკებისთვის. რაც იმას ნიშნავს, რომ ვაჭრობაში მონაწილეობა მხოლოდ კომერციულ ბანკებს შეუძლიათ და სავაჭრო სესიას ფიზიკური და იურიდიული პირები ვერ დაესწრებიან.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონების გამართვა 18 სექტემბრიდან დაიწყო და სულ 22 ,142 მლნ ლარის მოცულობის გარიგებები დაიდო.

2006 წლის 9 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის N14 სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონზე 1 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა, რომლებიც ერთმა კომერციულმა ბანკმა შეიძინა. შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 12.00% შეადგინა.

საგულისხმოა, რომ 2006 წლის 18 სექტემბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის 28-დღიან N1 სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონზე 1.1 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა, რომლებიც სამმა კომერციულმა ბანკმა შეიძინა. მინიმალურმა საპროცენტო განაკვეთმა 9.95%, მაქსიმალურმა 12%, ხოლო საშუალო შეწონილმა - 11.07% შეადგინა. სადეპოზიტო სერტიფიკატის აუქციონზე საპროცენტო განაკვეთის ზრდას ვარაუდობენ.

ამ შედარებიდან ჩანს, რომ ერთი თვის განმავლობაში სადეპოზიტო სერტიფიკატებზე საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა. მართალია ეს არ არის ნახტომისებური ზრდა, თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საპროცენტო განაკვეთი ამ ფასიან ქაღალდზე კიდევ გაიზრდება. ეს პროცესი გარკვეულწილად უკავშირდება საკრედიტო რესურსების გაძვირებას, რაც თავის მხრივ ანტიინფლაციურმა ღონისძიებებმა განაპირობა. " სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატის პირველ აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი განაკვეთი 11,07% მისაღებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 16-18%-ია. სესხის პროცენტი მაღალია, თუმცა რისკიც დიდია. კომერციული ბანკისთვის 11,07% მისაღებია, რადგან სებ-ის ფასიანი ქაღალდი ნულოვანი რისკის მატარებელია და თანხის დაბრუნებისას რაიმე პრობლემა გამოირიცხება"- მიაჩნია ბანკების ასოციაციის ვიცე პრეზიდენტს გოგიტა ცუცქირიძეს. მან ამის შესახებ სააგენტო GBC-ის განუცხადა.

ფულის მასის რეგულირების მიმართულებით, სებ-ის ფაისანი ქაღალდების ეფექტიანობა საქართველოში კაპიტალის ბაზრის სტრუქტურას უკავშირდება. ფულის მასის რეგულირების ნებისმიერი ინსტრუმენტის წარმატების გარანტი კი კაპიტალის განვითარებული ბაზარია. ეროვნული ბანკი სადეპოზიტო სერტიფიკატებით ვაჭრობით ფულის მასის რეგულირებას ახდენს.

# "ეთნიკური ბიზნესის" რუსული პრეცედენტი

პირველი გვერდიდან

რატომ დავით იაკობაშვილი? იმის გარდა, რომ ის ქართველია, შეიძლება რამდენიმე მიზეზი მოიძებნოს. თავის დროზე, იაკობაშვილის ბიზნესის აქტიურმა წინსვლამ ბევრი განაწყენებული დატოვა. ამიტომაც, რუსი ჟურნალისტების აზრით, აუცილებლად მოიძებნებიან შურისძიების მსურველები, რომლებიც იაკობაშვილის შესახებ კომპრომატებს სიამოვნებით გაუმხელენ ძალოვანებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ იაკობაშვილი ღამის კლუბ "მეტელიცას" ერთ-ერთი მფლობელია, რომელშიც მოსკოვის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კაზინოა განთავსებული. მეტიც, ბატონი დავითი თურმე ხშირად სტუმრობს საკუთარ ღამის კლუბს, ეს კი რუსი ძალოვანებისთვის საკმარისი მიზეზია, რათა ადამიანი დამნაშავედ ჩაითვალოს.

დავით იაკობაშვილის მოკლე დოსიე: ის 1957 წელს თბილისში დაიბადა. აქვე დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1992 წელს იაკობაშვილი კომპანია "ვიმ-ბილ-დანის" ერთ-ერთი დამფუძნებელი გახდა, 1992-2000 წლებში კი ბიზნესჯგუფის დირექტორთა საბჭოს წევრი იყო. 2001 წლის ივნისიდან კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა. ამ ეტაპზე კომპანიაში მისი წილი 7,7 პროცენტს შეადგენს.

დავით იაკობაშვილი ასევე კომპანია "ტრინიტის" ხელმძღვანელს და კომპანია "პროსპექტის" და "აღმოსავლეთ ევროპის სადაზღვევო სააგენტოს" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს წარმოადგენს. სხვადასხვა დროს ის "ცენტრალური ევროპის ლუდის მწარმოებელი კომპანიის" და "რუსაგროპროექტის" დირექტორთა საბჭოს წევრი იყო.

ბორის ივანიშვილი, იგივე ბიძინა ივანიშვილი, რუსეთში ცნობილი ქართველი ბიზნესმენია. რუსი ჟურნალისტების შეფასებით, ეს უკანასკნელი ძალოვანების თავმდასხმისგან მეტადაა დაცული. შეგახსენებთ, რომ FORBES-ის ყოველწიურ მილიარდერთა სიაში მან 173-ე ადგილი დაიკავა. მისი ქონება 3,9 მილიარდ დოლარადაა შეფასებული, თუმცა თავად ივანიშვილი მიიჩნევს, რომ მისი აქტივები 5 მილიარდ დოლარს აღემატება.

თუმცა უმდიდრესთა სიაში მოხვედრის მიუხედავად, ივანიშვილისთვის ქონების ჩამორთმევა რთული იქნება, ერთი მარტივი მიზეზის გამო - მან თითქმის ყველაფერი გაყიდა. მაგალითად, გასულ წელს ბიზნესმენმა რიგი სამრეწველო აქტივები გაასხვისა, 2005 წელს კი ავსტრიულმა Raiffeiden Bank-მა ივანიშვილისგან "იმპექსბანკის" აქციათა 67 პროცენტი 555 მილიონ დოლარად იყიდა.

აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფული ბიძინა ივანიშვილმა საფონდო ბაზარში დააბანდა. დღეისათვის მას "გაზპრომის", "ლუკოილის" და "რაო ესის" აქციათა დახლოებით თითო პროცენტი ერგება, ის ასევე შედარებით მოკრძალებულ წილებს ფლობს "ემტეესში", "ვიმპელკომში" და "სურგუტნეფტეგაზში". ბიძინა ივანიშვილის "მონაგარშია" წილები საინვესტიციო კომპანია "ინტერფინტრეიდში", აგრარულ კორპორაცია "სტოილენსკი ნივაში", აფთიაქების ქსელ "დოქტორ სტოლეტოვში" და ორ სასტუმროში - "მინსკი" და "ცენტრალნაია". ერთი დეტალი: ეს ბიძინა ივანიშვილის ქონების სრული ჩამონათვალი არ არის.

**"თუმცა ივანიშვილის კაპიტალის ფულით გაზომვა რთულია. გავლენიან ბიზნესმენ ალიშერ უსმანოვთან მეგობრობამ, შექმნილ სიტუაციაში ივანიშვილს უსაფრთხოების მეტი გარანტიები უნდა მიანიჭოს,"** - წერენ რუსულ მედიაში.

აქვე ბიზნესმენის მცირე დოსიე: ბიძინა ივანიშვილი 48 წლისაა. 1978 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკუტეტი დაამთავრა, 1986 წელს კი მოსკოვში ჯერ ასპირანტურაში ჩააბარა, შემდეგ კი დისერტაციაც დაიცვა. 1990 წელს ბანკი "რასიისკი კრედიტი" დააფუძნა და პრეზიდენტის პოსტი დაიკავა. უკვე 1997 წელს ჰოლდინგი "მეტალოინვესტი" შექმნა. 2004 წლიდან ამ ჰოლდინგის აქტივების მართვის უფლება კომპანია "უნიკორს" გადაეცა.

ქართველები რუსეთში გაცილებით ფართოდ, შედარებით მცირე ბიზნესში არიან წარმოდგენილნი. ეს ძირითადად სარესტორნო ბიზნესს ეხება. ამ სფეროს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი მერაბ ელაშვილია ("ბრაზერს ი კამპანიის" თანამფლობელი და პრეზიდენტი). ბრუნვის მოცულობის მიხედვით, ეს კომპანია რუსულ სარესტორნო ბაზარზე მეოთხეა. შვიდი წლის წინ დაწყებული მცირე ბიზნესი კორპორაცია "გმრ"-დ იქცა. კომპანიის ბრუნვამ 2005 წელს 50 მილიონი დოლარი შეადგინა. ეს ოჯახური ბიზნესია, რაზეც კომპანიის სახელწოდება (გმრ) მეტყველებს - იგი დამფუძნებლების სახელების აბრევიატურას წარმოადგენს: გიორგი (ელაშვილის უფროსი ძმა), მერაბი და რომან შამილაშვილი (მერაბის დის ქმარი).

მოსკოვში ყველაზე ცნობილი ქართული რესტორნების სია ასე გამოიყურება: "გენაცვალე", "ფიროსმანთან", "ბიბიგონი", "მხატვრის გალერეა", "გოგიელი", "ტიფლი", "კნიაზი ბაგრატიონი", "ზალატოი სლონ", "კავკაზკაია პლენიცა", "მადამ გალიფე", "ცარიცა ტამარა", "ხიჟინა".

ქართული რესტორნები მოსკოვის ბაზარზე შესამჩნევ ადგილს იკავებს. თუმცა რუსი ჟურნალისტების შეფასებით, ქართველი "სარესტორნო ოლიგარქების" აქტივებზე საუბარი ხმამაღალი იქნებოდა. იქვე რესტორნების ბიზნესის შემფასებლის სერგეი ჩერნოვის კომენტარიც მოჰყავთ: **"რუსეთში კარგი ქართული რესტორნების სიმცირეა. საბჭოთა პერიოდში ქართული სამზარეულო უკეთ იყო წარმოდგენილი."**

### ქართველების დეპორტაციისას ერთი ავიარეისი რუსეთს 700 ათასი რუბლი უჯდება

მოსკოვიდან თბილისში საქართველოს მოქალაქეების დეპორტაცია რუსეთს საკმაოდ ძვირი უჯდება. თბილისის მიმართულებით ერთი რეისის ღირებულება 700 ათას რუბლს აღწევს. ამ ღირებულებას ემატება ეკიპაჟისა და მომსახურე პერსონალის ანაზღაურების ხარჯებიც. რუსეთის ფედერაციის საიმიგრაციო კანონმდებლობის დარღვევის ბრალდებით მოსკოვის სასამართლოებმა დეპორტაციის შესახებ 400 გადაწყვეტილება გამოიტანეს. მოქალაქეთა ნაწილი თბილისში უკვე დეპორტირებულია, რიგში 70 მგზავრი დგას. **ჯი-ეიჩ-ენი**

### "ქინძმარაულმა" ყაზახეთის ლაბორატორიასთან ხელშეკრულება გააფორმა

კორპორაცია "ქინძმარაულმა" ყაზახეთის ცენტრალურ ლაბორატორიასთან ხელშეკრულება გააფორმა და ამიერიდან ყაზახეთში "ქინძმარაულის" ღვინოს ლაბორატორიული შემოწმების გარეშე მოხვდება. როგორც სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" კორპორაცია "ქინძმარაულის" პრეზიდენტმა თამაზ კონჭოშვილმა განუცხადა, ყაზახეთის ცენტრალური ლაბორატორიის წარმომადგენლები "ქინძმარაულის" ღვინის ქარხანას თავად ესტუმრნენ და ღვინის წარმოებას ადგილზევე აკვირდებოდნენ. "ყაზახეთის ცენტრალური ლაბორატორია შესაბამის სერტიფიკატს მოგვცემს, რაც იმას გულისხმობს, რომ ყაზახეთში "ქინძმარაულის" მიერ წარმოებული ღვინოები ლაბორატორიული შემოწმების გარეშე მოხვდება"- განუცხადა სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" კორპორაცია "ქინძმარაულის" პრეზიდენტმა თამაზ კონჭოშვილმა. როგორც კონჭოშვილი განმატავს, კორპორაცია მომავალი წლიდან ყაზახეთში ღვინის ექსპორს გააორმაგებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### შემოსავლები იზრდება

საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წინასწარი მონაცემებით, მოგების გადასახადი 393.6 მლნ ლარით განისაზღვრება. ეს მონაცემი 30 პროცენტით აღემატება 2006 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს. სოციალური გადასაცადის სახით მისაღები შემოსავალი შეადგენს 564.5 მლნ ლარს. მატება, გასული წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით, 25.3 პროცენტს შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# საქართველოში პლასტიკური ბარათების რაოდენობა გაორმაგდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, წერილი მიიღო პლასტიკური ბარათების საერთაშორისო საგადამხდელო სისტემა VISA-სგან, სადაც აღნიშნულია მიღწეული წარმატება საქართველოში პლასტიკური ბარათების და ზოგადად უნაღდო ანგარიშსწორების განვითარების საქმეში. 2006 წლის ოქტომბრის მონაცემებით, საქართველოში ემიტირებული VISA პლასტიკური ბარათების რაოდენობამ 500 ათასს გადააჭარბა, მაშინ როცა 2005 წელს მისი რაოდენობა 254 ათასი იყო (2006-2009 წლებში საბანკო სისტემის განვითარების სტატეგიის მიხედვით, პლასტიკური ბარათების რაოდენობამ 2009 წლის ბოლოს 950 000 უნდა შეადგინოს. თუ არსებული ტენდენცია შენარჩუნდება აღნიშნული პარამეტრის მიღწევა უკვე 2007 წელს იქნება შესაძლებელი). ადგილობრივი ტრანზაქციების განვითარებას განსაკუთრებით ხელი შეუწყო, 2005 წელს ეროვნულ ბანკში GNNშშ-ს (ეროვნული ნეტ ანგარიშსწორების სისტემა) VISA-სთან ერთად დანერგვამ. 2006 წლის ივნისის მონაცემებით VISA პლასტიკური ბარათების ბიზნესში ლიდერები არიან: ბარათების რაოდენობით: საქართველოს ბანკი (ასოცირებული ბანკების ჩათვლით); სავაჭრო ობიექტებში ბარათებზე წარმოებული ოპერაციების რაოდენობრივი და თანხობრივი სიდიდით თიბისი ბანკი; ბარათებით წარმოებული ყველა ოპერაციების (სავაჭრო ობიექტი, ბანკომატი, ბანკი) თანხობრივი სიდიდით საქართველოს ბანკი (ასოცირებული წევრების ჩათვლით); ბარათებით წარმოებული ყველა ოპერაციების (სავაჭრო ობიექტი, ბანკომატი, ბანკი) რაოდენობრივი სიდიდით თიბისი ბანკი; სავაჭრო ობიექტებში დადგმული პოსტერმინალებით (ექვაირინგი) წარმოებული ოპერაციების თანხობრივი სიდიდით ქართუ ბანკი; სავაჭრო ობიექტებში დადგმული პოს-ტერმინალებით (ექვაირინგი) წარმოებული ოპერაციების რაოდენობრივი სიდიდით თიბისი ბანკი; მთლიანი ექვაირინგის თანხობრივი სიდიდით (სავაჭრო ობიექტებში დადგმული პოს-ტერმინალებში, ბანკომატებში და ბანკში არსებული ტერმინალებში განხორციელებული ოპერაციები) პროკრედიტბანკი; მთლიანი ექვაირინგის რაოდენობრივი სიდიდით (სავაჭრო ობიექტებში დადგმული პოს-ტერმინალებში, ბანკომატებში და ბანკში არსებული ტერმინალებში განხორციელებული ოპერაციები): თიბისი ბანკი ბანკომატების რაოდენობით ქართუ ბანკი და საქართველოს ბანკი; სავაჭრო ობიექტების რაოდენობით, სადაც პოსტერმინალებია დადგმული თიბისი ბანკი; ყველა იმ ობიექტების რაოდენობით, სადაც შესაძლებელია ვიზას ბარათების მიღება ქართუ ბანკი. **ჯი-ეიჩ-ენი**

# საქართველოში საბანკო სისტემის დინამიკური ზრდა გრძელდება

საქართველოს საბანკო სექტორი 2006 წელსაც სწრაფი ტემპით ვითარდება. ამას მოწმობს 2006 წლის განვლილი პერიოდის საბანკო სექტორის საქმიანობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები:

მთლიანი სესხები - 2006 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით 2502 მლნ ლარს შეადგენდა (2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით იგივე მაჩვენებელი გაიზარდა 81.9%-ით);

სესხები ეროვნული ვალუტით - 2006 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით 655.2 მლნ ლარს შეადგენდა (2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით იგივე მაჩვენებელი გაზრდილია 112.2%-ით);

სესხები უცხოური ვალუტით - 2006 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით 1060 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა (2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით იგივე მაჩვენებელი გაზრდილია 77.5%-ით);

საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები - გაიზარდა 66.7%-ით (2006 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით 3.5 მლრდ ლარს შეადგენდა, 2005 წლის ანალოგიურ პერიოდში იგივე მაჩვენებელი 2.1 მლრდ ლარი იყო);

სააქციო კაპიტალი - გაიზარდა 41.8%-ით (2006 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით 575 მლნ ლარს შეადგენდა 2005 წლის ანალოგიურ პერიოდში იგივე მაჩვენებელი 405 მლნ ლარი იყო);

წმინდა მოგება - გაიზარდა 37.7%-ით (2006 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით 56.3 მლნ ლარს შეადგენდა, 2005 წლის ანალოგიურ პერიოდში იგივე მაჩვენებელი 40.9 მლნ ლარი იყო);

შემოსავალი აქტივებზე - 2.7% (გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 3.3% იყო)

შემოსავალი კაპიტალზე - 16.3% (2005 წლის ანალოგიურ პერიოდში იგივე მაჩვენებელი 15.7% იყო);

მთლიანი დეპოზიტები -2006 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია 51.9%-ით და 1621 მლნ ლარი შეადგინა.

დეპოზიტები ეროვნული ვალუტით - 2006 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით 510.3 მლნ ლარს შეადგენდა, 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით იგივე მაჩვენებელი 81.1%-ით გაიზარდა);

დეპოზიტები უცხოური ვალუტით - 2006 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით 637.4 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით იგივე მაჩვენებელი 44.9%-ით გაიზარდა);

დეპოზიტების დოლარიზაციამ - 2006 წლის 20 სექტემბრისათვის 68.5% შეადგინა. (2005 წლის სექტემბრის ბოლოსათვის ამ მაჩვენებელმა 73.6% შეადგინა);

საერთაშორისო სავალუტო რეზერვები - 2006 წლის 4 ოქტომბრის მდგომარეობით გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 43.1%-ით გაიზარდა და 632.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2005 წლის ანალოგიურ პერიოდში იგივე მაჩვენებელი 442.2 მლნ აშშ დოლარი იყო);

**24 საათი**

GALT & TAGGART SECURITIES — გალტ & თაგგარტ სიქიურითის

## საფონდო და ობლიგაციების ბაზრის კვირის მიმოხილვა

9 ოქტომბერი 2006

| სსბ ვაჭრობის მოცულობა (ლარი) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 234,779 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 49,099,943 |

| 6-ოქტომბერი-2006 | | | კვირის ცვლილება | ცვლილება წლის დას-დან |
|---|---|---|---|---|
| GEL/US$ | 1.738 | ▼ | -0.12% | 3.04% |
| G&T Blue Chip Index (US$) | 606.9 | ▲ | 2.39% | 71.94% |
| G&T Blue Chip Index (GEL) | 534.1 | ▲ | 2.51% | 66.71% |

GTBC ინდექსი (GEL) და სსბ სავაჭრო მოცულობა (GEL mln)




გაცვლითი კურსი GEL/US



სადეპოზიტო სერტიფიკატების საშ.შეწონილი % და ემისიის მოცულობა (GEL'000)




სადეპოზიტო სერთიფიკატების დაფარვის კალენდარი

| ემისიის დღე | დაფარვის დღე | ვადიანობა | საშ.% | მოცულობა (GEL'000) |
|---|---|---|---|---|
| 18-სექ-06 | 16-ოქტ-06 | 28 დღე | 11.08% | 1,100 |
| 20-სექ-06 | 18-ოქტ-06 | 28 დღე | 11.73% | 600 |
| 22-სექ-06 | 20-ოქტ-06 | 28 დღე | 11.96% | 1,600 |
| 26-სექ-07 | 26-დეკ-06 | 91 დღე | 12.00% | 525 |
| 28-სექ-09 | 28-დეკ-06 | 91 დღე | 11.73% | 1,000 |
| სულ | | | | 11,142 |

| თბსბ US$/GEL ვაჭრობის მოცულობა (US$ '000) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 7,235 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 366,168 |

საფონდო და ობლიგაციების ბაზარი

**გასულ კვირას გალტ & თაგგარტის ძირითადი კომპანიების (ბლუ ჩიპ) აქციების ინდექსი (GTBCI) ლარში 2.51%-ით გაიზარდა 534.1-მდე, ხოლო ვაჭრობის მოცულობამ 234.7 ათასი ლარი შეადგინა.** გასულ კვირას გარიგებები ექვს აქციაზე დაიდო, მათ შორის იყო ორი ბლუ ჩიპის აქცია: საქართველოს ბანკი (GEB, ფასი გაიზარდა 4.02%-ით) და გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია (UTC, ფლობა, ფასი არ შეცვლილა). საფონდო ბაზარზე ბლუ ჩიპის აქციები დომინირებდნენ და მათზე მთლიანი სავაჭრო მოცულობის 95.6% მოდიოდა. სავაჭრო სესია No 77, რომელიც უნდა გამართულიყო ხუთშაბათს, 5 ოქტომბერს, არ ჩატარდა ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების დღეს გამოცხადებული დასვენების გამო.

**გასულ კვირას საქართველოს წამყვანმა უნივერსალურმა ბანკმა, სს "საქართველოს ბანკმა" განაცხადა (GSE: GEB) 25 მლნ აშშ დოლარის ოდენობის 10-წლიანი კონვერტირებადი სუბორდინირებული სესხის მიღების შესახებ.** არსებული საკრედიტო რესურსის მოზიდვა განხორციელდა HBK Investments L.P-ის მიერ მართვადი ფონდიდან. თავად HBK წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან ჰეჯ-ფონდს და გალტ & თაგგარტ სიქიურითის ერთ-ერთ ძველ ინსტიტუციონალურ კლიენტს. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთია 4%. HBK-ს აქვს არჩევანი შემდეგი 2 წლის განმავლობაში სესხი გადაცვალოს საქართველოს ბანკის აქციებში ამ აქციების მომავალ საბაზრო ფასთან შედარებით 20%-ზე მაღალ ფასად. იმ შემთხვევაში, თუ სესხის აქციებში გადაცვლა არ მოხდება, მასზე საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება. საქართველოს ბანკი იტოვებს უფლებას წინასწარ დაფაროს აღნიშნული სესხი კონვერტაციის პერიოდის ვადის გასვლის შემდეგ ან სესხის მიღებიდან 5 წლის თავზე.

**გასულ კვირას საქართველოს ბანკმა ასევე განაცხადა 400,000 ახლადემიტირებული აქციის გაყიდვით საკუთარი კაპიტალის გაზრდის შესახებ, რაც უკვე მეორედ ხდება ამ წლის განმავლობაში.** აქციები ექვსმა ინსტიტუციონალურმა ინვესტორმა შეიძინა და მათზე მოთხოვნამ მიწოდებას მნიშვნელოვნად გადააჭარბა. ერთი აქციის გაყიდვის ფასმა 22.5 ლარი შეადგინა, რის შედეგადაც ბანკის საბაზრო კაპიტალიზაცია 375.6 მლნ ლარს გაუტოლდა. შედარებისთვის, ორი წლის წინ, ბანკის სათავეში ახალი მენეჯმენტის მოსვლისას ბანკის საბაზრო კაპიტალიზაცია 37.6 მლნ ლარს შეადგენდა. „ჩვენ ვაგრძელებთ ბანკის ზრდის ტემპის შესაბამისად ბანკის კაპიტალის ზრდას. მინდა მადლობა ვუთხრა ყველა იმ ფონდს, რომელმაც შეისყიდა საქართველოს ბანკის ახლადემიტირებული აქციები და მოხარული ვარ, რომ ჩვენს აქციონერებს შეემატა ორი მეტად გამოცდილი ინსტიტუციონალური ინვესტორი, რომელიც რუსეთსა და დსთ-ის ქვეყნებზე სპეციალიზირდება. ჩვენ ვაგრძელებთ აქციონერთა ბაზის გაფართოებას ბანკის განვითარების ამ მეტად მნიშვნელოვან ეტაპზე", განაცხადა საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, ***ლადო გურგენიძემ.***

ეკონომიკა

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა 2007 წლის ფულად-საკრედიტო და საერთაშორისო მონეტარული პოლიტიკის ძირითადი პარამეტრები.** მიმდინარე სტრუქტურული რეფორმებისა და საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით ეროვნულმა ბანკმა ცვლილებები შეიტანა 2007 წლის ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელში და იგი 6-7%-ის ფარგლებში განსაზღვრა. სებ-ის აზრით ფასების ზრდის აღნიშნული მაჩვენებლის დაცვა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას ქვეყანაში გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და ფინანსური სტაბილურობისათვის.

სავალუტო ბაზარი

**გასულ კვირას ლარი/დოლარის კურსი 0.12%-ით დაეცა.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ 7.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა კვირასთან შედარებით 13.3 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ჯამში 5.9 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

GALT & TAGGART SECURITIES — გალტ & თაგგარტ სიქიურითის

## საფონდო და ობლიგაციების ბაზრის კვირის მიმოხილვა

9 ოქტომბერი 2006

სსბ ვაჭრობის ჯამური მონაცემები

გასულ ხუთშაბათს, 5 ოქტომბერს საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავაჭრო სესია No 77 არ ჩატარდა ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების დღეს გამოცხადებული დასვენების გამო.

სესია No. 76, 3 ოქტომბერი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | მაქს. | საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB | 28 | 17.90 | 19.10 | 19.09 | 128.8 | 8,632 | 164,812 | 318,616,996 | - |
| UTC | 69 | 0.70 | 0.70 | 0.70 | 94.4 | 85,200 | 59,641 | 72,265,679 | ფლობა |
| BSK | 1 | 52.50 | 52.50 | 52.50 | 31.3 | 15 | 788 | 6,273,750 | რეკ. გარეშე |
| SLAD | 4 | 0.45 | 0.45 | 0.45 | 350.0 | 14,211 | 6,395 | 591,210 | რეკ. გარეშე |
| STSP | 2 | 5.00 | 5.00 | 5.00 | -37.5 | 84 | 420 | 1,960,695 | რეკ. გარეშე |
| KR99 | 1 | 5.50 | 5.50 | 5.50 | na | 495 | 2,723 | 2,032,602 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 234,779 | | |

საერთაშორისო ბირჟებზე კოტირებადი ქართული კომპანიები

2 ოქტომბერი, 2006 – 6 ოქტომბერი, 2006

| კოდი | ბირჟის ვალუტა | ფასი (კვირის მანძილზე) წინა დახურვის | მინ. | მაქს. | დახურვის | კვირის ცვლილება (%) | კვირის ბრუნვა | კაპიტალიზაცია (მლნ) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| CanArgo Energy | US$ | 1.37 | 1.18 | 1.33 | 1.30 | -5.1 | 4,434,900 | 291.3 | ყიდვა |
| Bolnisi Gold NL | A$ | 2.57 | 2.45 | 2.54 | 2.48 | -3.5 | 414,963 | 376.9 | ყიდვა |
| Metromedia Inc. | US$ | 1.77 | 1.40 | 1.70 | 1.58 | -10.7 | 5,520,900 | 148.6 | ყიდვა |
| Frontera | GBP | 65.00 | 52.00 | 67.00 | 57.59 | -11.5 | 375,780 | 3,839.7 | ყიდვა |

GALT & TAGGART BLUE CHIP ინდექსის შემადგენელი კომპანიები

| კომპანია | კოდი | რეკომენდაცია | ფასი (ლარი) | ცვლილება (%) კვირის | წლის დას-დან | ბოლო ვაჭრობის თარიღი | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | თავისუფალი მიმოქცევის კოეფ.იც. (%) | GTBCI წონა (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | GEB | - | 19.09 | 4.02 | 128.80 | 3-ოქტ-06 | 164,812 | 318,616,996 | 15.8 | 63.4 |
| ეი-ი-ეს თელასი | AEST | გაყიდვა | 1.60 | 0.00 | 6.67 | 13-ივნ-06 | 0 | 129,836,618 | 0.1 | 0.1 |
| გაერთ. სატელ.კომ. კომ | UTC | ფლობა | 0.70 | 0.00 | 94.44 | 3-ოქტ-06 | 59,641 | 72,265,679 | 9.4 | 8.5 |
| გაერთ. ქართული ბანკი | UGB | გაყიდვა | 2.79 | 0.00 | 140.43 | 18-ივლ-06 | 0 | 58,569,000 | 10.0 | 7.4 |
| უნივერმაღი თბილისი | UTB | გაყიდვა | 27.00 | 0.00 | 50.00 | 28-სექ-06 | 0 | 26,172,909 | 35.5 | 11.7 |
| ყაზბეგი | KAZB | გაყიდვა | 5.00 | 0.00 | 100.00 | 21-სექ-06 | 0 | 14,000,000 | 42.7 | 7.5 |
| ბაგრატიონი-1882 | BAGR | გაყიდვა | 2.30 | 0.00 | 15.00 | 28-მარ-06 | 0 | 17,051,246 | 5.2 | 1.1 |
| რუსთავცემენტი | RUCE | გაყიდვა | 1.10 | 0.00 | 54.93 | 17-იან-06 | 0 | 1,739,055 | 10.3 | 0.2 |
| სულ | | | | | | | 224,453 | 638,251,502 | | 100.0 |

ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტებით საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის შედეგები

2 ოქტომბერი, 2006 – 6 ოქტომბერი, 2006

| ემიტენტი | ემისიის მოცულობა (ლარი) | გადაფარვის თარიღი | საპროც. განაკვეთი (%) | ფასი ყიდ | გაყ | საშ | დღის ბრუნვა | YTM (%) | ცვლილება (ს.პ.) | სპრედი (აშშ სახაზინო ვალდებ-თან) | დურაცია | რეიტინგი Fitch /Moody's/S&P |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | 1,707,300 | 02/09/07 | 11 | 101 | 101 | 101 | - | 11.00 | 4 | 636 | 0.78 | B-/ B3/ B+ |
| პროკრედიტ ბანკი | 5,926,000 | 06/11/06 | 0 | - | - | 94.2 | - | 15.10 | 9 | 1,018 | 0.08 | B / - / - |

**აქტიური ყიდვა:** ფასის 20%-ზე მეტად მოსალოდნელი ზრდა **ყიდვა:** 10%-20% ზრდა **ფლობა:** 10% კლება ან 10% ზრდა, **გაყიდვა:** 10%-ზე მეტი კლება

სს გალტ & თაგგარტ სიქიურითის
საქართველო, 0179, თბილისი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 23,
ტელ:+ 995 32 235 800 ფაქსი:+ 995 32 235 804

ანალიტიკოსი
გოგა მელიქიძე
ტელ:+ 995 32 235 800
ელ-ფოსტა: research@galtandtaggart.ge

ზემოთმოყვანილი მასალა შექმნილია სს "გალტ ენდ თაგგარტ სიქიურითის" მიერ. "გალტ ენდ თაგგარტი" წარმოადგენს მომსახურების სრული სპექტრის მქონე საბროკერო კომპანიას, რომელიც დაკავშირებულია სს "საქართველოს ბანკთან" ("საქართველოს ბანკი" არის "გალტ ენდ თაგგარტის" უმსხვილესი აქციონერი და მნიშვნელოვანი კლიენტი). „გალტ & თაგგარტს" და/ან მასთან დაკავშირებულ პიროვნებებს შეუძლიათ განახორციელონ ან ჰქონდეთ განხორციელებული მათ საკუთარ ანგარიშზე ოპერაცია ან ოპერაციები იმ ინვესტიციებში, რომლებიც მოცემულია ზემოხსენებულ მასალაში ვიდრე შესაბამისი მასალა გამოქვეყნდება "გალტ ენდ თაგგარტ"-ის კლიენტებისათვის. ეს დოკუმენტი არ არის და არ უნდა იყოს გაგებული როგორც რომელიმე ფასიანი ქაღალდის გაყიდვის ან ყიდვის შეთავაზება. ინფორმაცია და შეხედულებები, რომლებსაც მოიცავს ეს დოკუმენტი, "გალტ ენდ თაგგარტი"ს მიერ შედგენილია ან მიღებულია სარწმუნო წყაროებიდან კეთილსინდისიერების დაცვით, მაგრამ ეს არ ნიშნავს და არ იძლევა მათი სიზუსტის, სრულყოფილებისა და კორექტულობის გარანტიას. ამ დოკუმენტში მოცემული ყველა შეხედულება და შეფასება ეფუძნება "გალტ ენდ თაგგარტის" გადაწყვეტილებებს მოცემული კონკრეტული თარიღისათვის და ექვემდებარება შეტყობინების გარეშე შეცვლას. ამ დოკუმენტში გამოცემული ინფორმაცია გამოქვეყნებულია მის სავარაუდო რეციპიენტთა (მკითხველთა) დასახმარებლად, მაგრამ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ოფიციალურად ან მიღებულ იქნეს რომელიმე რეციპიენტის მიერ საკუთარი გადაწყვეტილების განხორციელებისათვის.

### უკრაინა 5 წლის განმავლობაში რუსული გაზის ტრანსპორტირების საფასურს არ გაზრდის

უკრაინასა და რუსეთს შორის ხელსეკრულება გაფორმდა, რომლის საფუძველზედაც უკრაინა 5 წლის განმავლობაში რუსული გაზის ტრანსპორტირების საფასურს არ გაზრდის. "უკრაინა 100 კილომეტრის მანძილზე ათას კუბ/მ აირს 1.6 დოლარად გაატარებს", - აცხადებს უკრაინის სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი იური ბოიკო. **ჯი-ეიჩ-ენი**

### გაზზე სამომხმარებლო ფასი დაიკლებს

უკრაინის პრემიერ-მინისტრ ვიქტრო იანუკოვიჩის განმარტებით, უკრაინაში გაზზე სამომხმარებლო ფასი დაიკლებს, რაც მოსახლეობის ჯიბეზე დადებითად აისახება. იანუკოვიჩი აცხადებს, რომ მოსახლეობისთვის 1000 კუბ/მ აირის საფასური 61.6 დოლარის ფარგლებში იქნება. შეგახსენებთ, რომ უკრაინის მოსახლეობა 1000 კუბ/მ აირში 2006 წლის დასაწყისიდან 71 დოლარს იხდიდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### თურქეთში საერთაშორისო ბიზნეს-ფორუმს ქართული მხარე დაესწრება

28-29 თურქეთში საერთაშორისო ბიზნეს ფორუმი გაიმართება, რომელსაც ქართული მხარეც დაესწრება. როგორც სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელმა მერაბ ლომინაძემ აცნობა, ფორუმში მონაწილეობას ძირითადად ქართული სამშენებლო ფირმები მიიღებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სვერდლოვსკის ოლქში ალკოჰოლური სასმელების ფასი გაიზარდა

საქართველოდან და მოლდავეთიდან ალკოჰოლური სასმელების შეტანის აკრძალვისა და ლიცენზირების ახალი სისტემის შემოღების გამო, სვერდლოვსკის ოლქში სპირტიანი სასმელების გასაყიდი ფასი გაიზარდა. ოლქის ვაჭრობის მინისტრის ვერა სალავიოვას თქმით, ფასების მატება 8-14 პროცენტის ფარგლებში დაფიქსირდა. მისივე ონფორმაციით, ღვინოსა და სხვა ალკოჰოლურ სასმელებზე სერტიფიცირების ახალმა წესმა, რომელიც საგრძნობლად გაჭიანურებული და გაძნელებულია, საქონლის უცხოელი დისტრიბუტორები წაახალისა. მათ კი ისარგებლეს ბაზარზე მონოპოლიური უფლებებით და სასმელზე ფასი გაზარდეს. როგორც მინისტრი ირწმუნება, საახალწლოდ, სავაჭრო ქსელში, ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების დეფიციტი არ იქნება, თუმცა, პროდუქციის ასორტიმენტი არცთუ მდიდარი იქნება. ვერა სალავიოვა ვერც ფასების შემცირების პირობას იძლევა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### რუსი ექსპერტები ეკონომიკის დივერსიფიკაციას ითხოვენ

რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური უწყებების მაღალჩინოსნები და ექსპერტები ეროვნული ეკონომიკის დივერსიფიკაციაზე საუბრობენ. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი მიხაილ ფრადკოვი, ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებზე საუბრისას, აღნიშნავს, რომ "მთავრობის ეკონომიკური გუნდის ძირითადი მიმართულება რუსული ეკონომიკის დივერსიფიკაციაგანვითარების ალტერნატიული გზების არსებობა უნდა იყოს". მიხაილ ფრადკოვის მოხსენების პარალელურად, მონაცემებს აქვეყნებს სტატისტიკის დეპარტამენტი. ოფიციალური სტატისტიკით, ნუსხა იმ პროდუქციისა, რომელთა სავაჭრო ბრუნვა ადრე მატებით აღინიშნებოდა, თანდათანობით მცირდება. კერძოდ, 21 დასახელების საქონლის, (რომელთა შორისაა ნავთობი, ელექტროენერგია, საკვები და საქაღალდე პროდუქცია), წილი საერთო ეკონომიკურ მაჩვენებლებში, აპრილის თვეში, 100-დან 85 პროცენტამდე ჩამოვიდა. უფრო უარესი იყო მონაცემები ივნისში-კლება 48 პროცენტამდე ფიქსირდება. რუსეთის წარმოების 40%-იან ზრდას დღეს ნავთობი, ელექტროენერგია და მეტელები განსაზღვრავს. წარმოების ზრდის მაჩვენებელი ყველაზე მეტად ელექტროენერგიის გამომუშავებამ განაპირობა. რუსეთის ეკონომიკის დივერსიფიკაციის შემცირებას რუსეთის ექსპორტის მაჩვენებლებიც ადასტურებს. თუ გასული წლის იანვარ-ივლისში სათბობ-ენერგეტიკული პროდუქციია ექსპორტი საერთო მოცულობის იგი 62, შეადგენდა, მიმდინარე წლის ანალოგიურ პერიოდში მან 67,8% შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# “მერსედესი” “ბეემვე X3-ის” მეტოქეს გამოუშვებს

პირველი გვერდიდან




მცირე ზომის პრემიუმ კლასის უგზოობის მოდელთან დაკავშირებული გეგმები ავტოინდუსტრიის ანალიტიკოსებს “მერსედეს-ბენცის” გაყიდვებისა და მარკეტინგის განყოფილების აღმასრულებელმა ვიცე პრეზიდენტმა კლაუს მაიერმა გააცნო. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ კლასის ავტომობილები ყველაზე მეტად სწორედ აშშ-შია პოპულარული, თუმცა მათზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია მსოფლიოს სხვა ბაზრებზეც ფიქსირდება.

საერთოდ, “მერსედეს-ბენცისთვის” აშშ გერმანიის შემდეგ მნიშვნელობით მეორე ბაზარია. შარშან შტუტგარტელებმა ოკეანის გაღმა სულ 224 269 სედანი და უგზოობის მოდელი გაყიდეს, რაც წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით 1.3 პროცენტით მეტია. “მერსედესისთვის” ეს იყო გაყიდვების ზრდის ზედიზედ მე-12 წელიწადი.

“მერსედეს-ბენცის” მარკეტოლოგებმა დაადგინეს, რომ მათი კომპანიის პროდუქციას აშშ-ში უფრო ახალგაზრდა მყიდველი ჰყავს, ვიდრე ევროპაში. ეს იმ დროს, როდესაც კონკურენტი ბავარიული კომპანიის (ბეემვეს) მცირე ზომის უგზოობის X3 პირველ რიგში, სწორედ ახალგაზრდა მყიდველზეა ორიენტირებული.

იმავდროულად, წლის დასაწყისიდან აგვისტოს ჩათვლით, “ბეემვემ” 20 472 ცალი X3-ის გაყიდვა მოასწრო. ეს კი შარშანდელი ანალოგიური პერიოდის 23409-ზე ნაკლებია. გარკვეულწილად, ეს იმის ბრალიცაა, რომ ბაზარზე გამოვიდა იაპონური “ჰონდას” ამერიკული შტოს, “აკურას” ახალი მოდელი RDX, რომელიც პირველ რიგში, სწორედ “ბეემვეს” X3-ის კონკურენტია. “აკურამ” აგვისტოში უკვე მოასწრო 1 361 ცალი RDX-ის რეალიზება.

აღსანიშნავია, რომ “მერსედესის” პარალელურად, მცირე ზომის პრემიუმ კლასის უგზოობის მოდელზე მუშაობა დაწყებული აქვს “ჯენერალ მოტორსის” პრემიუმ ბრენდ “კადილაკსაც”, რომლის შესაბამის სიახლეს ბაზარი ორ წელიწადში ელის. ასე რომ, შტუტგარტელთა GLK-ს, რომელსაც კომპანიის ბრემენული ქარხანა გამოუშვებს, აშშ-ში ხისტი კონკურენცია ელის.

ახალი ავტომობილი ბაზირებული იქნება “მერსედესის” C-კლასის პლატფორმაზე. წინასწარი მონაცემებით, ეს იქნება ცნობილი დიდი ზომის GL-კლასის უგზოობის მოდელის მომცრო ვერსია.

უნდა ითქვას, რომ შტუტგარტელები თავიდან GLK-ს წარმოებას ბრაზილიაში გეგმავდნენ, მაგრამ ბრემენის ქარხნის პროფკავშირთან მიღწეული შეთანხმების წყალობით (რომელიც სახელფასო ფონდის შეკვეცას და სამუშაო დროის გაზრდას ითვალისწინებს), წარმოება გერმანიაში დარჩება, რითაც ბრემენის ქარხნის 2-3 ათასი თანამშრომელი დასაქმდება.

რაც შეეხება ბრაზილიის ქარხანა “ჟუიზ დე ფორას”, GLK-ს წარმოებისთვის ის “დაიმლერკრაისლერის” ხელმძღვანელობას ჰქონდა შერჩეული. სხვათაშორის, ამავე ქარხანაში იყო დაგეგმილი კომპანიის მფლობელობაში მყოფი “სმარტის” უგზოობის პირველი მოდელის, “ფორმორის” წარმოება. თუმცა, “სმარტის” რესტრუქტურიზაციის პროცესმა პროექტი “ფორმორი” განუსაზღვრელი ვადით შარშან შეაჩერა. არაა გამორიცხული, რომ წარმოებისთვის თითქმის ბოლომდე გამზადებული მოდელის გამოშვების უფლება სხვა კომპანიამ შეიძინოს.

### აშშ-ს ბირჟაზე კლება გაგრძელდა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე კვლავ ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ნავთობის გაიაფების და დოლარის კურსის გამყარების მიუხედავად, ინვესტორთა განწყობაზე უარყოფით გავლენა არადამაიმედებელმა კორპორაციულმა სიახლეებმა მოახდინა, რომელთაგან აღსანიშნავია მიმდინარე წლის მესამე კვარტალში შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ამერიკული ალუმინის გიგანტის Alcoa-ს შემოსავალის 86 პროცენტით შემცირება.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,24 პროცენტით, 11.838,28 პუნქტამდე შემცირდა. 0,18 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.311,31 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,22 პროცენტით, 1.350,45 პუნქტამდე მოიკლო.

### ნავთობი რვათვიან მინიმუმამდე გაიაფდა

გუშინ, ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა და ნავთობის ღირებულება პირველად უკანასკნელი რვა თვის განმავლობაში 58 დოლარი/ბარელის ნიშნულს ჩამოსცდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 58,16 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 57,87 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა.

ბუნებრივი აირის ფასმა კი პირიქით, მოიმატა და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება, მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 6,466 დოლარი შეადგინა, რაც აშშ-ში აცივების მოახლოების შესახებ გავრცელებულმა პროგნოზმა განაპირობა.

"შავი ოქროს" გაიაფების მიზეზი ნავთობის მოპოვების შემცირებასთან დაკავშირებით ოპეკში არსებული უთანხმოების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია გახლდათ. კერძოდ, ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულ პოზიციას არ იზიარებს ნავთობის უმსხვილესი ექსპორტიორი საუდის არაბეთი. ანალიტიკოსთა აზრით, საუდის არაბეთის ამგვარი დამოკიდებულება გეოპოლიტიკური თვალსაზრისით უნდა აიხსნას. კერძოდ, ნავთობის გაიაფება მწვავე დარტყმას მიაყენებს მის მთავარ კონკურენტებს - ირანს და ვენესუელას.

# იაპონური კომპანია რუსულ ურანს მოიპოვებს

მერაბ ლორთქიფანიძე

იაპონური კომპანია “მიცუი” და რუსული “ტეხსნაბექსპორტი” მალე შეუდგებიან იაკუტიაში მდებარე ურანის საბადოს დამუშავების პროექტზე მუშაობას. ეს მოვლენა განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს, რამდენადაც, “მიცუი” გახდება პირველი არარუსული კომპანია, რომელსაც რუსეთში ურანის მოპოვებაზე მუშაობის უფლება ენიჭება.

იაკუტიის რაიონ “იუჟნაიას” ურანის საბადო ერთ-ერთი ყველაზე დიდია მსოფლიოში. იქ მოპოვებული ურანის დიდი ნაწილი გადასამუშავებლად იაპონიაში გაიგზავნება. პირველ ეტაპზე, “მიცუი” მხოლოდ ურანის მომპოვებელი საბადოს ტექნიკურ-ეკონომიკურ საფუძვლების შექმნაში მიიღებს მონაწილეობას, საბადოს ამუშავების შემდეგ კი მისი ერთ-ერთი მომპოვებელიც უნდა გახდეს.

აღნიშნული საბადოს მარაგი დაახლოებით 250 ათას ტონას შეადგენს. საბადოს საპროექტო სიმძლავრე უნდა იყოს ათასი ტონა წელიწადში. მისი დამუშავების პროექტის შესამუშავებლად “მიცუი” 6 მილიონ დოლარს დახარჯავს. საბადო 2009 წელს უნდა გაიხსნას და მაშინვე დაიწყებს მიწოდებას გადამამუშავებელი საწარმოებისთვის. საპროექტო სიმძლავრეზე კი ის მოგვიანებით, 2015 წელს გავა.

“ტეხსნაბექსპორტის” ხელმძღვანელთა განცხადებით, იაკუტიის რაიონ “იუჟნაიას” ურანის საბადოზე მოპოვებული ურანი მთლიანად ენერგეტიკულ რეაქტორებს მოხმარდება და სამხედრო საჭიროებისთვის მას არ გამოიყენებენ.

აღსანიშნავია, რომ “მიცუისთვის” ეს რუსულ საბადოებზე მუშაობის პირველი შემთხვევა არ იქნება, თუმცა იაპონელებს აქამდე ურანის რუსებთან ერთად მოპოვების საშუალება არ ჰქონიათ. იაპონური კომპანია მონაწილეობს ნავთობსაბადო “სახალინ-2-ის” დამუშავებაზე - შორეული აღმოსავლეთის კუნძულის შელფურ ზონაში აწარმოებს დაზვერვით და საბადოს გახსნის მოსამზადებელ სამუშაოებს.

“მიცუის” პროექტ “სახალინ-2-ის” ოპერატორ “სახალინ ენერჯიში” 25-პროცენტიანი წილი ეკუთვნის, თუმცა მოსალოდნელია, რომ ეს წილი მალე მნიშვნელოვნად შემცირდება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ რუსების მიერ თითიდან გამოწოვილი სხვადასხვა მიზეზის გამო, პროექტს დახურვა ემუქრება. ეს მაშინ, როცა მის მონაწილე ამერიკულ და იაპონურ კომპანიებს მასში უკვე მილიარდობით დოლარის ინვესტიცია აქვთ ჩადბული.

პროექტის გაჩერების თავიდან ასაცილებლად, “მიცუი” კომპრომისის სახით რუსებს თავისი წილიდან 3 პროცენტის მიყიდვას თანხმდება. თუმცა, ძნელი სათქმელია, რამდენად დააკმაყოფილებს რუსულ დათვს ეს მცირე ლუკმა.

### ძვირფასი ლითონები გაიაფდა

გუშინ, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ღირებულებამ 1,1 პროცენტით მოიკლო და 576,2 დოლარი შეადგინა. ვერცხლი 1,75 პროცენტით, 11,22 დოლარი/უნციამდე გაიაფდა, პლატინის ფასმა 1,8 პროცენტით, 1075,7 დოლარი/უნციამდე მოიკლო, ხოლო პალადიუმი 0,5 პროცენტით, 301,6 დოლარი/უნციამდე გაიაფდა.

ანალიტიკოსთა აზრით, მიუხედავად ჩრდილოეთ კორეის ირგვლით არსებული დაძაბული ვითარებისა, ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების გაიფება ნავთობის ფასის კლებამ და მსოფლიოს წამყვან ვალუტებთან მიმართებაში დოლარის კურსის გამყარებამ განაპირობა. გარდა ამისა, გუშინწინდელი გაძვირების შემდეგ ბაზარზე მოგების ფიქსაციის მცდელობაც შეინიშნებოდა.

# ლონდონისთვის ტაქსებს ჩინეთში დაამზადებენ






მერაბ ლორთქიფანიძე

ბრიტანულმა კომპანია “მანგენიზ ბრონზმა” გამოაცხადა, რომ ლონდონური შავი ტაქსების (ბლექ ქებ) წარმოებას მალე ჩინეთშიც დაიწყებს და იმავდროულად, ამავე ავტომობილების წარმოებას ინგლისშიც შეინარჩუნებს. კომპანია იმედოვნებს, რომ ამით მას გზა გაეხსნება ჩინეთის უზარმაზარი პოტენციალის მქონე ბაზრისკენ. თუმცა, აშკარაა, რომ წარმოების ჩინეთში დაწყებით, მისი ინგლისური წარმოება თანდათანობით დაკნინდება.

“მანგენიზ ბრონზის” ჩინელი პარტნიორია იქაური ინდუსტრიული ჯგუფი “ჯეძიან გეელი ჰოლდინგი”, რომლის საწარმოც წლიურად 20 000 ცალ ბლექ ქებს გამოუშვებს. ამასთან, შენარჩუნებულ იქნება ბრიტანული საწარმო, რითაც მასში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა არ შემცირდება. შანხაიში მდებარე ქარხანა ბლექ ქების წარმოებას 2008 წელს დაიწყებს.

“ჯეძიან გეელი” წლიურად 250 000 ცალ ავტომობილს აწარმოებს და მათ მთელს ჩინეთში გაბნეული 500 სადისტრიბუციო კომპანიის მეშვეობით ჰყიდის. ჩინური ავტოკომპანია იმედოვნებს, რომ ბრიტანელებთან თანამშრომლობა მის ავტორიტეტს საგრძნობლად გაზრდის, რაც თავისი პროდუქციის მსოფლიოს ბაზრებზე გატანაში შეუწყობს ხელს.

“მანგენიზის” ბიზნესის განვითარებისა და ფინანსების განყოფილების დირექტორი მარკ ფრაიერი ამბობს, რომ მისმა კომპანიამ ჩინეთზე არჩევანი პირველ რიგში, წარმოების სიიაფის გამო შეაჩერა. მისი თქმით, “გეელი” მის მიერ წარმოებული ავტომობილების (მეტწილად მცირე და საშუალო ზომისა) გაყიდვით, დახარჯული თანხის დაახლოებით ათ პროცენტს იგებს. ეს კი თანამედროვე ავტოინდუსტრიის საზომებით სოლიდური მაჩვენებელია (დიდი კომპანიების მოგების წილი დაახლოებით 6 პროცენტია). ფრაიერი იმედოვნებს, რომ ანალოგიურ პროცენტული მაჩვენებელი ბლექ ქებთან მიმართებაშიც შენარჩუნდება.

ბრიტანულ ქარხანაში “მანგენიზი” წლიურად მხოლოდ 2 500 ცალ ბლექ ქებს გამოუშვებს. მათი წარმოებისთვის გაწეული ხარჯების შესამცირებლად, გამოყენებულ იქნება იმავე კომპანიების მიერ წარმოებული მაკომპლექტებელი ნაწილები, რომლებითაც ჩინური საწარმო მომარაგდება. ამასთან, ჩინურ საწარმოს ბრიტანეთიდან მიეწოდება ზოგიერთი დეტალი. მაგალითად, ფანჯრებისთვის საჭირო შუშა. იმის გამო, რომ შუშის მიწოდება გაიზრდება, მისი ხვედრითი ფასი შემცირდება, რაც ასევე დადებითად იმოქმედებს საბოლოო პროდუქტის რენტაბელობაზე. გარდა ამისა, ამგვარად შესაძლებელი გახდება ბრიტანულ საწარმოში სამუშაო ადგლების შენარჩუნება.

ახალი ერთობლვი საწარმოს ამოქმედებისთვის სულ 53 მილიონი (100 მილიონ დოლარზე მეტი) გირვანქა სტერლინგს ინვესტციაა საჭირო, რომელთაგან 19.85 მილიონ სტერლინგს ბრიტანული კომპანია გაიღებს. შესაბამისად, ერთობლივ საწარმოში მისი წილი 37.6 პროცენტი იქნება. ამასთან, ფულადი რესურსის მოსაზიდად, ბრიტანული კომპანია დამატებით გამოუშვებს 5.7 მილიონ აქციას, რომლებსაც “გეელი” შეიძენს და ამგვარად, “მანგენიზში” თავის წილს 23 პროცენტამდე გაზრდის. ფაქტობრივად, ბრიტანელები ერთობლივ საწარმოში ჩინური ფულითვე მიიღებენ მონაწილეობას.

### Boeing-მა Singapore Airlines-თან 4,52 მილიარდიანი კონტრაქტი გააფორმა

ამერიკულმა ავიამშენებელმა გიგანტმა Boeing Co-მ სინაგაპურულ კომპანია Singapore Airlines LTD-სთან Boeing 787-9 Dreamliner-ის მარკის 20 სამგზავრო თვითმფრინავის მიწოდებაზე კონტრაქტი გააფორმა. ამ გარიგების ღირებულება 4,52 მილიარდი დოლარი გახლავთ და Singapore Airlines აღნიშნულ 20 ლაინერს 2011-2013 წლებში მიიღებს.

Boeing-ის წარმომადგენელთა განცხადებით, სინგაპურულ კომპანიასთან გაფორმებული კონტრაქტის ჩათვლით, ამერიკულმა ავიაგიგანტმა 787 სერიის 422 თვითმფრინავის შეკვეთა მიიღო. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში Boeing-ის შემოსავალი 7 პროცენტით, 29,25 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

### ამერიკა მრავლდება

აშშ-ს მოსახლეობამ 300 მილიონ ადამიანს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ ამერიკა ინდუსტრიულად განვითარებული ერთადერთი ქვეყანაა, რომელშიც მოსახლეობის ზრდის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნება. მაგრამ საქმე ისაა, რომ სუპერსახელმწიფოს მოსახლეობას სუპერმოთხოვნები აქვს, რაც ექსპერტთა შეშფოთებას იწვევს.

ამერიკელი პლანეტის სხვა ქვეყნის მცხოვრებზე ოთხჯერ მეტ ენერგიას იყენებს, სამჯერ მეტ წყალს ხარჯავს, გამოყოფს ორჯერ მეტ ნაგავს და ხუთჯერ მეტ ნახშირორჟანგს გამოიმუშავებს. ასე რომ, აშშ-ს მზარდი მოსახლეობა ძალიან დიდ რესურსს მოიხმარს.

## პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი მთავრობის პოლიტიკით კმაყოფილია

საპარლამენტო სესიაზე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა ამ წლის მუშაობის ანგარიში წარმოადგინა. როგორც კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე აცხადებს, კომიტეტი მთავრობის საფინანსო პოლიტიკით საერთო მუშაობით კმაყოფილია. მისი თქმით, მთავრობამ მოახერხა ლარის კურსის შენარჩუნება და აგრეთვე ინფლაციის დონის დაწევა. როგორც ირაკლი კოვზანაძე ვარაუდობს, წლის ბოლომდე ლარის სავალუტო კურსი შენარჩუნდება და ინფლაციის დონე ორნიშნა რიცხვის ქვემოთ იქნება. გარდა ამისა, ირაკლი კოვზანაძე აცხადებს, რომ სასურველია, რომ ლარის კურსის მერყეობა მხოლოდ 2 ლარის ფარგლებში იყოს. "ეს არის ფსიქოლოგიური ზღვარი, რათა მოსახლეობაზე ლარის კურსის შეცვლამ არ იმოქმედოს". კოვზანაძე აცხადებს, რომ ლარის კურსის ისე გამყარება, რომ უგი 1.7-ს ჩასცდეს მოსახლეობაზე ცუდად იმოქმედებს. რადგან ანაზრების 90 პროცენტი დოლარზე მოდის. მისივე თქმით, სასურვალია, რომ სტატისტიკის დეპარტამენტი უფრო მეტად გახდეს დამოუკიდებელი. მისი თქმით საჭიროა ჩატარდეს მუშაობა, რათა პარლამენტმა მიიღოს კანონი სტატისტიკის დეპარტამენტის შესახებ. პარლამენტარ ბესო ჯუღელის თქმით, სასურველია, რომ სტატისტიკის დეპარტამენტი პარლამენტს ექვემდებარებოდეს. თუმცა ირაკლი კოვზანაძის განმარტებით, მსოფლიო პრაქტიკაში სტატისტიკის დეპარტამენტს აღმასრულებელი ხელისუფლება მართავს. "უბრალოდ, აქ საუბარია იმაზე, რომ ეს ორგანო რაც შეიძლება დამოუკიდებელი იყოს", - აცხადებს კოვზანაძე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 3 444.3 მლნ ლარს შეადგენს

საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 3 444.3 მლნ ლარს. 2007 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება 14.1 პროცენტით და შეადგენს 2 884.0 მლნ ლარს, მათ შორის, საგადასახადო დეპარტამენტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი, 2006 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 18.5 პროცენტით და შეადგენს 1 539.8 მლნ ლარს. საბაჟო დეპარტამენტის შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი 2006 წლის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით, იზრდება 9.5 პროცენტით და შეადგენს 1 344.2 მლნ. ლარს. **ჯი-ეიჩ-ენი.**

## საქართველოს მთავრობა რუსეთის ბლოკადის შედეგად მიღებულ ზარალს დაითვლის

საქართველოს მთავრობა რუსეთის ბლოკადის შედეგად მიღებულ ზარალს დაითვლის, რის შემდეგაც საერთაშორისო სასამართლოში სარჩელს შეიტანს, - განაცხადა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გიორგი ქავთარაძემ საქართველოს ოთხშაბათის სხდომის დასრულების შემდეგ. მინისტრის თქმით, ზარალის დათვლა ყველა სამინისტროს დაევალა. **"მოგვიანებით მთავრობა გადაწყვეტილებას მიიღებს სარჩელი საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში შეიტანოს, თუ სტრასბურგის ევროპის სასამართლოში",** - დასძინა ქავთარაძემ. საქართველოსთვის ეკონომიკური სანქციების დაწესებაზე რუსეთში მას შემდეგ ალაპარაკდნენ, რაც სამართალდამცავებმა ჯაშუშობის ბრალდებით რუსი სამხედრო მაღალჩინოსნები დააკავეს. აღნიშნული ფაქტის შემდეგ, რუსეთ-საქართველოს შორის საჰაერო, სარკინიგზო და საფოსტო კავშირი შეწყვეტილია. რუსეთმა საქართველოდან საკუთარი დიპლომატებიც გაიწვია. რუსეთის ტერიტორიაზე კი, ქართველების მასიური დევნა და დეპორტაცია დაიწყო. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## საქართველო აზერბაიჯანის ვალს 2025 წლამდე დაფარავს

საქართველოს პარლამენტმა აზერბაიჯანის მიმართ საქართველოს სახელმწიფო ვალის რესტრუქტურიზაციაზე აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებს შორის გაფორმებული შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა. პარლამენტმა რატიფიცირებას მხარი ერთხმად დაუჭირა. საქართველოს ვალი აზერბაიჯანის მიმართ 16,189 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ვალის ნაწილის - 2,7 მლნ აშშ დოლარის დაფარვა მას შემდეგ დაიწყება, როცა შეთანხმება ძალაში შევა. პირველი ნაწილის დაფარვა 2006 წლის ბოლოსთვის დასრულდება. 3,239 მლნ აშშ დოლარს საქართველო 2007-2021 წლების განმავლობაში გადაიხდის. მესამე ნაწილის დაფარვა კი, 2010 წელს დაიწყება და 2025 წელს დასრულდება. საპროცენტო განაკვეთი წელიწადში 3%-ით განისაზღვრება. 2006 წლის 30 სექტემბერის მონაცემებით, საქართველოს საგარეო სახელმწიფო ვალი და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების საერთო მოცულობა 1 748 600 000 აშშ დოლარს შეადგენს. საქართველოს უმსხვილესი კრედიტორები არიან მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია - 739 149 000 აშშ დოლარი; საერთაშორისო სავალუტო ფონდი - 224 147 000 აშშ დოლარი, რუსეთი - 147 140 000 აშშ დოლარი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ამინდი

| | 12/10 | 13/10 | 14/10 |
|---|---|---|---|
| კიევი | 13 | 13 | 13 |
| რიგა | 14 | 13 | 15 |
| ვილნიუსი | 12 | 10 | 13 |
| მოსკოვი | 9 | 8 | 3 |
| მინსკი | 12 | 12 | 10 |
| პარიზი | 17 | 18 | 15 |
| რომი | 24 | 23 | 23 |
| ლონდონი | 19 | 17 | 19 |
| მადრიდი | 20 | 21 | 22 |
| ბონი | 17 | 18 | 19 |
| ვარშავა | 15 | 16 | 13 |
| ათენი | 20 | 20 | 20 |
| ბერნი | 18 | 20 | 21 |
| ამსტერდამი | 14 | 16 | 12 |
| ოსლო | 10 | 11 | 11 |
| ანკარა | 24 | 22 | 21 |
| ვარნა | 15 | 16 | 14 |
| დელი | 41 | 41 | 38 |
| ტოკიო | 27 | 25 | 25 |
| კოპენჰაგენი | 11 | 10 | 11 |
| ბაქო | 19 | 15 | 18 |
| ერევანი | 25 | 23 | 23 |
| ასტანა | 2 | 3 | 5 |
| ჰელსინკი | 7 | 8 | 6 |
| დუბლინი | 13 | 13 | 15 |
| ლისაბონი | 22 | 21 | 23 |
| პრაღა | 18 | 17 | 13 |
| სოფია | 16 | 17 | 17 |
| ბუდაპეშტი | 20 | 19 | 17 |
| ბუხარესტი | 18 | 19 | 18 |

# ცრემლები ლონდონური ფეიერვერკის დროს

პირველი გვერდიდან



ერთი კვირაა რაც მცხეთაშია, საკუთარ სახლში, მშობლებთან, უკვე 28 წლისას ძალიან უნდა თავისი ცოდნა საქართველოში გამოიყენოს. რამდენიმე შეთავაზება უკვე აქვს, თუმცა, რადგანაც არჩევანის საშუალება არსებობს, ძალიან არ ჩქარობს.

აი მაშინ კი, შვიდი წლის წინ, 1999-ში ძალიან ჩქარობდა...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომი, მერე რა, რომ წითელი, მაგისტრატურა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრობა, სხვადასხვა კონფერენციებში მონაწილეობა, პრაქტიკა საქართველოს პარლამენტში... თითქოს ყველაფერი წესების დაცვით მიდიოდა, მაგრამ შალვა მალევე მიხვდა, რომ მიზანი ერთი იყო და მის მიღწევას სხვანაირი ბრძოლა სჭირდებოდა. თან აქ კი არა, მშობლიურ გარემოში, უცხო ქვეყანაში, სადაც თუ არ იშრომებ, უბრალოდ, ვერ იცხოვრებ.

ცოტა ისიც დაეხმარა, რომ დედა სკოლის დირექტორი ჰყავდა და მამა უნივერსიტეტის პროფესორი, ცოტა ის, რომ აქტიური იყო, რომ კარგი ნიშნები ჰქონდა, ისიც, მისი ორი მეგობარი უკვე ლონდონში რომ იყო წასული... ერთი სიტყვით, ოჯახმა სესხი აიღო, ლონდონში ენის კოლეჯი იპოვა, ვიზა მიიღო და წავიდა.

ეს ახლაა ადვილი, ამ წასვლის ამბების მოთხრობა - მაშინ ყველა ნაბიჯი ურთულესი იყო. პირველი სამსახური, რომელიც ლონდონში მცხოვრებმა ერთმა ოსმა უშოვა გასამრჯელოს სანაცვლოდ, სასტუმროში ჭურჭლის მრეცხავის ადგილი იყო.

"ეს იყო საშინლად დამამცირებელი საქმე, მაგრამ მახსოვდა მხოლოდ ჩემი მიზანი. დილის შვიდიდან სამამდე ვრეცხავდი, მერე მივდიოდი კოლეჯში, ექვსზე ვბრუნდებოდი სასტუმროში და ღამის ორ საათამდე არალეგალურად ვმუშაობდი. ამის გამო კი ნახევარ ხელფასს მიხდიდნენ".

ეს ის პერიოდოა, როცა ლონდონში დღევანდელივით 10 000 ქართველი არ ცხოვრობდა. ქართველებს არც არავინ იცნობდა და ყველა რუსებად თვლიდა. შალვას სასტუმროში სომალელი და განელი უფროსები ჰყავდა; "იქ ხომ მნიშვნელობა არა აქვს სადაური ხარ".

სამუშაო ისედაც მძიმე იყო 21 წლის ბიჭისთვის, რომელსაც ჭურჭელი ცხოვრებაში არ გაურეცხავს. მაგრამ ვალი გადასახდელი ჰქონდა. კოლეჯი მხოლოდ სამი თვით ჰქონდა ნაყიდი, ვიზა რომ გაეგრძელებინა, კიდევ უნდა გადაეხადა და სწავლა დაესრულებინა. ამისათვის შალვას სამი თვე ჰქონდა.

"ჩემს ჩასვლას დაემთხვა ახალი წლის პერიოდი, წარმოიდგინეთ, 2000 წელი დადგა. ლონდონი სასწაული ფეიერვერკით ზეიმობდა და მე ზუსტად მაგ დროს ჭურჭელს ვრეცხავდი და ვტიროდი, მაგრამ იმ ღამეში მე ოთხმაგ ხელფასს მიხდიდნენ და იმ დღეების განმავლობაში, შობა-ახალ წელს ვიმუშავე. 18-19 საათიანი მუშაობის შედეგად ავიღე იმდენი ფული, რომ ნახევარი წლის სწავლის საფასური გადავიხადე".

სამი თვე დარჩა ამ ადგილას. საქართველოში უდარდელი ხმით რეკავდა და ამბობდა, რომ კარგად იყო, რომ მუშაობდა, მაგრამ აქ არავინ იცოდა, რას აკეთებდა. სამი თვის მერე ვიზა კვლავ გაუგრძელეს. ეს იყო პირველი უბედნიერესი დღე ლონდონურ ცხოვრებაში. ამ ხნის განმავლობაში არ არსებობდა არანაირი პირადი ცხოვრება, მეგობრები. იყო მხოლო სამუშაო, და ორი საათი ძილისთვის. პოლონეთიდან ჩასულ ბოშებთან ქირაობდა სახლს, სახლიც არ ერქვა, რადგან იქ მხოლოდ ტანსაცმელს ინახავდა და ცოტა ხანი ეძინა. ყველაფერ დანარჩენს სასტუმროშივე აგვარებდა.

დაწინაურება ნიშნავდა, რომ მიმტანი უნდა გამხდარიყო. გამოჩნდა საუზმეზე მიმტანის ადგილი, მეტი ხელფასით და რაც მთავარია, მეტი კონტაქტის შესაძლებლობით სტუმართან. კიდევ ერთი შანსი, ინგლისურის უკეთესად დაუფლებისა. დღეს შალვა ამბობს, რომ საქართველოდან წასვლისას ფიქრობდა, რომ ინგლისური იცოდა, მაგრამ იქ ჩასვლისთანავე მიხვდა, რომ ასე არ იყო. საუზმის მიმტანი, მართალია, უდაბლესი საფეხურია, მაგრამ ამ ადგილზე სამთვიანმა მუშაობამაც ბევრი რამ ასწავლა. საღამოს ექვსიდან დილის ცხრამდე კიდევ ერთი სამსახური გამოუჩნდა, ოფისებს ალაგებდა: მტვერს წმენდდა, ნაგავი გაჰქონდა და ყავის ჭიქებს რეცხავდა.

"ამასობაში ორი ქართველი გავიცანი, მერე ჩემი დეიდაშვილიც ჩამოვიდა, ისე მოხდა, რომ ერთიანი ძალებით ვიქირავეთ სახლი, სულ ექვსნი ვიყავით, მალე 18-ნი გავხდით და ვცხოვრობდით სამ ოთახში. სამი კაცი, მაგალითად, აეროპორტში ვიპოვეთ, წასასვლელი არსად ჰქონდათ და ასე ერთმანეთს ვეხმარებოდით. ეს კი არა, ერთ საწოლში გვეძინა სამ-ოთხ კაცს, მორიგეობით, რადგან სხვადასხვა დროს ვმუშაობდით. ძნელი იყო, მაგრამ საკუთარ თავში რომ დარწმუნდე, ეს გზა უნდა გაიარო. სულ სხვანაირი დაბრუნდები აქ, ამ ყველაფერს თუ გაუძელი".

ამასობაში ენაც ისწავლა, საქმეშიც დახელოვნდა და საღამოს მიმტანის ტრენინგიც გაიარა. ეს უკვე სხვანაირი მომსახურებაა, სტუმართან მეტი კონტაქტია. ექვსმა ქართველმა ისეთი გუნდი შექმნა, რომ სპეციალური სააგენტოს დაკვეთით უკვე ძალიან მაღალი დონის წვეულებებზე აგზავნიდნენ, სადაც ას კაცს ემსახურებოდნენ. მაგალითად, დედოფლის დაბადების დღეზე, ან ლონდონში ძალიან მოდურ დოღებზე. ეს სააგენტო შემდეგ ისეთ დადებით დახასიათებას წერდა ყველგან ამ ექვს ბიჭზე, რომ სამუშაოს სულ შოულობდნენ. მათგან დღეს უკვე ყველა საქართველოშია.

შიგადაშიგ კურიოზებიც ბევრი იყო. სასტუმროს მენეჯმენტის სწავლის მოსურნე შალვა, ქართველი მეგობრების გადამკიდე, ერთი კვირით ბრიტანულ სოფელშიც კი აღმოჩნდა, სადაც მარწყვი უნდა ეკრიფა. ამ საქმეს ერთი კვირა გაუძლო, დანარჩენი ერთი კვირა კი უკრაინიდან პრაქტიკაზე ჩამოსულ სტუდენტებთან ერთად ბანაკში გაატარა. ეს იყო პირველი სერიოზული განტვირთვა, თუმცა ის, რომ ბრძოლა მიზნისთვის გრძელდებოდა, შალვას არ დავიწყნია და ლონდონში დაბრუნდა.

"სისტლის" სასტუმროების ქსელის ერთ-ერთ სასტუმროში დაბრუნდა და მომარაგების სამსახურში მუშაობდა. მეგობრობდა სასტუმროს ტექნიკურ მენეჯერთან, რომელმაც მასთან გადასვლა შესთავაზა. ახლა მისი საქმე საშხაპეების მოხსნა და ფილტრების გამოცვლა გახდა, ორ თვეში იმდენი რამ ისწავლა, რომ ინჟინრად დანიშნეს. ეს კი სულ სხვა რამ იყო. სასტუმროში ის საჭირო ადამიანი გახდა. კოლეჯში სწავლაც გრძელდებოდა.

იმავე პერიოდში შალვას დაც ჩავიდა ლონდონში, რომლის მგზავრობის ხარჯებიც მან გაისტუმრა. და-ძმა მიზანდასახულობით ერთმანეთს, გვანან. დღეს შალვას და "ბრითიშ ეარვეიზის" აღმოსავლეთ ევროპის ფრენებს კურირებს და "ჰითროუს" აეროპორტშიც ერთადერთი ქართველია.

სასწაული შეგრძნება მქონდა, როცა ვალი დავფარეთ ერთად მე და ჩემმა დამ. მე თავისუფალი ვიყავი! ის ახალი წელი ჩვენც ქუჩაში გავატარეთ, გვიხაროდა..... თუმცა, მუშაობა მაინც არ შემიწყვეტია. შაბათ-კვირას, ფეხბურთები თუ იყო, ბარში ვმუშაობდი, თან პრემიერ ლიგის თამაშს ვუყურებდი უფასოდ, თან ფეხბურთის საყურებლად მოსულ სუფთა ინგლისურად მოსაუბრე ლონდონელებს ვუსმენდი. ცხოვრება თითქოს დალაგდა. მაგრამ ისევ სამ ოთახში ვცხოვრობდით და გადავწყვიტე ამელო სახლი და პირველი ერთი თვის თანხა მე გადამეხადა. მერე ვიპოვეთ რუსები, ბალტიისპირელები, რომლებიც შევასახლე ამ სახლში, ვართმევდი ქირას და ჩვენ თითქმის უფასოდ ცხოვრება გამოგვდიოდა".

შალვას მეგობარი მენეჯერი სულ მხარში ედგა. "რასელ ჰოტელში" გადაიყვანა, რომელიც 4+ ვარსკვლავიანი სასტუმროა ლონდონში, აქვე შევნიშნავ, ისე მოეწყო, რომ შალვას დაბალვარსკვლავიან სასტუმროში არასოდეს უმუშავია. ამავე მენეჯერის დახმარებით, სასტუმრომ იმდენი გააკეთა, რომ შალვას მომსახურების სერვისის სწავლება დაუფინანსა. ახლა მასთან მასწავლებელი მოდიოდა კვირაში ერთხელ, ლექციას უკითხავდა, დავალებასაც აძლევდა. ერთწლიანი პროგრამა წარმატებით დაასრულა.

მაგრამ, მიზანი მაინც მთავარი მენეჯერობა იყო, ამ გზაზე კი შალვა ალავერდაშვილს რესტორნის პიანისტობაც კი მოუწია. დღეს ამაზე ეღიმება, მაგრამ:

"ერთ დღესაც, სიყვარულის დღეს, დაქირავებული პიანისტი არ მოვიდა სასტუმროში, არადა, სასტუმროს სამი თვით ადრე ჰქონდა გამოკრული ეს ანონსი, ეს კი მის პრესტიჟს შელახავდა, ამიტომ, შევთავაზე მენეჯერს, მე დავუკრავ მეთქი და სამი საათი ვუკრავდი ქართულ მელოდიებს, ყვავილების ქვეყანას და რაც ვიცოდი, 200 ფუნტი გადამიხადეს ამ სამ საათში. ამ საღამოს მერე კი დადგა ყველაზე მთავარი მომენტი. სასტუმროს დახმარებით შალვამ ჩააბარა ირლანდიის, დუბლინის უნივერსიტეტში, სასტუმროების მენეჯმენტის სპეციალობით. ნახევარს თავად იხდიდა, ნახევარს სასტუმრო. სამი წლის პროგრამა, რადგანაც უკვე ბევრი რამ იცოდა, წელიწადნახევარში გაიარა და დიპლომიც აიღო - ეს იყო დიპლომი, რომლითაც მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გზა ხსნილი ჰქონდა.

ყველაზე მაღალი თანმდებობა, რომელიც მას ბოლო წელს ეჭირა "უესთბერი მეიფეარ ჰოტელის" ტექნიკური სერვისის მენეჯერობა იყო. სხვა უფლებებით, მაღალი ხელფასით. სასტუმროს არაბმა მეპატრონემ ისიც კი გადაწყვიტა, რომ შალვა სამი სასტუმროს ცენტრალური მენეჯერი გამხდარიყო, თუმცა ამისათვის გამოსაცდელად 4 ვარსკვლავიანი 600 ადგილიანი სასტუმრო ჩააბარა, რომელიც უნდა "ამოექაჩა". ორი თვე იმუშავა კიდევ იქ, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ საქართველოში დაბრუნება სურდა, თავისი ცოდნის აქ გამოყენება. არაბმა მეპატრონემ ხუთწლიანი ვიზა გაუკეთა და სამთვიანი შვებულებაც მისცა...

"მე აღარ მეშინია იმის თქმა, რომ ეს საქმე კარგად ვიცი, უზარმაზარი გამოცდილება მივიღე, დღეს ათმა კაცმა რომ დაილაპარაკოს ინგლისურად, გეტყვი, ვინ საიდანაა. ამას გარდა, ვიცი ჩემი საქმე, ჩემი პროფესია. და კიდევ იცი რა? გარდა იმისა, რომ ბევრს ვმუშაობდი, უზარმაზარი გამძლეობა დამჭირდა, ალბათ ცოტათი იღბლიანიც ვარ, ამბობს შალვა.

მას აქვს სამი თვე, რომ სამშობლოში კარგი სამსახური იშოვოს. და ხუთწლიანი ვიზა, რომ უკან, სხვა ქვეყანაში დაბრუნდეს.

და კიდევ ერთი, ზემოთ ნახსენები სომალელი და განელი, შალვას პირველი უფროსები სასტუმროში, შვიდი წლის მერეც იმავე ადგილზე, იმავე თანამდებობაზე მუშაობენ და წინ არ წასულან. ეს ისე, ცოტა რომ ვიამაყოთ.






## საქართველოში ახალი მობილური ქსელი ამოქმედდება

ფრანგულმა ტელესაკომუნიკაციო კამპანია "ალკატელმა საქართველოს ფიჭურ ოპერატორთან "მობიტელთან" ("ვიმპელკომის" შვილობილი კომპანია) ახალი ფიჭური ქსელის შექმნის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა. ამ პროექტის თანახმად, საქარტველოს მთელს ტერიტორიაზე ახალი მობილური ქსელი ამოქმედდება. "ალკატელი" საშუალებას მისცემს "მობიტელს" თანამედროვე მობილური საკომუნიკაციო საშუალებები შესთავაზოს მომხმარებელს. "ვიმპელკომის" უროსი ტექნიკური დირექტორის, სერგეი ავდეევის განცხადებით, კომპანია ეცდება ქართველი მომხმარებლისთვის ქსელი მაქსიმალურად მოკლე ხანში აამოქმედოს. "მობიტელი" საქარტველოს ტერიტორიაზე მოქმედებს, მიმდინარე წლის ივლისში მან "მობიტელის" აქციათა 51% შეისყიდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საკვები პროდუქტების დეფიციტი ალტერნატიული გზით შეივსება

სოფლის მეურნეობის მინისტრის მიხო სვიმონიშვილის განმარტებით, რუსეთიდან საკვები პროდუქტების იმპორტის შეწყვეტის შემთხვევაში, სამინისტრო ყველა ღონეს იხმარს იმისათვის რომ არსებული ვაკუუმი მალევე შეავსოს. "შესაძლოა, რამოდენიმე დღე სურსათისა და საკვები პროდუქტების დეფიციტი გაჩნდეს, თუმცა, ეს დროებითია, რადგანაც ის ფირმები, რომლებიც რუსეთიდან სურსათ- სანოვაგის იმპორტს ეწეოდნენ, სხვა ალტერნატიული გზების ძიებით არიან დაკავებულნი. რამოდენიმე ვარიანიტი უკვე არსებობს და, შესაძლებელია, იგივე პროდუქცია სხვა ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან შემოვიტანოთ", - განაცახადა სვიმონიშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ენერგეტიკის სამინისტრო პირობას დებს

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ალეკო ხეთაგურის განმარტებით, ზამთარში მოსახლეობას 24 საათიანი გაზისა და ელექტროენერგიის მიწოდება ექნება. "სამინისტრო აქტიურად მუშაობს იმაზე, რომ ზამთარში ენერგოდეფიციტი არ წარმოიქმნას. თუკი რუსეთიდან რაიმე გართულება იქნება, საქართველო მზადაა ელექტროენერგია და გაზიც სხვა ქვეყნებისაგან მიიღოს. შესაბამისი მოლაპარაკებები უკვე არსებობს და ხელშეკრულებებიც გაფორმებულია", - აცხადებს ხეთაგური. **ჯი-ეიჩ-ენი**

## დამატებული ღირებულების გადასახადი 1 533.2 მლნ ლარით განისაზღვრა

2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წინასწარი მონაცემებით, დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი 1 533.2 მლნ ლარით განისაზღვრა. ეს მაჩვენებელი წინა წლის საპროგნოზო მაჩვენებელს 16.8 პროცენტით აღემატება. ბიუჯეტის პროექტით იზრდება, ასევე, აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი. იგი 368.9 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა, რაც წინა წლის საპროგნოზო მაჩვენებელს 9.0 პროცენტით აღემატება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## არასაგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 22.0 მლნ ლარით განისაზღვრა

2007 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 22.0 მლნ ლარით განისაზღვრა. გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი კი- 240.3 მლნ ლარით. ბიუჯეტის კაპიტალური შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 100 მლნ ლარს შეადგენს. ხოლო საბაჟო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი "საბაჟო ტერიფის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით განისაზღვრება. კერძოდ, ეს მაჩვენებელი 23.8 მლნ ლარით დაიგეგმა, რაც მშპ-ის 0.1 პროცენტს შეადგენს და წინა წლის საპროგნოზო მაჩვენებლის 19.4 პროცენტია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ვარციხეჰესის" ქონებაში 7 მილიონ დოლარს იხდიან

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, "ვარციხეჰესის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება, პირდაპირი მიყიდვის წესით, Stemcor UK Licmited-ს მიეყიდება. როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი განმარტავს, კომპანია მასში 7 მილიონ დოლარს გადაიხდის. **ჯი-ეიჩ-ენი**




## ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი
### აცხადებს კონკურსს ვაკანტურ თანამდებობაზე

**შესავალი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრძანებით განათლების რეფორმის ფარგლებში დაარსდა საჯარო იურიდიული პირი - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი (შემდგომში ცენტრი). ცენტრის ძირითადი ფუნქციებია ეროვნული სასწავლო გეგმების შემუშავება, ხარისხიანი სახელმძღვანელოების შექმნის ხელშეწყობა და ეროვნული, რეგიონული თუ სხვა შეფასებების ჩატარება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი იწყებს ინკლუზიური განათლების დანერგვის პროექტის განხორციელებას თბილისის ათ სკოლაში. პროექტი მიხნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართვას. პროექტის ამოცანებია: ინკლუზიური განათლების დანერგვა და განვითარება სკოლებში, სკოლების ადაპტაცია, ინკლუზიური განათლების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა.

სკოლების ფიზიკური გარემოს ადაპტაცია გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფას სკოლაში. ამ მიზნით თბილისის 10 სკოლაში უნდა ჩატარდეს შეფასება, რომლის შედაგად დადგინდება სკოლის ადაპტაციის საჭიროებები და განისაზღვრება ინკლუზიისათვის საჭირო მოთხოვნები.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი მოელის შესაბამისი კვალიფიკაციის პირების განცხადებებს შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად:

**არქიტექტორი**

**ძირითადი საქმიანობა და მოვალეობები**

- სკოლების შეფასება და საჭიროებების დადგენა;
- სკოლების ადაპტაციისათვის საპროექტო წინადადების შემუშავება;
- ადაპტაციის მიზნით ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა;
- შესრულებული სამუშაოს (რეკონსტრუქციის) საბოლოო შეფასება.

**საჭირო კვალიფიკაცია**

- შესაბამისი უმაღლესი განათლება;
- შეზღუდული შასაძლებლობების მქონე პირთათვის შენობების ადაპტაციის გამოცდილება (სასურველია);

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ გამოაგზავნოთ განაცხადი და თქვენი CV ელექტრონული ფოსტის მისამართზე:

revaz@eppm.org.ge

საკონტაქტო პირი: **რევაზ აფხაზავა**

**განაცხადების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2006 წლის 20 ოქტომბერი.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებს ორეტაპიან ღია ტენდერს ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე. თემა **- კულტურული მემკვიდრეობის ანალიტიკურ-საინფორმაციო სივრცის შექმნა**

*ლოტი 1.*

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტში უძრავ ძეგლებზე არსებული საინფორმაციო ნაკადების მონაცემთა ბაზის შექმნა და ციფრულ ფორმატში გადაყვანა

ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულებისა და ჩაბარების საბოლოო ვადაა:

**2006 წლის 20 დეკემბერი**

შესრულებული სამუშაო (საბოლოო პროდუქცია) დამკვეთს წარედგინება:

სამინისტროს კომპიუტერულ ქსელში დაინსტალირებული მონაცემთა ბაზა;

მონაცემთა ბაზის 3 ასლი;

მონაცემთა ბაზის შემადგენელი ყველა გაფართოების ფაილი - სათანადოდ დასათაურებული DVD დისკის სახით.

ტენდერის შედეგად გამოვლინდება გამარჯვებული, რომელთანაც დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

სამუშაოების ცალკეული ნაწილების შესრულება შესაძლებელია მოხდეს სუბკონტრაქტორთა მიერ. მათი მონაწილეობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს სუბკონტრაქტორთა საკვალიფიკაციო მონაცემები.

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადება, საკვალიფიკაციო მონაცემები და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირებისათვის**

■ ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ;

■ ცნობა სასამართლოდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება;

**დამატებითი მოთხოვნები და ინფორმაცია**

**როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისათვის:**

უნდა გააჩნდეს:

■ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება (ინფორმაცია ყველა მონაწილის, მათ შორის ძირითად თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ);

■ გამოცდილება მსგავსი სამუშაოს შესრულებაზე უკანასკნელი 3 წლის მანძილზე;

■ პრეტენდენტის ტექნიკური აღჭურვილობა.

**საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების მითითების გარეშე, რომელშიც აღნიშნული იქნება:**

■ მომსახურების ზოგადი აღწერილობა,

■ სამუშაოთა შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი (შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე საშუალედო ანგარიშებისთვის შესრულებული სამუშაოს წარმოდგენით);

■ ინფორმაცია პროექტის განხორციელების მიმდინარეობაზე ხარისხის კონტროლის შიდა საწარმოო სისტემის შესახებ;

■ მეთოდიკა სამუშაოების ჩატარების უზრუნველსაყოფად (მოთხოვნილი პროდუქციის მიხედვით);

ასევე, სხვა ინფორმაცია, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის წარმომდგენი.

სატენდერო მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნების დღიდან საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე, შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220 101 107 ანგარიშის ნომერზე N200122900. სახაზინო კოდი 30 200 3000.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და პირველადი სატენდერო წინადადებების მიღება იწარმოებს 2006 წლის 1 ნოემბრიდან 3 ნოემბრის 17 საათამდე სატენდერო მოსაკრებლის - 200 ლარის - გადახდის შემდეგ.

განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და პირველადი სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი ერთად, ერთ დახურულ კონვერტში სამ ეგზემპლარად (ერთი დედანის და ორი - ქსეროასლის სახით) 2006 წლის 1 ნოემბრიდან 3 ნოემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, სანაპიროს ქ. N4, IV სართული, ოთახი 405.

დაგვიანებით შემოსული განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და პირველადი სატენდერო წინადადებები არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო პერიოდში მოხდება წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. პირველადი სატენდერო წინადადებების განხილვა და სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო დაზუსტება.

დაზუსტებული სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემა შერჩეულ პრეტენდენტებს 2006 წლის 8 ნოემბრიდან 9 ნოემბრამდე.

სატენდერო წინადადების წარდგენა უნდა მოხდეს 2006 წლის 13 ნოემბრიდან 14 ნოემბრის 17 საათამდე ერთ დახურულ კონვერტში სამ ეგზემპლარად (ერთი დედანის და ორი ქსეროასლის სახით). სატენდერო წინადადების ვადა განსაზღვრული უნდა იყოს მინიმუმ 2006 წლის 20 დეკემბრამდე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე, გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: **ლელა დაღელაშვილი, თენგიზ კოდუა ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.**

**ტელეფონები: 995 006. 999 196, 932 188**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს გენერალური პროკურატურა აცხადებს ტენდერს ციფრული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

შესყიდვის ობიექტია:

ლოტი I

| № | დასახელება | განზ | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | შენობის და პერიმეტრის კამერების ვიდეოსერვერი: p4, 3.0 GHz, pouer supply 450 wt, RAM 1 Gb, HDD 0.9 Tb. SVGA 128 Mb. DVD-RW. MONITOR 19 LCD. | ცალი | 3 | ქ. თბილის ვ. გორგასლი ქუჩა №24 |
| 2 | 220 ვოლტის ძაბვის სტაბილიზატორი. სიმძლავრე 5 კილოვატი. | ცალი | 1 | |
| 3 | უწყვეტი კვების წყარო (UPS 3000 wt ). | ცალი | 1 | |
| 4 | ვიდეო სიგნალის სადენი (კოაქსიალური კაბელი). | მეტრი | 5400 | |
| 5 | 220 ვოლტის მაგისტრალური სადენი (ძალოვანი კაბელი). | მეტრი | 440 | |
| 6 | ვიდეო კამერების კვების სადენი 12v-24v (ძალოვანი კაბელი). | მეტრი | 2700 | |
| 7 | ციფრული ვიდეო ჩამწერი, რომელიც უნდა მუშაობდეს ტრიპლესში. 4 არხიანი პლატა, გარჩევადობა 720X576 24 კადრის ჩაწერა, ჩვენება, ყურება, ქსელური ტრანსლიაცია, ჩანაწერის შენახვის ვადა მინიმუმ ერთი თვე. | ცალი | 12 | |
| 8 | ვიდეო სამეთვალყურეო კამერა ფერადი დღე ღამის, ინფრაწითელი განათებით შიდა გამოყენების 420 სატელევიზიო ხაზით. | ცალი | 24 | |
| 9 | ვიდეო სამეთვალყურეო კამერა ფერადი, დღე-ღამის გარე გამოყენების 480 სატელევიზიო ხაზით. | ცალი | 16 | |
| 10 | გარე ვიდეო კამერების თერმობუდე და სამაგრი ბერკეტები. | ცალი | 16 | |
| 11 | მბრუნავი ვიდეო კამერა გარე გამოყენების მინიმუმ 480 სატელევიზიო ხაზი. 220 ზუმი (მათ შორის 18 X ოპტიკური). | ცალი | 1 | |
| 12 | მბრუნავი კამერის კონტროლერი, სამართავი პულტი. | ცალი | 1 | |
| 13 | მონიტორი ფერადი 21 დიუმი. | ცალი | 1 | |
| 14 | გარე კამერის ლინზა ავტომატიკური დიაფრაგმით. | ცალი | 16 | |
| 15 | 12 ვოლტიანი იმპულსური კვების წყარო. | ცალი | 10 | |
| 16 | ვიდეოსიგნალის კორექტორი. | ცალი | 9 | |
| 17 | პლასტმასის სამონტაჟო კოლოფი. | ცალი | 20 | |
| 18 | 220 ვოლტიანი დენის დამცავი ავტომატი. | ცალი | 5 | |
| 19 | საკაბელო არხი. | მეტრი | 160 | |
| 20 | კოაქსიალური კაბელის შემაერთებელი კონექტორი. | ცალი | 144 | |

ლოტი II

| № | დასახელება | განზომილება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | სატრიალებელი მექანიზმის მართვის პულტი | ცალი | 1 | ქ. ახალ ციხე. რუსთაველის ქუჩა № 91 |
| 2 | სამაგრი ბერკეტი | ცალი | 1 | |
| 3 | ბრუნავი ვიდეო სამეთვალყურეო კამერა | ცალი | 1 | |
| 4 | ციფრული ვიდეო ჩამწერი, 4 არხიანი პლატა პროგრამული-უზრუნველყოფით | ცალი | 1 | |
| 5 | უკაბელო მიკროფონი | ცალი | 1 | |
| 6 | ყურსასმენი | ცალი | 1 | |
| 7 | ვიდეო-კაბელი კოაქსიალური | მეტრი | 50 | |
| 8 | კაბელი UTP | მეტრი | 50 | |
| 9 | დენის კაბელი 2X1,5 | ცალი | 50 | |
| 10 | გამანაწილებელი კოლოფი | ცალი | 4 | |
| 11 | შემაერთებელი კონექტორი | ცალი | 4 | |
| 12 | განათება და ჩამრთველი 1კვ. | ცალი | 1 | |
| 13 | კვების ბლოკი 24 ვოლტიანი | ცალი | 1 | |

**ზემო აღნიშნული საქონლის მიწოდებისას უნდა განხორციელდეს მისი მონტაჟი (მონტაჟის ადგილების დეტალური აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში).**

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, კოდი: 302003000, ანგარიშის N200122900, მიუთითონ საქართველოს გენერალური პროკურატურის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი 2006 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, ქ. თბილისი, გორგასლის N24, ოთახი 214, რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

1. მიწოდების სასურველი ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 კალენდარული თვის განმავლობაში.
2. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ერთი ორიგინალის სახით 1 ნოემბერს დღის 10:00 საათიდან 16:00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს გენერალური პროკურატურა, გორგასლის ქ. N24, ოთახი 214.
3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.3 **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის**

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის (ტენდერში მონაწილე) ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ ნასამართლევი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

5. სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს მათი საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

6. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ: ნოდარი ფოცხვერაშვილი ტელ: 8-93-22-94-22 40-50-56,

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება

***ჭიათურის მანგანუმის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ***

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის კონკრეტული ობიექტები

*ჭიათურის მანგანუმის საბადო*

| N | X | Y |
|---|---|---|
| 1 | 8368232.006 | 4689144.68 |
| 2 | 8361483.916 | 4690559.87 |
| 3 | 8358793.206 | 4691091.07 |
| 4 | 8356933.787 | 4690326.79 |
| 5 | 8356854.098 | 4689047.73 |
| 6 | 8354436.915 | 4688238 |
| 7 | 8353680.231 | 4687607.02 |
| 8 | 8353498.637 | 4686631.73 |
| 9 | 8354237.712 | 4685063.78 |
| 10 | 8354564.857 | 4680744.95 |
| 11 | 8361692.381 | 4676665.15 |
| 12 | 8365537.743 | 4676844.44 |
| 13 | 8366588.776 | 4680905.45 |
| 14 | 8368162.332 | 4682883.87 |
| 15 | 8370124.143 | 4685953.58 |

სულ 16 430 ჰა

| | |
|---|---|
| განცხადებების მიღებისა და აუქციონის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი | აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 12 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრის 18 საათამდე. განცხადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კანცელარიაში. მისამართი გულუას ქ .№6<br>აუქციონი ჩატარდება ა/წ 11 ნოემბერს 11 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. გულუას ქ .№6 |
| აუქციონზე გამოსატანი ლიცენზიის საწყისი ფასი და აუქციონის გამართვის პირობები | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის საწყისი ფასი შეადგენს 5 500 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში<br><br>ხოლო<br>სს ,,ჭიათურმანგანუმის" აქტივების (შემდგომში – აქტივები) საწყისი ფასი - 14 015 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში.<br><br>აუქციონზე ვაჭრობისას თანხის ყოველი გაზრდა დამატებით იწვევს აქტივების საწყისი ფასის გაზრდას 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში. |
| ,,ბიჯის" სიდიდე | აუქციონზე ,,ბიჯის" სიდიდე შეადგენს<br>საწყისი ფასის 10 პროცენტს – 550 000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში |
| ,,ბე"-ს ოდენობა და ,,ბე"-ს გადახდის ანგარიში | ,,ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20%-ს 1 100 000 დოლარის ექვივალენტს ლარებში.<br><br>,,ბე"-ს გადახდის ანგარიში: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის №200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000 |
| თანხის გადახდის პირობები და ლიცენზიის გაცემის ვადა | აუქციონში გამარჯვებულის მიერ აუქციონზე დაფიქირებული საბოლოოდ თანხა და აქტივების ღირებულება გადახდილ უნდა იქნეს აუქციონის შედეგების შესახებ ოქმის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, რომლის განმავლობაში უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება აქტივების ყიდვა-გაყიდვის შესახებ.<br><br>სამინისტრო ლიცენზიას გასცემს გამარჯვებულის მიერ თანხის გადახდის მოთხოვნის დაკმაყოფილებიდან 5 დღის განმავლობაში. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი და მისი ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი | სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 1 400 ლარს.<br><br>სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი), ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი:საქართველოს ეროვული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი 300033022 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | 1) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი; ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>–საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის –სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>2) სალიცენზიო მოსაკრებლის და საწყისი ფასიდან ,,ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. |
| მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | აუქციონში გამარჯვებულმა საქმიანობის პირველ წელს უნდა უზრუნველყოს მინიმუმ 350 000 ტონა მადნის კონცენტრატის წარმოება, ხოლო მომდევნო წლებში - მინიმუმ 400 000 ტონის წარმოება. წელიწადში მინიმუ 200 000 ტონა მანგანუმის კონცენტრატი უნდა გადამუშავდეს საქართველოს ტერიტორიაზე. |
| სალიცენზიო პირობები | აუქციონში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღება |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 40 წელი |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს 2006 წლისათვის გენერატორის შესყიდვა-მონტაჟზე. გენერატორი ტექნიკურად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: სამ ფაზიანი, 50 ჰც, 400/230ვ., 275 KVA (220kw).

დაფინანსების წყარო - საჯარო სამართლის იურიდიუილ პირის სახსრები.

2. დაინტერესებულმა პირებმა ტენდერში მონაწილეობისათვის უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ჩვენი რეკვიზიტებია: ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 211350928, ანგარიშის N345919, ბანკის კოდი 220101757. სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე: ქ, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გიაცემა ა.წ. 11 ოქტომრიდან 2 ნოემბრამდე.

3. ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მოწოდება-მონტაჟი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად შემდეგ მისამართზე: ქ, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

4, ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მანაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე ა.წ. 2 ნომებრიდან 3 ნოემბრის 17:00 საათამდე სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ, თბილისი- დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

6. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან- რომ არ ხორციელდება მისი რეოგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ბ) ცნობა სასამართლოდან- რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან- რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

დ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ ი'ყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

8. პრეტენდენტი ვერ გაივლის შერჩევას, თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

9. პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 3 ნოემბრის 17:00 საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **2006 წლის 3 ნომბრის 17:00 საათზე.**

10. დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

საკონტაქტო პირი გურამ გოცაძე ტ: **51-75-06.**

**სატენდერო კომისია**

# ქ. თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისია აცხადებს კონკურს

**ქ. თბილისში, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის საკვანძო ადგილებში (15 ადგილი) რეტერატების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების (60,0 კვ.მ მიწის ნაკვეთი) გრძელვადიან იჯარაში გადაცემის მიზნით.**

**საკონკურსო პირობები**

**I. პრეამბულა.**

ქ. თბილისის მერიამ გადაწყვიტა, ქალაქის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის საკვანძო ადგილების სანიტარული კუთხით მოწესრიგებისათვის მოაწყოს რეტერატები და ამ მიზნით კონკურსის საშუალებით გასცეს მიწის ნაკვეთები (ჯამურად 60,0 კვ.მ) გრძელვადიან იჯარაში.

**II. საპროექტო ტერიტორიის ზოგადი დახასიათება**

საპროექტო ტერიტორიები რეტერატების მოსაწყობად მდებარეობს ქ. თბილისში, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის საკვანძო ადგილებში. ამ მიზნით ხალხმრავალ ტერიტორიებზე შერჩეულია 15 ადგილი, თითოეული 4.0 კვ.მ ფართით

ტერიტორიები შერჩეულია მისადგომობისა და ხალხის ნაკადების გათვალისწინებით. ამჟამად კეთილმოუწყობელია და თავისუფალია განაშენიანებისაგან. გასასხვისებელი ტერიტორიის ფართობი ჯამურად შეადგენს 60,0 კვ.მ-ს.

რეტერატების განსათავსებლად კონკრეტულად შერჩეულია შემდეგი ტერიტორიები:

- ■ დეზერტირების Bბაზრის მიმდებარედ, საცხოვრებელი სახლის კუთხე წინამძღვრიშვილისა და აბასთუმნის ქუჩის გადაკვეთაზე:
- ■ მე-9-ე სავადმყოფოს შესასვლელთან, გაჩერების მიმდებარედ;
- ■ ვაჟა-ფშაველაზე. პროფკავშირების დარბაზის წინ, მეტროს სადგურ დელისის ჩასასვლელის მიმდებარედ;
- ■ ავტოსადგურ "ოკრიბას" მიმდებარედ
- ■ მარჯანიშვილის მოედანზე, მეტროს მიმდებარედ;
- ■ თევდორე მღვდელისა და აბასთუმნის ქუჩის გადაკვეთაზე, მეტროს ჩასასვლელის მიმდებარედ;
- ■ მეტროს სადგურ ვარკეთილის მიმდებარედ
- ■ დოლიძის ქუჩის დასაწყისში;
- ■ მეტროს სადგურ ისნის მიმდებარედ
- ■ დინამოს სტადიონთან;
- ■ ქეთევან წამებულის პრ. და მეველეს ქუჩის კუთხეში, რკინიგზის სადგურის მოპირდაპირედ;
- ■ ცოტნე დადიანის ქუჩაზე, გადასასვლელ ხიდთან, მეტროს ჩასასვლელის მიმდებარედ;
- ■ კოსტავას ქუჩაზე, რუსთაველის მეტროს სადგურის მიმდებარედ;
- ■ გლდანის სავაჭრო ცენტრ "მარიამის" მიმდებარედ
- ■ მეტროს სადგურ პოლიტექნიკურის მიმდებარედ

**III საკონკურსო ტერიტორიის ფასი**

საკონკურსო ტერიტორიის წლიური საიჯარო ქირის საწყისი ფასი წარმოადგენს 9. 000 ლარს.

**IV. ძირითადი მიზნები და ამოცანები**

ქალაქის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის საკვანძო ადგილები ამჟამად სანიტარული კუთხით მოუწესრიგებელია, ქალაქისათვის გეგმარებითად მნიშვნელოვან ხალხმრავალ ტერიტორიებზე რეტერატები უმეტეს წილად გაუთვალისწინებელია. აღნიშნული ტერიტორიები შეიძენენ შესამჩნევ ქალაქგეგმარებით ღირებულებას თუკი ის დატვირთული იქნება გეგმარებითად სწორედ გააზრებული სანიტარული ფუნქციით და ამ ფუნქციის მასშტაბის შესაბამისი ობიექტების განთავსებით.

ტერიტორიებზე რეტერატები უნდა დაპროექტდეს და განთავსდეს შესაბამისი ნორმატიული და ერთიანი სტილური მოთხოვნების დაცვით.

P

პრეტენდენტმა საინვესტიციო პროგრამის საშუალებით უნდა:

- დაასაბუთოს პროგრამის ეტაპობრივი განხორციელების მატერიალური უზრუნველყოფის შესაძლებლობები;
- წარმოადგინოს თითოეული ობიექტის გეგმარებითი და დიზაინერული განვითარების საპროექტო წინადადება და თუ წინადადება ვერ მიიღებს სათანადო შეფასებას, წარმოადგინოს შესაბამისი პროექტის მისაღებად კონკურსის უზრუნველყოფის შესაძლებლობები.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და საკონკურსო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, გაზეთში გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში; 2006 წლის 12 ოქტომბრის 11-სთ-დან 2006 წლის 12 ნოემბრის 17-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ქალაქ თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისიაში.

კონკურსში მონაწილეობისათსათვის პრეტენდენტმა საკუნკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:

- ■ განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- ■ განცხადება დალუქული პაკეტის სახით;
- ■ ფიზიკური ან იურიდიული პირების რეკვიზიტები;

შემდეგი ცნობები:

***იურიდიული პირისათვის:***

- ■ ცნობა საგადასახადო და სასამართლო ორგანოებიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
- ■ ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არსებობს დადებული ყადაღა;
- ■ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ■ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდება და ოქმი) ასლი;
- ■ "ბეს" გადახდის დამადასტურებელი საბუთი, საწყისი ფასის 5% - ის ოდენობით ლარებში;
- ■ საწყისი ფასის 25 %-ის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში იქნება 1 წლის ვადით, ან ამავე თანხის ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის ვალდებულება.

**ფიზიკური პირისათვის:**

- **■ პირადობის მოწმობის ასლი;**
- ■ ცნობა სასამართლო ორგანოებიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება ფიზიკური პირის გაკოტრების საქმე;
- ■ ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ■ "ბეს" გადახდის დამადასტურებელი საბუთი, საწყისი ფასის 5%-ის ოდენობით ლარებში;
- ■ საწყისი ფასის 25 %-ის საბანკო გარანტია, ან ამავე თანხის ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის ვალდებულება.

**"ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს:**
**მიზნობრივი "ბე"-ს ანგარიში N145532300**
**ს/კ 203827074**
**ს/ს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი**
**კოდი 220101502**

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა იმ მოთხოვნილ ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

საკონკურსო კომისია ერთი კვირის ვადაში აცნობებს კონკურსში მონაწილე ყველა პირს კონკურსის შედეგების შესახებ.

კონკურსში გამარჯვებულთან გაფორმდება სათანადო ხელშეკრულება, სადაც გათვალისწინებული იქნება გამარჯვებულის საკონკურსო წინადადება და მხარეთა შორის ურთიერთობათა რეგულირების სხვა პირობები.

ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისა და მისი საჯარო რეგისტრაციისათვის საჭირო ხარჯებს გაიღებს კონკურსში გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ:

**ქ.თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის აპარატი, საკონტაქტო ტელეფონი 93.45.73; 99.52.35; მისამართი: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი N2;**

**ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური, ტელ: 96.91.26 (111), მისამართი: დ.აღმაშენებლის გამზ: 89/24.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს განმეორებით ტენდერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატის, აგრეთვე, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვთა დახმარების ალტერნატიული ფორმების პროგრამის "მატერიალურ -ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების" ქვეპროგრამის ასიგნების ფარგლებში ელექტროსაქონელის შეძენის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

**შესყიდვის ობიექტი** - ელექტროსაქონელის შესყიდვა.

**დაფინანსების წყარო** - ცენტრალური ბიუჯეტი, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვთა დახმარების ალტერნატიული ფორმების პროგრამის "მატერიალურ -ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების" ქვეპროგრამა.

| ლოტი N | საქონლის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| I | ტელევიზორი | 10 |
| II | ტელევიზორი თხევადკრისტალური | 1 |
| III | სარეცხი მანქანა | 13 |
| IV | მაცივარი | 20 |
| V | მუსიკალური ცენტრი | 1 |
| VI | გაზქურა | 8 |
| VII | ფოტოაპარატი | 2 |

**შენიშვნა:**

ელექტროსაქონლის ტექნიკური აღწერილობის შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში (საბაზისო მონაცემების ნუსხაში).

**- მიწოდების ადგილი** - ქ. თბილისი დ. უზნაძის ქ. N52

**- მიწოდების ვადები**: ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი კვირის განმავლობაში.

**აუცილებელი პირობა**:

- ■ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. Gგარანტიის პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში;
- ■ სატენდერო წინადადება ძალაში უნდა იყოს მინიმუმ 30 დღის განმავლობაში.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი, ორი ასლი), **2006 წლის 1 ნოემბერს 1600 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. .N52 ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.**

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 1 ნოემბერს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების დამთავრებისთანავე, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 II სართულზე ოთახი N211-ში.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სატენდერო წინადადებას და სხვა დოკუმენტაციას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის**:

ა) ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა **(ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);**

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (ცნობა სასამართლოდან);

დ) ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელების სახელსა და გვარს;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

გ) ინფორმაცია შესრულებულ სამუშაოთა შესახებ.

- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია, თუ იგი, ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

- დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

**მიმღები** - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (დიდუბე-ჩუღურეთი)
**საიდენტიფიკაციო ნომერი** - 202051224
**მომსახურე ბანკი** - საქართველოს ეროვნული ბანკი
**ბანკის კოდი** - 220101107
საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 302003000
**ა/ა** N 200122900

**საგადასახადო დავალების დამატებით ინფორმაციაში უნდა იყოს მითითებული:** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ორგანიზაციული კოდი 2211, ტენდერის დასახელება.

**-** ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

- სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შემდეგ მისამართზე:

დ. ბარაბაძე, მ. ფალიაშვილი, ნ. ბოჭორიშვილი. ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.

# განცხადება
## შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს ტენდერს ინვენტარის შესყიდვის მიზნით

**დაფინანსების წყარო:** საწარმოს სახსრები.
**შესყიდვის ობიექტი.**

| № | საქონლის დასახელება | რაოდენობა | საქონლის დახასიათება |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | ფარდა ფანჯრისთვის (კარნიზით) | 11 კომპლ | ტილოს ფაქტურის ქსოვილი (49,5 მ), ფანჯრის ზომა 1,08X2,98, კარნიზის ზომა 1,4 მ |
| 2 | ფარდა კარისთვის (2ც კარნიზით) | 1 კომპლ | ტილოს ფაქტურის ქსოვილი (25 მ), კარის ზომა 7,20X2,98, 1 ც კარნიზის ზომა 3,8 მ |
| 3 | ფარდა კარისთვის (კარნიზით) | 2 კომპლ | ტილოს ფაქტურის ქსოვილი (5,5 მ), კარის ზომა 2,50X2,98, კარნიზის ზომა 3,8 მ |
| 4 | ორადგილიანი საწოლის გადასაფარებელი | 3 კომპლ | |
| 5 | ერთადგილიანი საწოლის გადასაფარებლები | 20 კომპლ | |
| 6 | ვერტიკალური ჟალუზები | 204 კვ.მ | |

შესასყიდი საქონელი მოწოდებული უნდა იქნეს ტენდერში გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადებიდან 30 დღის განმავლობაში.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

სამუშაოთა ღირებულება უნდა შეიცავდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

სატენდერო დოკუმენტაცია **ქართულ ენაზე** პრეტენდენტებს გადაეცემათ მოთხოვნისთანავე, მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის (200 ლარი) გადახდის შემდგომ, მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. N12. შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა", II სართული, სატენდერო კომისიის აპარატი, 2 ნოემბრის 18 საათამდე.

**სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტებია:**

ს.ს. ბანკი "რესპუბლიკის" ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი 220101757, ა/ა N3408022974, საიდენტიფიკაციო კოდი 205037574. ბანკის შემოსავლის ორდერში აუცილებლად უნდა მიეთითოს შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის" სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი).

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთად ერთ დალუქულ პაკეტში ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. N12, შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" II სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები მიიღება 2 ნოემბრიდან 7 ნოემბრის 16.00 საათამდე:

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პრეტენდენტის შესახებ, ანგარიშსწორების ანგარიშს, საკონტაქტო ტელეფონებს.

პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 7 ნოემბერს 16.30 საათზე. პრეტენდენტებს უფლება აქვთ დაესწრონ გახსნის პროცესს.

**საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის**:

1. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
4. სატენდერო დოკუმენტაციის წარმომდგენი უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი.

**ფიზიკური პირებისათვის**:

1. ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
3. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა. (ცნობა საგადასახადოდან რეგისტრაციის შესახებ);
4. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა;

მონაწილეობის ყველა მსურველმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ბაზარზე მუშაობის გამოცდილების შესახებ.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დალუქული კონვერტით. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**დამატებითი ინფორმაცია**

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებით.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, მისამართზე ქ.Dთბილისი, ჭანტურიას ქ. N12, შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" II სართული.

საკონტაქტო პირი გიორგი შარკოვი. ტელ: 899 35-55-35

***სატენდერო კომისია***

## კავშირგაბმულობისათვის საჭირო მასალების შესყიდვის შესახებ სატენდერო პროცედურების ვადის გაგრძელება

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006წ 20 სექტემბერს გამოქვეყნებული იქნა სატენდერო განცხადება კავშირგაბმულობისათვის საჭირო მასალების შესყიდვის შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ნაცვლად 12 ოქტომბრისა უნდა წარმოადგინონ 23 ოქტომბერს

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოქვეყნებული კავშირგაბმულობისათვის საჭირო მასალების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.

**სატენდერო კომისია**

## შპს "ბათუმის ღვინის ქარხნის" გაკოტრების მმართველის ბრძანება N 25-09

**ქ. ბათუმი 25 სექტემბერი 2006 წელი**

შპს "ბათუმის ღვინის ქარხნის" ბალანსზე რიცხული ქონების აუქციონის წესით პრივატიზებისათვის ვბრძანებ:

1. გასაყიდად გამოტანილ იქნეს ობიექტები ლოტით №1, №2, №3, №4, №5, №6.
2. სააუქციონო კომისიამ აღნიშნული ქონების რეალიზაცია განახორციელოს არსებული დებულებების შესაბამისად.
3. აუქციონი გაიმართოს 2006 წლის 26 ოქტომბერს დღის 12 საათზე. შპს "ბათუმის ღვინის ქარხნის" ადმინისტრაციულ შენობაში. მისამართი: ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №117.

| № | ობიექტის დასახელება | ლოტი | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) | ბე ლარი | ბიჯი ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7420 კვ მ მიწის ფართი და მასზე დამაგრებული 1554,8 კმ შენობა-ნაგებობები. აუდიტორული დასკვნა № 02-113. | №1 | 290000 | 35000 | 10000 |
| 2 | 7000 კვ მ მიწის ფართი და მასზე დამაგრებული 2637 კვ მ შენობა-ნაგებობა. აუდიტორული დასკვნა № 02-120 | №2 | 350000 | 35000 | 10000 |
| 3 | 3000 კვ მ მიწის ფართი 14882 კვ მ შენობა-ნაგებობა. აუდიტორული დასკვნა № 02-121 | №3 | 135000 | 15000 | 5000 |
| 4 | გენერატორი. გამოშვებული 1989 წ. | №4 | 36400 (30%) | 500 ფასდაკლება | 100 |
| 5 | ავტომანქანა "კამაზი" № 14-26 | №5 | 5250 (30%) | 500 ფასდაკლება | 500 |
| 6 | ცისტერნა 16-ტონიანი 6 ცალი | №6 | 3900 | 300 | 100 |

აუქციონში მონაწილეთა საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2006 წლის 25 ოქტომბერი.

შპს "ბათუმის ღვინის ქარხნის" საბანკო რეკვიზიტებია: "საქართველოს სახალხო ბანკის" ბათუმის ფილიალი, ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №39. ინდექსი 384500 კოდი 220101443. ს/კ 203828324. ტელ.: 7 15 91.

ანგარიშის № 34060022 ლარებში და № 13640797 აშშ დოლარი.

შპს "ბათუმის ღვინის ქარხნის" გაკოტრების მმართველი

## შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს ვაგონის მარაგნაწილების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს ექვს ლოტად ვაგონის მარაგნაწილების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.
2. შესყიდვის ობიექტი :

*ლოტი №1*

| ლოტი | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ერთე-ული | რაოდე-ნობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ფლუსი | საშემდუღებლო ლხობილი гост 9087-81 ан-348ам, осц-45м | კგ | 2000 |
| 2 | ფხვნილი | რკინის гост 9849-86 | კგ | 400 |
| | ფხვნილი | შავი მაგნიტური ту 6-36-05800165-1008-93 | კგ | 400 |
| 3 | კონტაქტორი | 15ა 3კვ 110ვ ემს-32ა (სიმძლავრის) | ცალი | 50 |
| | კონტაქტორი | 15ა 3კვ 54ვ ემს-32ა (სიმძლავრის) | ცალი | 50 |
| | კონტაქტორი | 160ამპ (გერმანული ამწისთვის) | ცალი | 50 |
| | კონტაქტორი | 16ამპ (გერმანული ამწისთვის) | ცალი | 50 |
| | იზოლენტა | 3 მეტრიანი 1.5სმ | რულ | 500 |
| | შტეფსელი | 220 ვოლტიანი | ცალი | 200 |
| | ამომრთველი | 220 ვოლტიანი | ცალი | 200 |
| | ნათურა | ვარვარების 100 ვატი | ცალი | 700 |
| | ნათურა | ვარვარების 300 ვატი | ცალი | 600 |
| | ნათურა | ვარვარების 500 ვატი | ცალი | 700 |
| | ნათურა | ლუმინისცენციური ЛБ-36(40) | ცალი | 1000 |
| 4 | წებო | რეზინის სვ-5 | კგ | 20 |
| | წებო | 88-ნპ ტუ 2385-003-31854575-2000 | კგ | 4 |
| | წებო | ანაერობული ჰერმეტიკა «სტოპორ-6» | კგ | 10 |
| 5 | რეზერვუარი | მეტალის სამარაგო რზ-78ლ რ7.78.00.00.00 | ცალი | 190 |
| | რეზერვუარი | მეტალის სამარაგო 135ლ | ცალი | 6 |
| 6 | ზამბარა | ჰაერგამანაწილებლის 295.209 | ცალი | 200 |
| | ლილვაკი | ჰაერგამანაწილებლის 295.207 | ცალი | 100 |
| | მილყელი | ჰაერგამანაწილებლის აწყობილი 295.012 | ცალი | 30 |
| | შუასადები | ჰაერგამანაწილებლის 295.21 | ცალი | 500 |
| | სახშობი | ჰაერგამანაწილებლის 295.208 | ცალი | 100 |
| | საცობი | ჰაერგამანაწილებლის 295-105 | ცალი | 20 |
| | წკირი | ჰაერგამანაწილებლის 295-213 | ცალი | 400 |
| | კამერა | ჰაერგამანაწილებლის მუშა | ცალი | 12 |

3. მოწოდების პირობა და ადგილი - **DDP**, ქ. თბილისი;
4. მოწოდების სასურველი ვადა - **IV კვ**;
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **3 ნოემბერს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა 1 თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირისთვის :**

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა 1 თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

***ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :***

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში **(დღგ) გარეშე- ლარში;**

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56-33-51.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

## შპს „საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს ბათუმში კაპიტალური შესაკეთებელი სამუშაოების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757), აცხადებს ტენდერს ერთ ლოტად კაპიტალური შესაკეთებელი სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი).

***ლოტი 1 ბათუმის დეპოს ამწყობი საამქროს ხიდური ამწის სავალი რკინაბეტონის კოჭებისა და მათი საყრდენი კოლონების კაპიტალური შეკეთება;***

*სამუშაოს შესრულების სავარაუდო პერიოდია IV კვარტალი;*

1) დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შპს „საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ, რეკვიზიტებზე ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757. სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის წარმოდგენის შემდეგ პრეტენდენტს სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად გადაეცემა ობიექტის დეფექტური აქტი განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობის აღწერით, ასევე საბაზისო მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ.

2) დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (პრეტენდენტებთან ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის **3 ნოემბერს** 9.00 საათადან 18.00 საათამდე , ორ ეგზემპლარად, შემდეგ მისამართზე: შპს „საქართველოს რკინიგზა", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს „საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

3) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

4.1.1 იურიდიული პირისათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

4.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

დ)სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

4.1.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზის ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4.1.4 პრეტენდენტების მიერ ფასები წარმოდგენილი უნდა იქნეს ეროვნულ ვალუტაში დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56-33-51;

**სატენდერო კომისია.**

1. უცხო ქვეყნების წარმოამადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესითა და ლეგალიზებული სახით.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი, საიდენტიფიკაციო კოდი N202959780, მისამართი: 0102; თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა ოპტიმიზაციის 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს ონკოლოგიური ნაციონალური ცენტრის რეაბილიტაციის პროექტის შესყიდვაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღე.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები დახურული კონვერტით ორ ეგზემპლარად(ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ღირებულების გარეშე ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 2 ნოემბერს 10:00-დან 11:00სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ბანკის რეკვიზიტები);

ბ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

დ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

3.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შესრულებულ ან მოცემულ მომენტში მიმდინარე ანალოგიურ მომსახურებაზე(ქვემოთ მოყვანილი ფორმით) დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით:

| № | მომსახურების დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულების ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| 2. | | | | |
| . | | | | |

ბ) ბოლო 3 (სამი) წლის ფინანსურ ანგარიშს დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით (იურიდიული პირისათვის - ბალანსები, ფიზიკური პირისათვის - დეკლარაციები);

გ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

4. პირველად სატენდერო წინადადებაში(ღირებულების გარეშე) წარმოდგენილ უნდა იქნას არსებული შენობის რეკონსტრუქციის კონცეფცია და ძირითადი არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტილებების ესკიზები.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის პირველ ეტაპს თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, ანგარიშის N200122900, სახაზინო კოდი 302003000, დამატებითი ინფორმაცია: საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდისათვის გადასახდელი სატენდერო მოსაკრებელი - კოდი 8057, 2006წლის 12ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონტაქტო პირის - კობა ცხადაძისაგან, მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. ტელეფონი: 955899.

**სატენდერო კომისია**